


K 225207  
3

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ՖՈՒՏԲՈՒԼԻՍՏՆԵՐԻ  
ՄԱՐԿԱԿԱՆՈՒՄԸ



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ՖՈՒՏԲՈՒԼԻՍՏՆԵՐԻ

თეიმურაზ კომახიძე



ეროვნული  
ბიბლიოთეკა



# ჰაიღარ აბაშიძე



ბავთმცემლობა

„აბაშიძე“

ბათუმი

1994





სპეზ-2000  
შემოწმებულია



ეროვნული  
არქივები

## ჰაიდარ აბაშიძის ცხოვრება და მოღვაწეობა

1993 წელს შესრულდა დაბადებიდან 100 წლისთავი სამეცნიერო-საქართველოს დედასაქართველოსთან გაერთიანების მლადეზლის ჰაიდარ აბაშიძისა.

ჰაიდარ ალის ძე აბაშიძე დაიბადა 1893 წელს ქ. ბათუმში. მისი მამა, ალი, სანჯაყ-ბეგთა შთამომავალი იყო. მემედ აბაშიძე მას ბიძად ერგებოდა. როდესაც მემედი, ძმასთან — ასლანთან და ბიძაშვილებთან ზიასთან და რიზასთან ერთად, რევოლუციურ ბრძოლაში ჩაება, მაშინ ჰაიდარი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, თორემ მისი ხასიათიდან გამომდინარე ისიც მათ გვერდში აღმოჩნდებოდა. ჰაიდარის ოჯახში ქართული სული ტრიალებდა, ქართული ტრადიციები ბატონობდა და მშობლიური ქართული ენა მძლავრობდა, ამიტომაც გასაკვირი არც უნდა იყოს თუ ჰაიდარს სულში და სხეულში გენეტიკურად საქართველოს სიყვარული გადმოეცა. ჰაიდარი ერთ-ერთი მოციქულია ქართველ ქრისტიანთა და ქართველ მუსლიმანთა ერთობის განმტკიცების საქმეში, ამდენად მისი ღვაწლი ქართველი ხალხისათვის სამარადისოდ დაუფიქცარი. ჰაიდარ აბაშიძის უკვდავსაყოფად მის სახელს ატარებს დღეს ქალაქ ბათუმის № 6 და სოფ. ყოროლისთავის საშუალო სკოლები. ასევე მისი სახელი მიენიჭა ქალაქ ბათუმის ერთერთ ცენტრალურ ქუჩას.

ჰაიდარ აბაშიძემ შეიღი წლის ასაკში, 1900 წელს, სწავლა დაიწყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის ქართულ სკოლაში, 1908 წელს სწავლა გააგრძელა ბათუმის საქალაქო სასწავლებელში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1912 წელს.

ჰაიდარ აბაშიძე პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა 1912 წლიდან და მისი მოღვაწეობა 1921 წლამდე ეროვნულ-საგანმანათლებლო საკითხებით შემოისაზღვრებოდა.



პირველი ეროვნულ-პოლიტიკური ხასიათის წერილი ჰაიდარ აბაშიძემ დაბეჭდა 1913 წელს „ბათუმის გაზეთში“, სათაურით: „ხმა ქრისტიან მოძმეებს“, სადაც იგი დიდი გულსტიკივლით მოიხსენიებს აჭარელთა ჩამორჩენას რუსთა და განათლების სფეროში საქართველოს სხარტობისგან, განათლების სფეროში საქართველოს სხარტობისგან თან შედარებით და მოუწოდებს ქართველ პატრიოტულ ძალებს აჭარისადმი დახმარებისაკენ, კერძოდ ის აღნიშნავს: „...საჭიროა მანამდინ ქართველობაში შეგნების შეტანა და მათი გათვითცნობიერება. ეს კი უნდა ითავოთ თქვენ, ქრისტიანმა ქართველებმა, რა ვუყოთ, რომ სჯული სხვადასხვა გვაქვს, ეს ჩვენს კავშირს ხელს არ შეუშლის.

მაშ, თქვენ უნდა ეცადოთ, როგორც ჩვენი მოძმე და დღეს, როგორც სწავლა-განათლებით ჩვენთან შედარებით ბევრად წინწასულნო, დაეხმაროთ თქვენს თანამოძმეებს წერა-კითხვის შესწავლაში, რომ ამის საშუალებით გათვითცნობიერდნენ ისინი და იცნონ თავიანთი თავი. ჩვენ დღეს თქვენთან მოველით მტკიცე საძირკველის ჩადგმას და ცხოვრების გზაზე გამოსვლას. შეიძლება ამ მუშაობაში თქვენ ბევრი დაბრკოლება გადაგელობოთ წინ, საყვედურებიც გაიგონოთ და ბევრი შრომაც დახარჯოთ, მაგრამ რაც უნდა იყოს, უნდა დაგვეხმაროთ ჩამორჩენილ ძმებს, მითუმეტეს თქვენი შრომა უნაყოფოდ არ ჩაივლის. ნუ შეგიშლით ხელს ნურავითარი დაბრკოლებანი, მოგვეპყარით როგორც ძმებს, წაგვიძეხით წინ, გვასწავლეთ წერა-კითხვა და ამოგვიყენეთ თქვენს გვერდით. ჩვენი ჩამორჩენა თქვენთვისაც მავნებელია, ჩვენი უმეცრება, როგორც ჩვენი, ისე თქვენი სირცხვილია, რადგან ჩვენ ერთნი ვართ“. ეს წერილი ჰაიდარმა 19 წლის ასაკში დაწერა, სადაც მთელი სიცხადით იგონებოდა, როგორ მიიღტვოდა ყმაწვილი კაცის სული საქართველოს სულიერი გაერთიანებისაკენ.

1913 წელს ჰაიდარი მასწავლებლად იწყებს მუშაობას ბათუმის ქართულ სკოლაში. გაკვეთილების ჩატარების პარალელურად ის მოსწავლეებს ესაუბრებოდა აჭარის წარსულზე და აწმყოზე. მისი ქადაგება შეუმჩნეველი არ დარჩენილა რუსი შოვინისტი მოხელეებისათვის, რომლებიც შემთხვევას ეძებდნენ ჰაიდარის წინააღმდეგ გასალაშქრებლად და ეს მომენტიც მალე დაუდგათ.

1916 წელს ქ. გორში მოეწყო ხოჯებისა და თურქული ენის მასწავლებელთა ყრილობა, რომელსაც უნდა შეემუშავებინა საქართველოში მცხოვრებ მუსლიმანთა შორის საღმრთო სჯულისა და თურქული ენის სწავლის გავრცელების საკითხი. ყრილობაზე წარმოდგენილი იყვნენ ოთხი კატეგორიის აჭარიდანაც. ბათუმის ქართველი საზოგადოების შეჩვევით ბათუმის დელეგატად ყრილობაზე გორში გაიგზავნა ჰაიდარ აბაშიძე, რომელიც სიტყვით გამოვიდა. მან ყრილობას პანისლამიზმის და პანთურქიზმის იდეების მატარებელი უწოდა და თავის გამოსვლაში აღნიშნა: „ჩვენ ეს ყრილობა არ შეგვეხება, ჩვენ აქ არ უნდა მოვსულიყავით, ვინაიდან ჩვენ ვართ ქართველები და ჩვენი მშობლიური ენა არის ქართული, ამიტომ ჩვენთვის სავალდებულო არ არის თურქული ენის სწავლება და არც მის გაძლიერებაზე ზრუნვა, რაც შეეხება საღმრთო წერილებს, ისინი უნდა ითარგმნებოდეს ჩვენს მშობლიურ ქართულ ენაზე“.

ამ სიტყვების შემდეგ ჰაიდარ აბაშიძემ პროტესტის ნიშნად ყრილობა დასტოვა, რამაც დიდი დაბნეულობა გამოიწვია დელეგატებში და ყრილობის გეგმები ჩაიშალა. ამ ნიადაგზე ჰაიდარი გაათავისუფლეს მასწავლებლის თანამდებობიდან და 1916 წელს გააძევეს აჭარიდან.

გადასახლებული ჰაიდარი ჭიათურაში, ნესტორ ვაშაძის სახლში, იმალეობდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე. 1921 წლიდან 1932 წლის 1 აგვისტომდე ჭიათურის შავი ქვის მრეწველობაში მუშაობდა, რასაც თავი გაანება ავადმყოფობის გამო და საცხოვრებლად გადავიდა თბილისში.

ჰაიდარ აბაშიძესთან ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და ჟურნალისტს ილია ბახტაძეს, ახალგაზრდობაში დაწყებული მეგობრობა სიცოცხლის ბოლო წუთებამდე გრძელდებოდა. ჰაიდარ აბაშიძის შესახებ ილია ბახტაძე ფრიად საინტერესო მოგონებას გვიტოვებს. აი მოგონების შინაარსი: „...უკანასკნელად აკაკი წერეთლის მონაწილეობით ქუთაისის თეატრში დიდი სალიტერატურო საღამო გაიმართა 1914 წლის 29 მაისს, ამის შესახებ წინასწარ აუწყა საზოგადოებას ყოველდღიურმა გაზეთმა „აზრმა“, რომელიც მაშინ ქუთაისში გამოდიოდა.

საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო, ძალიან ბევრი დარ-



ჩა თეატრის გარეთ. მახსოვს, ახალგაზრდა აჭარელი ჰაიდარ აბაშიძე იმის გამო, რომ თავს ქართველად ცნობდა, ბეგებისა და ხოჯების მიერ ბათუმიდან იქნა გამოძევებული და თავს აფარებდა ქუთაისში მის მეგობრებთან. სთან, იოსებ ოცხელთან, სილოვან ხუნდაძესთან და სხვა. აკაკიმ იგი თვითონ შეიყვანა თეატრში უბილეთოდ და მაშინაც, როცა სცენიდან ჩამოვიდა და ლოჟაში დაჯდა, იგი გვერდით დაისვა.

ფარდა რომ აიწია და ღრმად მოხუცი აკაკი გამოჩნდა სცენაზე, ნახევარ საათზე მეტ ხანს ტაში არ შეწყვეტილა. თეატრის სცენის მთელი ფართობი პარტერიდან და ქანდარიდან გადმოსროლილი თეთრი და წითელი ყვავილებით დაიფარა.

მოწმე ვიყავი, თეატრში ამ საღამოზე დამსწრე საზოგადოებამ თუ რა დიდი გულისტკივილი განიცადა, როცა საყვარელ პოეტს დადლისაგან სახეშებრუნებულს და თვალეზმობხუჭულს ხედავდა. ყველა გრძნობდა, რომ ეს მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები იყო, მართლაც 1914 წლის 29 მაისის შემდეგ აკაკი ქუთაისელებს აღარ უნახავთ, იგი 1915 წლის იანვარში გარდაიცვალა“.

ბატონ ჰაიდარს ამ შეხვედრის შესახებ ჩემთანაც უსაუბრია: მთელი საღამოს განმავლობაში აკაკი განუწყვეტილად მხოლოდ აჭარის მცხოვრებთა ბედ-იღბალზე მელაპარაკებოდაო და განსაკუთრებით სიამაყის გრძნობით აღნიშნავდა იმას, აჭარლებმა სამი საუკუნის განმავლობაში ქართული ენა რომ შეინარჩუნა. აკაკის ჰაიდარისათვის უთქვამს: „სადაც ქართული ენა ცოცხლობს, იქ ქართული სული უკვდავიაო“.

ყველა ჭირ-ვარამში ჰაიდარს გვერდში ედგა მისი განუყრელი მეგობარი და მეუღლე ქალბატონი მარგალიტა ყაფლანის ასული წერეთელი, რომელიც თავისი ერთგულებით ასულდგმულებდა და ენერგიას მატებდა ჰაიდარ აბაშიძეს. ეს იყო დიდი ქართველი ქალი, რომელსაც ერთხელაც ცხოვრებაში უკმაყოფილების გრძნობა არ გასჩენია, მითუმეტეს იმისა, რომ მისი მეუღლე ათეული წლების განმავლობაში მუდამ დევნასა და შევიწროებას განიცდიდა. ბინის სივიწროვის მიუხედავად, ჰაიდარ აბაშიძის ბინის კარები ყველა

სტუმრისათვის ღია იყო (მხედველობაში მაქვს ჰაიდარის ქმისშვილები და ახლო ნათესავეები, რომლებიც ძირითადად მასთან ცხოვრობდნენ და იზრდებოდნენ). ქალბატონი მარგალიტა გრძნობდა, რომ მისი მეუღლე დიდ ეროვნულ ხაჭმინობას ეწეოდა და ამიტომაც ჰაიდარს ის ნორმალური მუშაობისათვის მაქსიმალურ მყუდროებას უქმნიდა.

ჰაიდარ აბაშიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველ მუსლიმანთა გათვითცნობიერების საქმეში, იგი მუდამ გვეგლინებოდა აჭარის დამცველთა პირველ რიგებში, უშიშრად გამოდიოდა და იცავდა ქართველ მაჰმადიანთა ღირსებას. მიუხედავად სასტიკი დევნისა, ჰაიდარს მტრების წინაშე ქელი არასოდეს მოუხრია, მუდამ დაუცხრომლად იბრძოდა საქართველოს საკეთილდღეოდ.

ჰაიდარ აბაშიძის პატრიოტული პუბლიცისტური წერილები რევოლუციამდე და შემდეგდროინდელ პერიოდში იბეჭდებოდა თითქმის ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთში. ამ წერილებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ სამუსლიმანო საქართველოს ხსნა, მისი კულტურული და ეკონომიკური აღორძინება აჭარის დედასამშობლო საქართველოსთან გაერთიანებით არის შესაძლებელი, ვინაიდან სამუსლიმანო საქართველოს კულტურულად, პოლიტიკურად და ეკონომიკურად არსებობა საქართველოს გარეშე წარმოუდგენელია.

ქართველებთან ერთობის მოწინააღმდეგე პანისლამიზმის მიმდევრები და მეფის მოხელეები, რომლებიც ატარებდნენ პოლიტიკას — „გათიშე და იბატონე“, სამუსლიმანო საქართველოს მცხოვრებლებს დღენიდაგ ჩასძახოდნენ: როგორც მაჰმადის სჯულის მიმდევრები, თურქები ხართ. ზოგჯერ ვაიქართველებიც მტრების წისქვილზე ასხამდნენ წყალს და მოძმე სამუსლიმანო საქართველოს მცხოვრებლებს „თათარს“ უწოდებდნენ, ამგვარ გამოვლინებებს ჰაიდარი გამძაფრებული ეხმაურებოდა გაზეთში გამოქვეყნებული წერილებით, კერძოდ, ერთერთ წერილში ის გულდაწყვეტით აღნიშნავს: „რალად გვიწოდებენ ჩვენ „თათარს“ ჩვენი მოძმე ქრისტიანები, ან ჩვენ რალად ვალიარებთ თავს თათრებად... ჩვენ „თურქები“, „ოსმალები“ კი არა, ქართველები გახლავართ... მაჰმადიანები რომ ვართ, განა ქართველები აღარა



ვართ... ქვანიც კი ღალადებენ, თუ ვინ ვართ ჩვენ, აწი მაინც  
ნუ მიგვაჩნია თავი თათრებად და ნურც სხვას მივცემთ ნე-  
ბას, რომ ჩვენ „თათრები“ გვიწოდონ, სჯული სჯულად იყოს  
და ეროვნება ეროვნებად“.

ეროვნული

ჰაიდარ აბაშიძის წერილებმა ქართველმა ხალხმა  
ცვლევინა ტერმინოლოგიის ის ნაწილი, რაც აჭარლებს შეეხე-  
ბოდა. მაგალითისათვის გამოგვადგება ცნობილი საზოგადო  
შოღვაწის, აჭარის მოამაგის ზაქარია ჭიჭინაძის აღსარება-  
განცხადება: „ახლა კი რაკი გონიერებამ გაიმარჯვა და ქართ-  
ველ მაჰმადიანთაგან თქვენგვარი პირები მოგვევლინა და  
მათ კალამიც აიღეს ხელში და დაიწყეს ნაციონალური მხა-  
რეების შეგნება, საუბარი და კამათი, თუ ვინ გახლავან თა-  
თარი თუ ქართველი მაჰმადიანები, ამიტომ მე ეს კილო  
შევცვალე და უკვე ხუთ წელიწადზე მეტი იქნება მას შემ-  
დეგ გასული, რაც მე „თათრის“ მაგივრად ქართველ მაჰმა-  
დიანს ვხმარობ. დღეის შემდეგ ჩემს წიგნებში „თათარი“  
აღარ იქნება ნახმარი“.

როგორც თავისი დროის პატრიოტ და გულწრფელ მო-  
ღვაწეს, ქართველი საზოგადოებრიობა განსაკუთრებულ  
ყურადღებას უთმობდა ჰ. აბაშიძის სიტყვას, მის დამოკიდე-  
ბულებას ამა თუ იმ საჭირობოროტო მოვლენისადმი. ქართუ-  
ლი პრესა მუდამ აქტიურად ეხმაურებოდა აჭარელი მოღვა-  
წის ყოველ გამოსვლას და, როგორც წესი, მაღალ შეფასე-  
ბას აძლევდა მას.

მე-19 საუკუნის ქართველი პოეტი ქალი განდევნილი  
ჰაიდარ აბაშიძის მოწოდებას ქართველი ქრისტიანი ძმებისა-  
დმი მეტად მგრძნობიარე სიტყვებით გამოეხმაურა გაზ. „სა-  
ხალხო ფურცელში“: „ქართველო ქალებო! გადაიკითხეთ გუ-  
შინდელ „სახალხო ფურცელში“ მოთავსებული წერილი  
ჰაიდარ აბაშიძისა. თუ არ წაგიკითხავთ, ვთხოვთ წაიკითხოთ  
და მაშინ დამეთანხმებით, რომ ამ სტრიქონების წაკითხვა  
უცრემლოდ შეუძლებელია, უცრემლოდ-მეთქი ვამბობ. ეს  
ცოტაა! მე ვქვითინებდი ბავშვივით... ამავე აღუღებული გუ-  
ლით მოგმართავთ თქვენ ყური მიაპყრათ იმ საშინელ  
კენესას, იმ უმაგალითო უბედურებას, რომელიც ჩვენს მოძ-  
მე ქართველ მუსლიმანებს არგუნა ბედმა“.

პოეტის ამ სიტყვებში მოცემულია უდიდესი დაფასება

ჰაიდარ აბაშიძის სიტყვის ძლიერებისა და შემოქმედებისა.  
ჰაიდარ აბაშიძის მოღვაწეობაში მთავარი ძირითადი, გა-  
ნმსახვრელი მაინც ეროვნული საკითხი იყო და არა სო-  
ციალური.

აი რას წერს უცნობი ავტორი (ყურნალი „ფეხტრეფი“  
ცხოვრება“, 1916 წ. № 48): „ჰაიდარ აბაშიძე ქართველ მუ-  
სლიმანთა შორის ეროვნული გამოფხიზლების მოციქულია.  
მისი სახელი ჩვენს მოძმეთა შორის უკვდავი დარჩება, მისი  
სალი ჰკუა განშორებული სარწმუნოებრივ ფანატიზმს,  
ძლიერ მალე მიხვდა ქართველ მუსლიმანთა ცხოვრების მწა-  
რე სინამდვილეს და ხმამაღლა, თამამად და მოურიდებლად  
იწყო ქადაგება თანამოძმეთა შორის ქართული ეროვნული  
შეგნების შესახებ და ეს ხმა არ დარჩა ხმა მლაღადებლისა  
უდაბნოსა შინა“.

ჯერ კიდევ 21 წლის ახალგაზრდა ჰაიდარ აბაშიძეს პა-  
ტივი დასდეს ქალაქ თბილისში იუბილეზე მისალმებოდა  
ცნობილ ქართველ მსახიობს კოტე ყიფიანს. მისი სიტყვა და-  
მსწრე საზოგადოებამ დიდი აღტაცებით მიიღო. ამ იუბილის  
შესახებ ჰაიდარი შემდეგ მოგონებას გვიტოვებს: „მთელ სა-  
ზოგადოებასთან ერთად, ღიმილით ტაშს უკრავდა იქვე, სა-  
ვარძელში მჯდომი ჩვენი სასიქადულო აკაკი. რა თქმა უნდა,  
ასეთი ყურადღება გამოხატავდა იმ დიდ მშობლიურ სიყვარულსა და  
მზრუნველობას მრავალტანჯული აჭარის მიმართ,  
რომელსაც საერთოდ მუდამ იჩენდნენ ჩვენი დიდი ქართ-  
ველი მოღვაწეები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით“.

ჰაიდარის პატრიოტულ წერილებს გატაცებით კითხუ-  
ლობდნენ საქართველოს ყველა კუთხეში, მაგრამ ეროვნულ  
გრძნობაჩაახშობილი ფანატიკოსებისათვის ჰაიდარის აზრე-  
ბი მიუღებელი აღმოჩნდა, ისინი ცდილობდნენ ჰაიდარი  
მოენათლად სარწმუნოებისა და თურქი ხალხის მტრად.  
მათი მცდელობა წარმატებებს ვერ აღწევდა, რადგანაც ჰაი-  
დარის წერილებში ვერც მორწმუნე ქართველი მაჰმადიანები და  
ვერც თურქები თავიანთ სათუთ გრძნობათა შეზღაღვისა და  
დამცირების ნასახსაც ვერ პოულობდნენ, ისინი მაინც ამტკი-  
ცებდნენ, რომ ჰ. აბაშიძე გაქრისტიანდა, თავის სჯულს ულა-  
ლატაო და ამით ცდილობდნენ აჭარლები დაეპირისპირებინათ  
ჰაიდარისათვის, მაგრამ ხალხი გრძნობდა ჰაიდარის უმწიკვ-



ლო სიყვარულს მათდამი და სიყვარულითვე პასუხობდნენ მას.

ჰაიდარის ყველა წერილი წრფელი, მარტივი და მშვენიერი ეროვნული შეგნებითაა გამსჭვალული. მისი წერილები უსაზღვრო სიყვარულით სამშობლოსადმი, ამის გამოხატულებაა თუნდაც მისი გულიდან ამონახეთქი შემდეგი სიტყვები: „არ იქნა და ვერ ამოგვგლიჯეს გულიდან... გრძნობა სამშობლოს სიყვარულისაო, როგორც მოელოდნენ ამას ოსმალები...“

სამასი წელია, რაც მოვწყდით ჩვენს ეროვნულ ხიტაკბობებს და ღობე-ყორეს ვედებით, დღეს, როგორც იქნა ჩვენს გულში იფეთქა დღემდის მიძინებულმა ეროვნული გრძნობის პატარა ნაპერწკალმა და ესწრაფვის მგზნებარე ცეცხლად გადაქცევას და ამიტომ გთხოვთ, ნუ გვიშლით ხელს. ჩვენც გვინდა გავერიოთ ხალხში, ჩვენც გვინდა და გვწყურია, როგორც მთელ კაცობრიობას, ეროვნული სული და ვინც, გადაეღობება ამ ჩვენს, ქართველ მაჰმადიანთა წმინდათაწმინდა გრძნობას, ის ჩვენი მეგობარი არ იქნება“

ჰაიდარ აბაშიძის ბევრი წერილი იბეჭდებოდა „ბათუმის გაზეთში“, რომელსაც რედაქტორობდა ქართველი პატრიოტი ლ. გეგენავა, ჰაიდარის წერილები დიდ გავლენას ახდენდა მაჰმადიანი ქართველების გონებრივი გამოფხიზლებისა და თვითშეგნების ჩამოყალიბების საქმეში, რაც თურქოფილებსა და მეფის რუსეთის შოვინისტ მოხელეებს ძლიერ აღშფოთებდა, ისინი გრძნობდნენ, რომ სამუსლიმანო საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა მათთვის წამგებიანი იყო, ამიტომაც მათ პროვოკაციული იერიში მიიტანეს „ბათუმის გაზეთზე“ მისი დახურვის მიზნით. „ბათუმის გაზეთის“ დახურვას ჰაიდარისათვის ხელი არ შეუშლია, ის წერილების ბეჭდვას ეროვნულ საკითხებზე აგრძელებს სხვადასხვა ქართულ ყურნალ-გაზეთებში, რომელთა რედაქტორებიც ჰაიდარს ყოველგვარ მხარდაჭერას უწყევდნენ.

ჰაიდარი მტრების არცერთ შემოტევას უპასუხოდ არ ტოვებდა. ბაქოს თურქულმა გაზეთმა გამოაქვეყნა წერილი ვინმე ყარაღაზადესი, რომელშიაც იგი ათასგვარ ცილს სწამებდა პროგრესულად მოაზროვნე ქართველ მუსლიმანებს.

და თვით ჰაიდარ აბაშიძეს. ჰაიდარმა საპასუხოდ ყარაღაზადღეზე გამანადგურებელი წერილი დაბეჭდა სათაურით — „ამსაც მტკიცება უნდა“, სადაც აღნიშნავს: „უწინარეს ყოველისა უნდა აღვნიშნო, რომ სრულიად უსაფუძვლოდ და უსაბუთოდ გვიკიჟინებს ჩვენი გადაგვარებული თანამოებნი ყარაღაზადე, რომ ამბობს: „ქართველი მაჰმადიანი წარსულის დაბრუნებაზე ფიქრობს და მის მეტი საფიქრებელი არა აქვს რაო“. ამ ყიჟინში, ბოროტი განზრახვით ჩართული ერთგვარი ცილისწამებაა. წარსულის დაბრუნება არავის ძალუძს, ისტორიის ჩარხი უკუღმა არ ტრიალებს. ეს ჩვენ კარგად გვესმის. ყარაღაზადეს ამ სიტყვებს მხოლოდ ის სარჩული უდევს, რომ ჩვენ მოგვისისინოს ჩვენი თანამორწმუნენი, თითქოს ჩვენ სარწმუნოებრივ მხარეს ვეხებოდეთ და განზრახვა გვექონდეს ჩვენ ძველ მამა-პაპათა ქრისტიანულ სარწმუნოებას დავუბრუნდეთ. სრულებით ასე არაა... საზოგადოდ, მარა კერძოდ ბ-ნი ყარაღაზადე ტყუილად ირჩება იმის დასამტკიცებლად, რომ თითქოს სარწმუნოების გამოცვლასთან ერთად გამაჰმადიანებულმა ქართველობამ დაჰკარგა თავისი ეროვნული სახე“...

ჰაიდარი ამ წერილში კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ სარწმუნოება და ეროვნება სულ სხვადასხვა ცნებებია.

1914 წლის 19 ივლისს გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს. თუმცა თურქეთი ომის დასაწყისში ფორმალურად ნეიტრალიტეტს იცავდა, ფაქტობრივად გერმანიის ინტერესების დამცველი იყო, და ომისათვის ემზადებოდა. ნოემბრის თვეში თურქეთის ჯარი ართვინში, არტანუჯში და ბორჩხაში შემოიჭრა, მაგრამ მათი წარმატება დროებითი აღმოჩნდა, სულ მალე თურქეთის ჯარი მარცხდება და რუსეთის ჯარი თურქეთის დედაქალაქ კონსტანტინეპოლს უახლოვდება.

აჭარლები ორცეცხლშუა აღმოჩნდნენ, თურქები აიძულებდნენ აჭარლებს მათ მხარეზე ებრძოლათ, ამან გარკვეული გაუგებრობა შექმნა, რითაც ისარგებლა ოლქის სამხედრო გუბერნატორმა ლიახოვმა და აჭარლებს ცილისმწამებლური დალატი დასწამა და ისინი მოღალატეებად გამოაცხადა. აჭარლების გარკვეული ნაწილი რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადაასახლეს, ხოლო რამდენიმე ასეული კაცი ციხეებში ჩასვეს.



მიუხედავად ამისა, აჭარელთა უმეტესი ნაწილი მაინც რუსეთის მხარეზე იდგა.

ამ ომში აჭარა ეკონომიკურად და ფიზიკურად აოხრდა, ხალხი შიმშილობდა, რადგანაც ომის შედეგად მიწები დაუ-  
მუშავებელი დარჩა და მოსავალი ვერ აღესრულა.

1917 წელს ბათუმში მოწვეული იქნა აჭარის მოსახლეო-  
ბის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელმაც შექმნა საქ-  
ველმოქმედო საზოგადოება. საზოგადოების თავმჯდომარედ  
აირჩიეს მემედ აბაშიძე. საზოგადოება ომით დაზარალებულ  
მოსახლეობას უწევდა ეკონომიკურ დახმარებას. მდგომარე-  
ობიდან გამოსავალს ჰაიდარ აბაშიძე ხედავდა მხოლოდ, ქა-  
რთველი ქრისტიანების თანადგომაში და ამიტომაც მათგან  
მოითხოვდა ეკონომიური დახმარების გაწევას აჭარლები-  
სადმი, ამასთან დაკავშირებით ჰ. აბაშიძე ქართველი ხალხი-  
სადმი ვაზეთ „სამშობლოში“ აქვეყნებს მოწოდებას, სათაუ-  
რით: „კვლავ მოწოდება, კვლავ საყვედური“, სადაც ვკითხუ-  
ლობთ: „ძვირფასო ძმანო! მოგვწყინდა მოწოდებაც და საყ-  
ვედურიც თქვენდამი, მაგრამ რა გზა გვაქვს მეტი. სხვას  
ვის უნდა ვუსაყვედუროთ, ვის მოვუწოდოთ, ვის ვუთხრათ  
ჩვენი გულის ტკივილი, ვის, საით წავიდეთ, ვის მივმართოთ,  
თუ არა ისევ თქვენ“.

ჰაიდარ აბაშიძის წერილმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა  
ქართველ ხალხში. აჭარლებისადმი ეკონომიკური დახმარე-  
ბის კამპანია ფართოდ გაიშალა საქართველოში. იმართებო-  
და კონცერტები, საღამოები, სადაც შეგროვებული თანხის  
ყველა ნაწილი აჭარაში იგზავნებოდა, არც ერთი სოფელი  
თუ ქალაქი არ დარჩენილა ისე, რომ აჭარლების დასახმარე-  
ბლად ფული არ შეგროვებულიყო, გარდა ფულისა, აჭარაში  
იგზავნებოდა სურსათ-სანოვაგე და სხვადასხვა დანიშნულე-  
ბის ჩასაცემლები.

ეკონომიურ დახმარებასთან ერთად მორალური დახმა-  
რების მიზნით ქართულ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა  
თბილი, იმედისმომცემი წერილები.

1915 წელს ვაზეთ „აზრში“ დაიბეჭდა შემდეგი შინაარ-  
სის წერილი: „28 თბათვეს ს. პატარძელში სცენის მოყვა-  
რე პატარებმა გავმართეთ საბავშვო წარმოდგენა, შემოსავა-  
ლი იყო სულ 9 მანეთი, ხარჯი გვეკონდა ერთი მანეთი...“

გიგზავნით 8 მანეთს და გთხოვთ გადასცეთ უდედამამოდ და უსახლკაროდ დარჩენილ მოძმე პატარა აჭარლებს“. განა შეიძლება ასეთი თბილი წერილი წაიკითხო და ცრემლები არ მოგადგეს თვალებზე?

გაზეთ „ძმურ სიტყვაში“ ვკითხულობთ (1915 წ. № 3): „ჩვენ თბილისის ელექტროტრამვაის სადგურის გუბერნიის უორჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა გაახლებთ ჩვენს შორის შეკრებილს მცირე წვლილს და გთხოვთ ჩვენს თანაგრძნობასთან ერთად გადასცეთ უდანაშაულოდ დასჯილ აჭარლებს“. ასეთი წერილები ასობით მოდიოდა აჭარის მისამართზე და იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

აჭარლებს დიდი ეკონომიკური დახმარება გაუწია გურიის მოსახლეობამ; აი, რას ვკითხულობთ გაზეთ „თანამედროვე აზრში“ (1915 წ. № 60): „გურიის მშრომელი გლეხობა მზადაა ძმურად ხელი გაუწიოს თავის მეზობელ მოძმე ქართველ მუსლიმანებს. თვით დამწეული გურიის გლეხობა შეძლებისდაგვარად მზადაა დაეხმაროს აჭარლებს და ამით შეასრულოს მოვალეობა ძმობისა და ერთობისა. გიგზავნით 13 მანეთს და ხუთ შაურს სოფ. აცანის მცხოვრებთა შორის შეკრებილს“.

და მართლაც საქართველოში არ დარჩენილა არც ერთი ქალაქი თუ სოფელი, რომელსაც მონაწილეობა არ მიეღოს შემოწირულობათა შეგროვებაში. საქველმოქმედო საზოგადოებამ 1915 წელს გამოსცა სპეციალური ფურცელი — აღმანახი № 1 „ძმური სიტყვა“ წარწერით: „დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანთა სასარგებლოდ“, რომლის მთელი შემოსავალი გადაეცა დაზარალებულთა დახმარების ფონდს. ქართველი ხალხი ძალიან დააინტერესა გაზეთმა და მითუმეტეს მაღალი ფასისა ყველა ყიდულობდა მას, რადგანაც იცოდნენ, რომ გაზეთში აღებული თანხა მთლიანად ხმარდებოდა აჭარლებს.

შემოწირულობათა თაობაზე გამოვიდა წიგნი, რომელშიც დაიბეჭდა სპეციალური მოწოდება ქრისტიანი ქართველებისადმი, სადაც ვკითხულობთ: „დადგა დრო, როდესაც ჩვენ ჩვენს გათიშულ ძმებს თვალნათლივ უნდა დავუმტკიცოთ არა მხოლოდ ჩვენი თანაგრძნობა, არამედ ისიც, რომ ჩვენ ერთნი ვიყავით ძველად ლხინში, ერთნივე ვიყოთ ახლა




ჭირში... ნუთუ აქ დაყოვნება გვმართებს... აჭარელთა ბედ-  
იღბალი ჩვენი ქვეყნის დიდი და მწვავე საკითხთაგანია, რო-  
გორც ქართველი გვარტომობის ხალხისა“.

მითუმეტეს იმისა, რომ აჭარლებს ეკონომიკურად ძა-  
ლიან უჭირდათ, ისინი მაინც უბედურებაში ჩაყარდნენ,  
დამშეულ მოძმე ჭანელებს უწევდნენ ვაჭრულ ეკონომი-  
კურ დახმარებას. ქართული საქველმოქმედო საზოგადოების  
დავალებით ჰაიდარ აბაშიძემ რამდენიმე ურემი სიმინდი  
გადაიტანა ჭანეთში და დაურიგა დამშეულ ხალხს. ამაზე  
იტყვიან: „ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო“.

აჭარელთა მადლობა ვაჭირების ყამს ქრისტიან ქართვე-  
ლთა თანადგომის შესახებ აბდულ მიქელაძემ გაზეთ „თანა-  
შედროვე აზრის“ 68-ე ნომერში შემდეგი სიტყვებით გამო-  
ხატა: „ჭირმა დაგვარწმუნა აჭარლები, რომ ჩვენ ქრისტიან  
ძმებს უზომოდ ვყვარებივართ. გაზეთით ვგებულობთ, რომ  
ყველა კუთხეში მყოფი ჩვენი ძმები შემოწირულობას აგრო-  
ვებენ, შეძლებისდაგვარად გვეწვებიან თვით დამშეული  
სოფლები, ბრძოლის ველზე მყოფი ჯარისკაცები, გვეწევა  
დიდი და პატარა. ვიცით, რომ ამ შემწეობით ჩვენი დახო-  
ცილი მკვდრები არ გაცოცხლდებიან, ჩვენი ნამუსის შემბ-  
ლაღავი არ დაისჯება, გადამწვარ-გაპარტახებული სახლ-  
კარ-ეზო-მიდამო არ აშენდება, ნალიები სიმინდით არ გაივ-  
სება, მაგრამ თითოეული კაპეიკი, ქრისტიან ქართველების  
მიერ ჩვენთვის გადადებული, მილიონია, თითოეული მათი  
თანაგრძნობის სიტყვა ჩვენი მალამოა. გვწამს, რომ ეს თანა-  
დგომა უფრო იმატებს, მეტად შეგვაკავშირებს და ვისაც ამ-  
დენ ხანს არ სწამდა, რომ ჩვენ, რაკი სხვა და სხვა სჯული  
გვაქვს, არ შეგვიძლია ძმები და მეგობრები ვიყოთ, დავრწ-  
მუნდებით, რომ ჩვენ ერთნი ვართ. ჩვენ ამდენხანსაც თქვენი  
ვიქნებოდით, უსწავლელობა გვიშლიდა ხელს. დღემდე დიდ  
ყურადღებას არც თქვენ გვაქცევდით, ამიტომ ქართული წე-  
რა-კითხვის მკოდნე ჩვენში არავინ იყო. და თუ იყო, იგიც  
ზაქარია ჭიჭინაძის, პეტრე უმიკაშვილის და თავადი ილია ჭავ-  
ჭავაძის მეოხებით... დიდი სამადლო საქმე იქნება, თუ ნახ-  
მარ გაზეთებსა და წიგნებს გამოგვიგზავნით“.

და მართლაც რა არ შეუძლია სულიერ თანადგომას, რო-  
მლის საფუძველზეც აჭარამ სულ რამდენიმე ათწლეულში





შიშუშა ჭრილობები და განათლებითა და კულტურით გვერდში ამოუდგა საქართველოს სხვა რეგიონებს.

ზოგიერთი (დღესაც კი) სულიერი ძმობის შელახვის მიზნით, აჭარლებს ხშირად შეახსენებენ ოთხასი წლის წინათ ნებით თუ უნებლიეთ მიღებულ სარწმუნოებას, რაც აჭარულთა სამართლიან გულისტკივილს იწვევს. განაპირობებს დიდ მამულიშვილობაში არ უნდა ჩაეთვალოს ის, რომ მათ სამასი წლის განმავლობაში შეინარჩუნეს ენა, ტრადიცია და ქართული მიწა-წყალი, განა შერიფ ხიმშიაშვილმა, თურქეთის მთავრობისაგან ყოველგვარი პატივით შემკულმა, სასწორზედ არ დადო თავი და ოჯახი, რათა აჭარა დედა-სამშობლო საქართველოს შემოერთებოდა. მას ხომ ამ ბრძოლაში გვერდში მთელი აჭარის მოსახლეობა ედგა.

ვერც მემედ აბაშიძე შესძლებდა მარტომმარტოს შეენარჩუნებინა აჭარა საქართველოსათვის, თუ არა აჭარლების თანადგომა.

ასე, რომ სამშობლოს სიყვარულს რელიგია კი არა, ვრთვნება განაპირობებს. ამის შესახებ სამართლიანად მსჯელობს ალ. ყიფშიძე ჯერ კიდევ 1916 წელს: „რაც წინათ იყო, დღესაც ისაა. აუარებელი სახელწოდებითაა შემკული და დაჯილდოვებული პატარა საქართველო... ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო და სხვა. დიდი სიჭრელეა აგრეთვე სარწმუნოებისა, ძველად თუ ერთს მივსდევდით, დღეს ქართველობა დანაწილდა სხვადასხვა სარწმუნოებად, მაგალითად, არის ქართველი ბერძნის რჯულისა, ანუ მართლმადიდებელი; ქართველი კათოლიკე, ქართველი გრიგორიანი და ქართველი მაჰმადიანი.“

მართალია, დიდია სიჭრელე სარწმუნოებისა, მაგრამ იგი სიჭრელე არ უნდა უშლიდეს და არც უშლის ხელს საქართველოს ერთიანობას, მთლიანობას და მის ეროვნულ სიმტკიცეს. სისხლით, ჩამომავლობით, ენით, ისტორიით, ჭირით და ლხინით ერთნი ვართ, განუყრელნი და მომავალიც ერთი უნდა გვექონდეს, ერთად უნდა ვსწიოთ ჭაპანი. შეერთებით ვაძლიერდებით და მაშინ ადვილად ავიტანთ კარზე მომდგარ ჭირსა, მტერსაც უფრო მხნედ, ვაჟკაცურად დაუუხვდებით. ხელის შემშლელი ასეთის ერთობისა მტერია ჩვენის ქვეყნი-



სა და უნდა ვერიდოთ მას, როგორც სატანას“. (აღ. ყიფშიძე, ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1916 წ.).

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების პარალელურად ბათუმში ფუნქციონირებდა ბაქოსთან ერთად საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება. ამ მოძრაობის იყო მოსახლეობაში თურქოფილური იდეების გავრცელება. ასინი საამისოდ იყენებდნენ რელიგიურ მოტივებს. ამ საზოგადოებამ საფუძველი ჩაუყარა „სედაი მილეთელთა“ მოძრაობას, რომელიც პანთურქისტული საზოგადოების იდეოლოგიური ბრძოლის იარაღი იყო. ამ მავნე საქმიანობის საწინააღმდეგოდ მუშაობა გაშალა ქართული ორიენტაციის საქველმოქმედო საზოგადოებამ, რითაც საზოგადოება „სედაი მილეთის“ გავლენა თანდათანობით შესუსტდა.

1918 წელს ქალაქ ბათუმში გავრცელდა ხმა, რომ ოსმალეთის ჯარები კვლავ აპირებენ ბათუმის ოლქის ოკუპაციასო. მალე ბათუმში ჩამოდის თურქეთის დელეგაცია სამხედრო მინისტრ ენვერ ფაშას მეთაურობით, რომელსაც ბათუმის საზოგადოების თხოვნით მიესალმა მემედ აბაშიძე შემდეგი სიტყვებით: „კეთილი იყვეს თქვენი ჩვენთან სტუმრად მობრძანება, ჩვენ ქართველები სტუმართმოყვარენი ვართ, ვიცით სტუმრის მიღება და პატივისცემა, მაგრამ მიწა ისიც იცოდეთ, რომ სტუმარს უფლებას არ მივცემთ ჩვენს შინაურ საქმეებში ჩაერიოს... თქვენ ბატონ-პატრონად ნუ იგულებთ თავს ჩვენს მიწა-წყალზე“. ეს უთხრა და ხალხის სახელით სისხლისღვრის შეწყვეტისაკენ მოუწოდა. ასეთმა მისაღმებამ თურქეთის დელეგაცია დიდად გაანაწყენა. ამის გამო: მემედ აბაშიძე, დაუთ სირბილაძე, ჯემალ ქიქავა და ხასან ლორთქიფანიძე ენვერ ფაშას ბრძანების საფუძველზე დააპატიმრეს და ტრაპიზონის ციხეში ჩასვეს. თურქეთის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა ამ უკანასკნელთა სიკვდილით დასჯა, რადგანაც მთელი გულისწყრომა მიმართული იყო მემედ აბაშიძისადმი, ამიტომაც მას სიკვდილით დასჯა არ ასცდებოდა. გადაწყდა, რადაც არ უნდა დაემაჯდარიყო, მოეწყოთ მემედის ციხიდან გაქცევა. ამ მიზნით თურქეთში მომუშავე ქართველი ეროვნების სამხედრო მოსამსახურეებისაგან შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომლებ-

მაც შეიმუშავეს მემედ აბაშიძის ციხიდან გაქცევის გეგმა. მათ მოისყიდეს მეციხოვნენი და იმათი დახმარებით შეაგზავნეს ციხეში მემედის დეიდაშვილი ალი ჯაფარიძე, რომელმაც მემედს გადასცა რევოლვერი და თოკი ციხის მკაცრად დაცული კართულიდან დაშვების მიზნით. მემედმა ციხიდან გამოქცევა მოახერხა.

მემედ აბაშიძე ლაზი მეთევზის ნავით ფოთის ნავსადგურს მოადგა. ქალაქის საზოგადოება და მშრომელი მოსახლეობა დიდი ზეიმით შეეგება სახელოვან მამულიშვილს, მათ კარგად იცოდნენ, რომ მემედ აბაშიძის სახით ისინი ხვდებოდნენ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს, საქართველოს გაერთიანებისა და დამოუკიდებლობის თავდადებულ მებრძოლს, აჭარელთა ეროვნული გათვითცნობიერების მდგრად მომხრეს. დამხვდურთა შორის იყვნენ ბატონები: კონსტანტინე გამსახურდია და შალვა დადიანი, რომლებიც ჩართული იყვნენ მემედის ციხიდან გამოქცევის საქმეში.

...1918 წლის 10 თებერვალს შეიკრიბა ამიერკავკასიის სეიმი. 16 თებერვალს სეიმმა თურქეთთან საზავო მოლაპარაკების დელეგაციის შემადგენლობა დაამტკიცა. დელეგაცია შედიოდა ჰაიდარ აბაშიძეც. დელეგაციას ხელმძღვანელობდა ა. ი. ჩხენკელი. 1918 წლის 23 თებერვალს დელეგაცია ტრაპიზონში ჩავიდა და 1 მარტს დაინიშნა პირველი სხდომა. ტრაპიზონის კონფერენცია ჩიხში მოექცა და თურქეთის ჯარმა ბათუმის ოლქს ანექსია გაუკეთა.

1918 წლის 3 მარტს რუსეთსა და გერმანიას შორის დაიდო ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება, რომლის მეოთხე მუხლის მიხედვით რუსეთს უნდა უზრუნველყო გერმანიის მოკავშირე თურქეთისათვის არდაჰანის, ბათუმისა და ყარსის ოლქების დაბრუნება. რუსეთ-თურქეთის საზღვრები უნდა აღდგენილიყო იმ სახით, როგორც არსებობდა რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომამდე. გერმანიამ ისარგებლა რა რუსეთის დაუძლურებით, თავს მოახვია რუსეთს კაბალური პირობები. აღნიშნული ხელშეკრულებით საქართველო კარგავდა თავის ისტორიულ კუთხეებს — არდაჰანსა და ბათუმის ოლქებს.

1918 წლის 17 მარტს შესდგა ქობულეთისა და აჭყვის-თავის ქართველ მაჰმადიანთა მიტინგი. მასში მონაწილეობ-



დღევნ ქართველი ქრისტიანებიც, მიტინგზე გამოსულმა ჰაიდარ აბაშიძემ, ჯემალ ქიქავამ, სოჯა ასმედ ქათამაძემ ერთობადა აღნიშნეს, რომ საჭიროა ყველამ ერთი მიზნისათვის, ერთიანი საქართველოს მომავლისათვის ვინაობისათვის თურქეთის მთავრობამ სამუსლიმანო „რეფერენდუმი“ მოაწყო, რათა გაემაგრებინა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების გადაწყვეტილება. რეფერენდუმი ხალხის დაშინების სიტუაციაში ტარდებოდა, ამის ერთერთი მაგალითია ქობულეთში ჩატარებული რეფერენდუმის მიმდინარეობა. სადაც რეფერენდუმის მსვლელობას თვით თურქეთის გუბერნატორი ხელმძღვანელობდა. რეფერენდუმის დროს ორი საარჩევნო ყუთი იდგა, თეთრი, სადაც უნდა ჩაერილიყო თურქეთთან გაერთიანების მომხრეთა ბიულეტენები და მწვანე, რომელიც გათვალისწინებული იყო საქართველოს მომხრეთა ბიულეტენებისათვის. გუბერნატორმა რეფერენდუმის დაწყების წინ ხალხს განუცხადა: „ვინც ბიულეტენს მწვანე ყუთში ჩააგდებს, იგი თავისთავად გმობს მუსლიმანობას“.

ხასან თხილაიშვილმა, რომელიც მემედ აბაშიძის აქტიური თანამებრძოლი იყო, გაშიფრა თურქების ჩანაფიქრი და ხალხს მოუწოდა: „სარწმუნოება რა შუაშია, აქ არსებობს პოლიტიკური საკითხი, არ მოტყუვდეთ და ოსმალებს არ მივცეთ ხმაო“. გუბერნატორის ბრძანებით ხასანი ძალით მიიყვანეს თეთრ ყუთთან და მოსთხოვეს ჩაეგდო ბიულეტენი, მან ეს არ გააკეთა და ბიულეტენი მწვანე ყუთში ჩააგდო, რისთვისაც ხასანი დააპატიმრეს და ზარბაზნის ლულაზე მიაკრეს სიკვდილით დასჯის მიზნით, ამან ხალხის აღშფოთება გამოიწვია, რამაც ხასანი სიკვდილისაგან იხსნა.

ამ ძნელბედობს ჟამს ქართული ორიენტაციის ქართველ მუსლიმანთა ერთი ჯგუფი გაიხიზნა თბილისში და დააარსა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“, რომლის თავმჯდომარედ იმხანად ტრაპიზონის ციხეში ტყვეობაში მყოფი მემედ აბაშიძე აირჩიეს, მოადგილედ ჰაიდარ აბაშიძე, მდივნად სულეიმან დიასამიძე.

„სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის დაარსება იმ პერიოდისათვის დიდად გამართლებული მოვლენა იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს



ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში, კომიტეტის წევრებად აირჩიეს: მემედ აბაშიძე, პაიღარ აბაშიძე, ზია აბაშიძე, სულეიმან ბეჟანიძე, ყადირ შერვაშიძე, ჯემალ ნოღაიდელი, ხასან თხილაიშვილი, იუსუფ ქეთუშვილი, სულეიმან დიასამიძე და იუნუს წულუკიძე.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა ქობულეთში ჩამოაყალიბა „მფრინავთა რაზმი“. ამ რაზმს სათავეში ედგა ხასან თხილაიშვილი. ქალაქ ოზურგეთში განმათავისუფლებელ კომიტეტთან ჩამოყალიბდა გასამხედროებული ბატალიონი ასლან აბაშიძის მეთაურობით, ასეთივე ბატალიონი ჩამოყალიბდა ახალციხეში, რომელსაც მეთაურობდა ყადირ შერვაშიძე.

ამ კომიტეტის მიზანი იყო აჭარისა და საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყლიდან ოკუპანტების განდევნა და აჭარის დედამშობლო საქართველოსთან დაბრუნება. კომიტეტს ჰქონდა საკუთარი გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ და ვრცელი სამოქმედო პროგრამა. კომიტეტი ბეჭდავდა პროკლამაციებს და აჭარისა და ახალციხის მოსახლეობაში ავრცელებდა, ადგილობრივ მოსახლეობას განუმარტავდა თურქეთის ჯარების დამპყრობლური პოლიტიკის შესახებ და მოსახლეობას მოუწოდებდა ებრძოლათ ყველა ჯურის თურქულისა და, პირველ რიგში, „სეღდაი მილეთის“ მომხრეთა წინააღმდეგ. „სეღდაი მილეთი“ (ერის ხმა), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყო: თურქოფობური მიმდინარეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მუსლიმანთა შორის, რომელიც ჩამოაყალიბა ბაქოს საზოგადოებამ.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს ადგილებზე, მოსახლეობასთან კავშირის დასამყარებლად ოზურგეთსა და ახალციხეში ჰქონდა გახსნილი განყოფილებები, საიდანაც სამუსლიმანო საქართველოს ტერიტორიაზე ავრცელებდნენ პროკლამაციებს.

1919 წლის იანვარში გამოვიდა გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ პირველი ნომერი. გაზეთი 1919-1921 წლებში გამოდიოდა და მისი რედაქტორი იყო მემედ აბაშიძე. სულ გაზეთის 500 ნომერი გამოვიდა. გაზეთმა დიდი როლი



შეასრულა მოსახლეობის გათვითცნობიერებაში. ერთერთ ნომერში ვკითხულობთ მემედ აბაშიძის წერილს — „ჩვენი მიმართულების განმარტება“, სადაც აღნიშნულია: „სიტყვა საქართველოს განმარტება არ ესაჭიროებთ, რადგან საქართველო ქართული ითქმის, მაშინ უპირველეს ყოვლისა ამის შესახებ წიგნების ენით მეტყველი ერის მიწა-წყალი თვალწინ წარმოვვიდგება“.

გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოში“ ხშირად იბეჭდებოდა მემედისა და ჰაიდარის პატრიოტული წერილები, მაგრამ საუბედუროდ დღემდე ვერ აღმოვაჩინეთ გაზეთის ვერცერთი ნომერი. ძებნა მიმდინარეობს და იმედია მალე ვიპოვით გაზეთის ეგზემპლარებს.

1918 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებიდან თურქები ინგლისელმა ოკუპანტებმა შეცვალეს, მერე დენიკინის ბანდა შეეცადა დაპატრონებოდა აჭარას. ოლქის სამხედრო გუბერნატორად დანიშნული ინგლისელი გენერლის კუკ-კოლისის დახმარებით ბათუმის ოლქში თეთრგვარდიელებმა მოიკიდეს ფეხი. მათ წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას ეწეოდა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ მ. აბაშიძის ხელმძღვანელობით. კომიტეტმა არაერთი მწარე დამარცხება აგემა დამპყრობლებს.

ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადებით საბჭოთა რუსეთმა ვერაგული სამსახური გაუწია საქართველოს და მისი განუყოფელი ნაწილი აჭარა ქართველ ხალხთან შეთანხმების გარეშე ფაქტიურად მიაკუთვნა თურქეთს. ასეთი გადაწყვეტილება მიუღებელი იყო აჭარის მოსახლეობისათვის და ამიტომაც სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა უარყო ბრესტ-ლიტოვსკის ზავის ის ნაწილი, რომელიც აჭარის ბედს ეხებოდა. ამ მიზნით კომიტეტმა ევროპის ქვეყნებში გაგზავნა დელეგაცია ზია აბაშიძის ხელმძღვანელობით. დელეგაციის მიზანი იყო დაერწმუნებინა ევროპის სახელმწიფოთა ხელმძღვანელები ბრესტ-ლიტოვსკის ზავის იმ პუნქტის არაობიექტურობაში, რომელიც აჭარას შეეხებოდა. თუ ამას მიაღწევდნენ, მაშინ თურქეთი იძულებული იქნებოდა დაეტოვებინა აჭარის ტერიტორია. ამ პერიოდში კომიტეტი აჭარის მოსახლეობაში აგიტაცია-პროპაგანდას ეწეოდა გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

ჰაიდარ აბაშიძე შემდეგ დახასიათებას აძლევს სამუს-  
ლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის  
საქმიანობას: „...ამ კომიტეტის მიზანს შეადგენდა, რადაც  
უნდა დაგვედომოდა, ბათუმისა და ართვინის ოლქების  
ხის მაზრით, გაგვენათავისუფლებინა ოსმალეთის  
და შემოგვეერთებინა დანარჩენ საქართველოსთან.“

ჩვენ მოვითხოვდით ბრესტის ხელშეკრულების თანახ-  
მად, თვითგამორკვევის უფლებებს, რომელიც მაშინ უხეშად  
დაარღვია ოსმალეთის სარდლობამ და ძალით დაიკავა ართ-  
ვინის და ბათუმის ოლქები — ახალციხე-ახალქალაქის მაზრე-  
ბით, მაგრამ ოსმალეთს დიდხანს არ დასცლია აღნიშნულ  
ოლქებში ბატონობა, ვინაიდან ამ ხანებში დამარცხდა გერმა-  
ნია და მასთან ერთად ოსმალეთიც და მათ ადგილს იჭერს  
ახალი ბატონი ინგლისის სახით, რომლის ჯარებიც ახდენს  
ოკუპაციას ბათუმისა და ართვინის ოლქებისას. ამ დროს  
„განმათავისუფლებელი კომიტეტიც“ გადავიდა ბათუმში,  
რომელსაც ხშირად ჰქონდა შეხლა-შემოხლა ინგლისის სარ-  
დლობასთან. ბათუმის და ართვინის ოლქების საკითხის ირგვ-  
ლივ და ბოლოს „განმათავისუფლებელმა კომიტეტმა“ ბათუ-  
მის და ართვინის ოლქებში მოაწყო არჩევნები და შექმნა  
„მეჯლისი“ (პარლამენტი), რომელსაც „კომიტეტმა“ გადასცა  
თავისი უფლებები და ამით „კომიტეტმა“ დაასრულა თავისი  
მოღვაწეობა, რის შემდეგ სამოქმედოდ გამოვიდა „მეჯლი-  
სი“.

1918 წლის 13 ნოემბერს გერმანიაში მოხდა რევოლუ-  
ცია, მთავრობა დაემხო, თავისთავად ბრესტ-ლიტოვსკის ხე-  
ლშეკრულებაც გაუქმებულად ჩაითვალა. 1918 წლის 30 ოქ-  
ტომბერს მუდროსის შეთანხმების საფუძველზე თურქეთის  
ჯარი იძულებულია დატოვოს საქართველოს ტერიტორია.  
თურქეთისა და გერმანიის ადგილი ამიერკავკასიაში ინგლი-  
სელებმა დაიკავეს. ოლქის სამხედრო გუბერნატორად დანი-  
შნული ინგლისელი გენერლის კუკ-კოლისის მხარდაჭერით  
ბათუმის ოლქში თეთრგვარდიელებმა მოიკიდეს ფეხი, რომე-  
ლთა წინააღმდეგაც აქტიურ ბრძოლას ეწეოდა „სამუსლიმან-  
ო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“. კომი-  
ტეტმა არაერთი მწარე დამარცხება აგემა დამპყრობლებს.

ინგლისელთა მიზანი იყო თეთრგვარდიელთა ხელისუფ-



ლების განმტკიცება სამუსლიმანო საქართველოში თავისი პოლიტიკური ბატონობის შენარჩუნებისათვის.

ბათუმში ინგლისელთა ყოფნის პერიოდს განეთ „ერთობაში“ (1919 წ. № 9) გამოქვეყნებულ საქართველოს დემონარად გამოგვცემს: „ბათუმში კი ყველაფერი ცხელსხვეფერებულია, საზოგადოებრივი ცხოვრება გაყინულია, გადამწვარი, აოხრებული, განაპირა ბათუმი ცრემლებს მოგვგრის დაგამწუხრებს, სამხედრო ბანაკად ქცეული... ძარცვა-გლეჯვა, მკვლელობა, ლოთობა, ქალების და ბავშვების დახრჩობაც ჩვეულებრივ მოვლენად გადაქცეულა და ბოროტება იმალება ბათუმის საიდუმლოებით მოცულ სიღრმეში.

ქართველების წინააღმდეგ ითესება გესლი და შხამი. შავრაზმული აგიტაცია პრესითაც სწარმოებს. „ნაშ კრაი“ დღითიდღე სხვადასხვა სენსაციური გრძობებით კვებავს ფართო მასებს... მთელი ძალაუფლება, მმართველობის აპარატი ინგლისელების ხელშია... მთელი ფინანსები ინგლისის ხელშია“...

ეს პატარა მაგალითიც საკმარისა, რათა სრულყოფილი წარმოდგენა გვქონდეს ინგლისელთა ყოფნის პერიოდზე ბათუმის ოლქში.

ინგლისელების ჩანაფიქრი იყო, ბათუმი გამოცხადებულიყო თავისუფალ ნავსადგურად — „პორტო ფრანკოდ“, რაც საშუალებას მისცემდა ინგლისს, საქართველოს ყველაზე დიდ ნავსადგურში გაბატონებულიყო. მართლაც, ინგლისის ხელისუფლების დაწოლით მოკავშირეთა საბჭომ ასეთი ადგენილება მიიღო, აღნიშნული დადგენილების განხორციელებას წინ აღუდგა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი.

ჰაიდარ აბაშიძე ძალიან განიცდიდა სამუსლიმანო საქართველოს მცხოვრებთა უმწეო მდგომარეობას, ის ხშირად მიმართავდა დხმარებისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, მაგრამ მდგომარეობა ამიდ უკეთესობისაკენ არ იძვროდა. ჰ. აბაშიძე წერილში „ზმა სამუსლიმანო საქართველოდან“ წერდა: „მე ქართველი მუსლიმანი, სამუსლიმანო საქართველოს შვილი, იძულებული შევიქენ ამ მცირე წერილით, პრესის საშუალებით მეუწყავისთანაც ჯერ არს ის სამწუხარო და სავალალო მოვლენები,



რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს კუთხეში, ბათუმში და მის ოლქში. დღეს ბათუმის ოლქი გარეგნულად არის მოკავშირეთა ოკუპაციაში, სადაც წარმოგზავნილია... ბატონი კუკ-კოლისი, ფაქტიურად ეს კუთხე არის დენიკინელების ოკუპაციაში და ეს ვაჟბატონები კი მოკავშირეთა ქუჩებზე ბენ დენიკინის საქმეებს, და როგორ აკეთებენ არ იკითხავთ: მათრახებით, ცემით, ტყეპით, ძარცვა-გლეჯვით და სხვა ბევრი ასეთებით“.

ინგლისის ხელისუფლება იძულებული შეიქმნა 1920 წელს ივლისში დაეტოვებინა ბათუმის ოლქი. საქართველოს მთავრობისა და ინგლისის მთავარსარდლობის მოლაპარაკების საფუძველზე ინგლისის ჯარის ევაკუაციის პარალელურად მისი ადგილი უნდა დაეკავებინა საქართველოს ჯარს. საჭირო იყო ქართული ჯარის შესვლა ბათუმის ოლქში მომხდარიყო უმტკივნეულოდ. ინგლისის ჯარების მთავარსარდალმა და სამხედრო გუბერნატორმა ბათუმის ოლქში, კუკ-კოლისმა აგენტების საშუალებით შეძლო ადგილობრივი მოსახლეობისაგან მცირე შეიარაღებული სამხედრო ჯგუფების შექმნა აჭარა-ქობულეთის საზღვრებზე, რომელმაც დავალებული უკონსიანთ, ხელი შეეშალათ საქართველოს ჯარების აჭარაში შემოსვლაზე. ამით კუკ-კოლისს უნდოდა ეჩვენებინა ინგლისის ხელისუფლებისათვის, რომ საქართველოს ჯარები აჭარაში შემოდის არა ნებაყოფლობით, არამედ ძალდატანებით. საჭირო იყო ამ საკითხის უმტკივნეულოდ შერეგარება. ამ მიზნით სასწრაფოდ შეიქმნა დამფუძნებელი კრების საგანგებო კომისია, რომელშიც შევიდა: ჰაიდარ აბაშიძე, პავლე საყვარელიძე, დათა ვაჩნაძე, სამსონ ფირცხალავა, გრიგოლ ვეშაპელი და გობეჩია.

მის შესახებ ჰაიდარ აბაშიძემ შემდეგი შინაარსის მორგონება დაგვიტოვა: „ჩვენ დაუყოვნებლივ გავემგზავრეთ ბათუმისაკენ. მე აქ დაწვრილებით თავს არავის მოვაწყენ, მხოლოდ ვიტყვი, რომ ბათუმის ქართველობამ მოძიე ქართველ მუსლიმანებთან ერთად თავდადებული ენერგიით შესძლეს კუკ-კოლისის ხრიკების, ბავიდან გადაღენა და საქართველოს ჯარებმა ნებაყოფლობით დაიკავეს ბათუმის და ათონის ოლქები ქალაქ ბათუმითურთ.“

მოძიე ქართველ ქრისტიანების და ქართველ მუსლიმანე-



ბის შეერთებულ-შეხმატკბილებულ სამი წლის თავდობებულ  
ბრძოლას უქმად არ ჩაუვლია, მაგრამ სამწუხაროდ ორ ძმათა  
შორის შეხმატკბილებული მუშაობა დაარღვია გილაციის  
უტაქტო ხელმა და აი როგორ:

დამფუძნებელი კრების საგანგებო კომისიის მოთხოვნის  
საგანგებო რწმუნებულ მუხრან ზოჭოლავასთან ერთად, ვთა-  
თბირობდით სულ რამოდენიმე დღის შემოერთებულ მოძ-  
მეების საჭირობოროტო საკითხებზე.

ჩვენ ყველაზე უფრო გვაწუხებდა ამ ქვეყნის ავტონო-  
მიის საკითხი, თუ დროებით მაინც როგორ შემოგვევლო  
გვერდი ამ საკითხისათვის.

პირადად ჩემი მოსაზრება ამ საკითხში ასეთი იყო: ამ  
ქვეყნის ყველა კუთხიდან ადგილობრივ გამოგვეყო მისაღები  
პირები, მიგვეცა მათთვის ესა თუ ის თანამდებობა, დაგვენი-  
შნა მათთან გამოცდილი, მცოდნე მოძმე ქართველი ქრისტიან-  
ნები, ზოგან თანაშემწეებად და ზოგანაც პირიქით, რო-  
გორც ამას საქმე გვიჩვენებდა. ამ გზით ჩვენ ჩავაბამდით  
ადგილობრივ მოსახლეობას მართვა-გამგეობის საქმეში, რო-  
მელიც დიდ სამსახურს გაუწევდა ჩვენს საერთო საქმეს.

იმ დროს, როდესაც ჩვენ ადგილობრივ თავს ვიმტვრე-  
ვდით და ვეძებდით გამოსავალს, რომ არ დაგვერღვია არ-  
სებული შეთანხმებული მუშაობა მოძმეთა შორის, თბილი-  
სიდან მოდის დეპეშა: „ბათუმის და ართვინის ოლქების გე-  
ნერალურ გუბერნატორად დანიშნულია ბენია ჩხიკვიშვი-  
ლი“.

ამ სრულიად მოულოდნელმა დეპეშის შინაარსმა ჩვენ  
სრულიად დაგვაბნია, ვინაიდან მაშინ ბათუმში თავმოყრილი  
იყო თითქმის საქართველოს მთავრობის წარმომადგენლო-  
ბა, დაწყებული სამხედრო სარდლობიდან, „დამფუძნებელი  
კრების“ საგანგებო კომისიით და მთავრობის საგანგებო რწმუ-  
ნებულთ, რომლებიც ურთიერთშეთანხმებით მუშაობდნენ  
და თავიანთ მოქმედებას უთანხმებდნენ ადგილობრივ  
პირობებს.

ყველა ამის შემდეგ, გაუგებარი იყო და პირადად ჩემ-  
თვის დღესაც გაუგებარია, თუ საქართველოს დემოკრატიუ-  
ლი მთავრობა რამ მიიყვანა ხსენებულ გადაწყვეტილებამ-

დე, როდესაც ზემოთხსენებულმა მათ მიერვე ნდობით აღჭურვილმა პირებმა ზედმიწევნით და პირნათლად შევასრულეთ ჩვენზე დაკისრებული უმძიმესი ამოცანა, როგორც იყო ბათუმში საქართველოს ჯარების უმტკივნეულოდ შეყვანა.

ვინაიდან „გენერალ გუბერნატორის“ დანიშვნასთან დაკავშირებით მთავრობის დაპირებებს და ყირამალასთან არსებულ მოძმეთა შორის შეთანხმებულ მუშაობას, ამიტომ ხსენებულმა წარმომადგენლობამ სასწრაფო დეპეშით ვაცნობეთ თბილისს, რომ შეეჩერებინათ „გენერალ გუბერნატორის“ გამოგზავნა. ამ ცნობასთან ერთად სასწრაფოდ გავგზავნეთ თბილისში პავლე საყვარელიძე და სამსონ ფირცხალავა, პირადად დაერწმუნებინათ მთავრობა, რომ მოეხსნათ „გენერალ გუბერნატორის“ დანიშვნის საკითხი.

ჩვენ პავლე საყვარელიძე და სამსონ ფირცხალავა უკან დაბრუნებული აღარ გვინახავს, მხოლოდ მეორე თუ მესამე დღეს, საგანგებო მატარებლით და განსაკუთრებული შტაბით ბათუმს თბილისიდან ესტუმრა განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი ბათუმის და ართვინის ოლქების „გენერალ გუბერნატორი“, რამაც ბათუმში დიდი მითქმა-მოთქმა და ბევრში გულისწყრომაც გამოიწვია, რადგანაც საქართველოს მთავრობის მოქმედებაში ხედავდნენ ამ ქვეყნისადმი ყოველივე დაპირებების უკან წაღებას, რის წყალობითაც ახლად შემოერთებული ქვეყნის ჩამოყალიბებისაკენ მიმართული მოძმეთა შეერთებული მუშაობა დაირღვა და მიეცა გასაქანი ყოველგვარ არასასურველ შესაძლებლობას. თავისთავად ცხადია, ასეთი წესით მთავრობის მიერ განსაკუთრებული უფლებებით „გენერალ გუბერნატორის“ დანიშვნის შემდეგ მთავრობის რწმუნებულის მუხრან ხოჭოლავას და „დამფუძნებელი კრების“ საგანგებო კომისიის ბათუმში დარჩენა სასაცილო იყო და დავტოვეთ ბათუმი“.

1917 წელს თებერვლის დემოკრატიულმა რევოლუციამ დაამხო მეფის თვითმპყრობელური რეჟიმი და იმედი მისცა იმპერიაში შემავალ არარუს ხალხებს მოეპოვებინათ ეროვნული დამოუკიდებლობა. პოლონეთში, ფინეთში, უკრაინაში, ბალტიისპირეთში იწყებენ ბრძოლას ეროვნული სახელმწიფოების შექმნისათვის. ოდნავ განსხვავებული მდგომარეობა შეიქმნა საქართველოში, სადაც ისახებოდა დამოუ-



კიდებელი საქართველოს შექმნის იდეა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ საქართველო უნდა დარჩენილიყო რუსეთის სახელმწიფოებრივ კავშირში... ჩემის აზრით, რუსეთში გაფანტულ ქართულ კოლონიებს არ აწყობდა თავისი სამშობლოს რუსეთისაგან განშორება.


საქართველოს პოლიტიკური პარტიების გაერთიანებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის განსაკუთრებით აქტიურად იბრძოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. 1917 წლის აპრილში ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალ-დემოკრატიული პარტიების ინიციატივით შეიქმნა ინტერპარტიული საბჭო, ხოლო აგვისტოში შედგა ამ საბჭოს დამფუძნებელი კონფერენცია. ინტერპარტიულ საბჭოში გაერთიანდნენ სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები და სხვა პოლიტიკური პარტიები, გარდა ბოლშევიკური პარტიისა.

1917 წლის ნოემბერში ქართველი თავადაზნაურების საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება უსასყიდლოდ გადაეცა ქართველი საზოგადოებისათვის. ყოველივე ეს დღის წესრიგში აყენებდა ეროვნული ყრილობის მოწვევის აუცილებლობას.

1917 წლის 19 ნოემბერს თბილისში ინტერპარტიული საბჭოს ინიციატივით გაიხსნა საქართველოს ეროვნული ყრილობა. მას გადამწყვეტი ხმით სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების (გარდა ბოლშევიკებისა) და ორგანიზაციების 324 დელეგატი ესწრებოდა.

ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრები: მენშევიკებიდან — ნ. ყორდანი, ა. ჩხენკელი, სილ. ჯიბლაძე, ევგ. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი, ვლ. ჯუღელი, პ. აბაშიძე, კ. გვარჯალაძე, ს. მაისურაძე, ა. კიაბრიშვილი, პ. გელაშვილი, ა. არსენიძე, გ. ჩხიკვიშვილი, ნ. ელიავა, მ. ტოროშელიძე, ს. საფრიძე, გ. ურუტაძე, ა. ფარნიაშვილი, გ. გბორვაძე, ვ. როგავა, კ. კლიმაშვილი, ვ. თევზაია, ე. სირბილაძე, ნ. ხომერიკი.

სოციალ-ფედერალისტებიდან — გ. ლასხიშვილი, გ. რცხილაძე, ს. მესხიშვილი, ი. გედევანიშვილი, ი. ფირცხალავა, დ. უზნაძე, ი. ბარათაშვილი, ი. ბაქრაძე, ი. მდივანი, ა. წერეთელი.



ეროვნულ-დემოკრატებიდან — ნ. ნიკოლაძე, გ. ქიქოძე, ი. დადიანი, გ. ყურული, გ. გვაზავა, შ. ამირეჯიბი, გ. მაჩაბელი, ს. კედია, გრ. ვეშაპელი.

სოციალ-დემოკრატ-რევოლუციონერებიდან — კ. მესხია, ვ. გობეჩია, გ. გათენაძე, ვ. ჩერქეზიშვილი, ი. გობეჩია, ი. გობეჩია.

კალიონის“ ჯგუფიდან — პ. ქარცივაძე, ი. გომართელი, ნ. ქარცივაძე, პ. საყვარელიძე.

რევოლუციონერ-დემოკრატებიდან — დ. ჩიქოვანი.

უტოპისტებიდან — კ. აფხაზი, კ. მაყაშვილი.

აჭარიდან — ჯიბილ ბეგ ხიმშიაშვილი, მემედ ბეგ აბაშიძე, რეჯებ ნიჟარაძე.

აფხაზეთს, ზაქათალის ოლქსა და ოსეთს ყრილობის დამთავრების დროისათვის თავიანთი კანდიდატები არ დაუბრუნებიათ.

20 ნოემბერს ეროვნული საბჭოს სხდომაზე არჩეულ იქნა

25 კაცისაგან შემდგარი აღმასრულებელი კომიტეტი ნოე ყორღანის თავმჯდომარეობით. მის შემადგენლობაში შედიოდნენ სოციალ-დემოკრატებიდან მ. კაციანი, ყორღანაძე, ჩხენკელი, სილ. ჯიბლაძე, ნ. რამიშვილი, ალ. ლომიაძე, შაიდარაბაშიძე, ალ. ფარნიაშვილი, პ. საყვარელიძე.

კალიონის“ ჯგუფიდან კანდიდატები: პ. გელაშვილი, ან. ჭაბიაშვილი, ი. წულუკიძე და კ. ქარცივაძე.

სოციალ-რევოლუციონერებიდან — ი. 2 კაცი, უსუელი, გობეჩია და კ. მესხია.

სოციალ-ფედერალისტებიდან — გრ. რცხილაძე და გედგანიშვილი, კანდიდატები — ი. ბარათაშვილი და დ. უზნაძე.

ეროვნულ-დემოკრატებიდან — გ. გვაზავა და გ. ვეშაპელი, ამაჰმადიანო საქართველოდან — მემედ ბეგ აბაშიძე.

ჩემი დაკვირვებით, ყრილობის მიერ არჩეული ეროვნული საბჭო, ფაქტიურად საქართველოს რესპუბლიკის გამომცხადებამდე (1918 წ. 26 მაისი) ასრულებდა პარლამენტის ფუნქციას, ხოლო აღმასრულებელი კომიტეტი კი მთავრობის.

ამრიგად, შეიქმნა ეროვნული დაწესებულება, რომელსაც ჯერ ვიდრე არ გააჩნდა რეალური ძალაუფლება, მაგრამ მოწოდებული იყო მომავალში გამხდარიყო საქართველოს



ხელისუფლების დამფუძნებელი“ (პროფ. მიხეილ სვანიძე, „საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა“, გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1991 წ. 21 დეკემბერი, გვ. 6).

განუსაზღვრელი სიხარული მიანიჭა ჰაიდარ აბაშიძეს 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოდ გამოცხადებამ, მან აჭარის მოსახლეობის სახელით შემდეგი სიტყვებით მიულოცა ქართველ ერს ესოდენ დიდი დღესასწაული:

„ძვირფასო ძმანო, მე, თქვენ, მოძმე ქართველი მაჰმადიანი, სულითა და გულით გილოცავთ ამ ბრწყინვალე დღეს, მრავალტანჯულ საქართველოს თავისუფლებას. ვუტყვი ამ აქტს და ჩემი სული განიცდის სიხარულს და სიტკბობას, მაგრამ ამასთან ერთად ნაღველით იესება, როდესაც ამ ბედნიერების დღეს სამაჰმადიანო საქართველო, ეს თქვენი ღვიძლი ძმები თქვენთან ვერ არის... მე მამხნევებს ის, რომ მარტო არა ვარ და ჩემთან ერთად არის სამაჰმადიანო საქართველოს მიწა-წყალი, მისი სიამაყე ციხე-კოშკების ნანგრევები და მასთან ერთად მრავალი ქართველი მაჰმადიანი, რომელიც სულითა და გულით თქვენთან არის და იქნება კიდევ“.  
(გაზ. „ერთობა“, № 107, 1918 წ.).

ჰაიდარ აბაშიძე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისაგან მოითხოვდა, რომ მიწა გლეხებს უსასყიდლოდ გადასცემოდა: განსაკუთრებით მას აღელვებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გლეხების სავალალო მდგომარეობა. აღნიშნულიდან გამომდინარე ჰაიდარი საქართველოს მთავრობას უგზავნის შემდეგი შინაარსის დეპეშას: „პირველ იანვარს ვიწვევ გლეხთა ყრილობას, გლეხობას ავუხსენი მიწის რეფორმის შინაარსი, რამაც ბეგების, ხოჯების გავლენა შეამცირა მაზრაში“.

ყრილობას ჰაიდარ აბაშიძე დიდ შეფასებას ანიჭებდა. ეს ყრილობა — ამბობდა ის, — იქნება ისტორიული ყრილობა და საუკუნოდ ჯვარს დაუსვამს ბეგებისა და ხოჯების ბატონობასო. ჰაიდარ აბაშიძე მუსლიმან ქართველებს მოუწოდებდა: დადგა დრო, ჩვენმა, ქართველმა მუსლიმანმა მშრომელმა ხალხმაც გამოიღვიძოს, შეიგნოს ეს ყოველივე, მისი ბედი მანვე აიღოს ხელში და საქრისტიანო საქართვე-

ლოს მშრომელ ხალხთან ძმობა-ერთობით, ხელიხელჩაკიდუ-  
ბული გასწიოს წინ ტანჯულთა და მაშვრალთა ბედნიერებისა  
და კეთილდღეობის მოსაპოვებლად.

1918 წლისათვის თურქეთის მთავრობამ დასვა საკითხი,  
რომ აჭარა შეერთებოდა თურქეთს ავტონომიის უფლებით.  
ჰაიდარ აბაშიძე ამას მკაცრად გამოეხმაურა: „...ჩვენს ხალხს  
ოსმალეთის ავტონომია არ ესაჭიროება... ჩვენ ვართ გურჯე-  
ბი — ქართველები და შევადგენთ საქართველოს განუყო-  
ფელ ნაწილს და ამიტომ გვწამს ჩვენი მომავალი, რომელიც  
გამოიხატება სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს  
ეროვნულად და ტერიტორიულად შეკავშირებაში და შედუ-  
ლებაში. მაშ, შორს ჩვენგან ოსმალეთის და ზოგიერთი მოლა-  
ლატეების ახალი ქსელები და გაუმარჯოს ჩვენს დიდებულ  
მომავალ, მთლიან საქართველოს“.

მემედ აბაშიძემ „სამუსლიმანო საქართველოს“ განმათა-  
ვისუფლებელი კომიტეტის“ წინაშე დასვა საკითხი, რათა  
დაესწროთ თურქეთის მთავრობისათვის და შეექმნათ აჭა-  
რის ავტონომია, შემავალი საქართველოს ფარგლებში, რაც  
თავისთავად დღის წესრიგიდან მოხსნიდა თურქეთის მთავ-  
რობის ჩანაფიქრის განხილვის საკითხს. „განმათავისუფლე-  
ბელი კომიტეტის“ წევრებმა მხარი დაუჭირეს მემედ აბაში-  
ძის წინადადებას, რაც იმდროინდელი კონკრეტული სიტუა-  
ციით იყო განპირობებული.

„სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი  
კომიტეტის“ მოთხოვნა 5 დეკემბერს თბილისში ჩაიტანა მე-  
მედ აბაშიძემ და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს გადას-  
ცა.

საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებაზე  
„განმათავისუფლებელი კომიტეტის“ მოთხოვნას ერთსულო-  
ვანი მხარდაჭერა ხვდა და კრებამ 1919 წლის 25 დეკემბერს  
აჭარა ბათუმითურთ გამოაცხადა საქართველოს კანონიერ  
კუთვნილებად და აღჭურვა იგი ავტონომიური უფლებებით.  
ჰაიდარ აბაშიძის მოღვაწეობა უნდა განვიხილოთ სამ  
ასპექტში: როგორც პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე და  
თავისი დროის ქართველ მუსლიმანთა თვალსაჩინო განმანათ-  
ლებელი.

აჭარაში ეროვნული გრძნობის გაღვიძებას დიდად შეუ-



წყვეს ხელი ქართველი მოწინავე ინტელიგენციის დახმარებით გახსნილმა ქართულმა სკოლებმა და ამ სკოლებში მასწავლებლად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოვლინებულმა პედაგოგებმა, რომელთა მოღვაწეობაც უმჯობესებდა შერიოდში გმირობის ტოლფასი იყო.

**დღეისათვის ძნელია ყოველივე იმის გადმოცემა, რა უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა მაშინ ერთ დროს შვიგნობრობით სახელგანთქმული მამაცი აჭარლები.**

ჩვენი ცნობილი მეცნიერი მოსე ჯანაშვილი, 1913 წელს დიდი გულისტკივილით წერდა: „ლამის ენაც ამოაგდეს იქ, ის ენა, რომელზედაც გალობდა შოთა“.

1915 წელს გამოქვეყნებულ ხულოს სკოლის ქართული ენის მასწავლებლის იოსებ მელიქიშვილის წერილში ვკითხულობთ: „ხულოში სულ ხუთი აჭარელია, რომლებიც სარგებლობენ ჟურნალ-გაზეთებით, ახერხებენ კითხვას და ამონაკითხის გაგებას... შედით საყავეში, ამოიღეთ გაზეთი, აუარებელი ხალხი გარს შემოგერტყმით და გაიგონებთ სიტყვებს ხევწნისას: წავვიკითხე, ბატონო, წავვიკითხე, რა ამბავია დუნიაზე“...

აჭარის მოსახლეობის ასეთი უნუგეშო მდგომარეობა ძალზე აწუხებდა ქართველ საზოგადო მოღვაწეებს და ამიტომაც მათი თანადგომითა და მატერიალური დახმარებით 1916 წელს აჭარის სოფლებში გაიხსნა ექვსი სკოლა: ხუცუბანში, ალამბარში, აგარაში, ზემო აჭარაში, ჩხუტუნეთში და ყოროლისთავში.

სოფელ ყოროლისთავში ჰაიდარ აბაშიძემ სკოლისათვის უსასყიდლოდ დასთმო დედისეული სახლი. სკოლის გახსნისას ჰაიდარ აბაშიძემ მოსწავლეებს შემდეგი მამობრივი სიტყვებით მიმართა: „ჩვენი წარსულნი გმირნი დღემდის ჩვენზე უიმედობით ილაჯგაწყვეტილნი და დღეს იმედებით აღჭურვილნი, დიდ სიხარულს განიცდიან, რომ დღეს უკვე ჩაეყარა საძირკველი იმ ტაძარს, რომელმაც უნდა აღზარდოს მათი საღმერთებელ მიდამოების მოჭიკჭიკენი და მომღერალნი... მაშ, ასე, ძმებო, მოვიკიდოთ ხელი სწავლა-განათლებას და მით ვავსწყვიტოთ ჯაჭვი უნობისა, მაგრად ჩავ-

ჭიდთ ხელი ძმებმა ერთმანეთს, ვიმხიარულოთ და მასთან ერთად ვამხიარულოთ დღემდის მიძინებული ჩემი მიღამოები“.

სოფ. ყორღლისთავის სკოლას ქართველთა შორის წყალობის გამავრცელებელი საზოგადოება მეუღლეობდა, მაგრამ ჰაიდარის მზრუნველი ხელი სკოლას არასოდეს მიუღებია, ამიტომაც აღნიშნული სკოლა დღეს ჰაიდარ აბაშიძის სახელს ატარებს.

აჭარაში ქართული სკოლების გახსნის სულისჩამდგმელი იყო დიდი ილია, რადგანაც ის გრძნობდა: თუ არა შოთას, ილიას, აკაკის, იაკობის, ვაჟას და სხვათა ქართველთა დიდებულ უკვდავ ქმნილებებთა შესწავლა ქართულ ენაზე, სხვა მხრივ იმდროისათვის გამაჰმადიანებულ ქართველთა ჩამორჩენილ ნაწილში არ დაინერგებოდა იმის შეგნება, რომ ისინი ქართველები არიან და მათი დედა-ენა ქართული ენაა. ილია ამბობდა: „...ახლა უნდა გაუმართოთ ხელი ამ ახლად დაბადებულ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას და ვალად დავსდეთ, რომ აჭარაში და ქობულეთში, რაც შეიძლება მომეტებული სკოლები გამართოს. ეს სკოლები სხვა ყოვლის საშუალებაზედ მეტად სულით და გულით შემოგვიერთებენ აჭარისა და ქობულეთის ერსა და ისევ ძმურს სიყვარულს ჩამოავდებს ჩვენში“.

ჰაიდარ აბაშიძის თანადგომითა და მხარდაჭერით ბევრმა აჭარელმა ახალგაზრდამ მიიღო პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო-სპეციალური და უმაღლესი განათლება.

ჰაიდარ აბაშიძის ამ შეუწყობელ ბრძოლას დიდი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა, რასაც უკვალოდ არ ჩაუვლია ის იყო უერთგულესი პატრიოტი საქართველოსი. მის მიმართ გატარებულმა რეპრესიებმა ვერ გატეხა მისი შეუდრეკელი გამირული სული.

ჰაიდარ აბაშიძე თავის ერთერთ გამოსვლაში აღნიშნავს: „მე მუდამ მახსოვდა უკვდავი აკაკის ანდერძი: „სიმართლისათვის, სამშობლოსათვის ბრძოლის ველზე ქედი არავის წინაშე არ მოგეხაროსო“. აკაკის ამ სიტყვებს მუდამ გულში ღრმად ვატარებდი, ვცდილობდი ვყოფილიყავი ერთგული ამ ანდერძისა და ჩემი მშობელი ქართველი ხალხის საკეთილ-



დღეოდ — ბევრი თუ არა, ცოტა რაიმე შინც გამეკეთებინა“.

1964 წლის 21 მარტს თბილისში საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართა მგზნებარე ქართველი პატრიოტის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის ჰაიდარ აბაშიძის დაბადების 70 წლისთავი.

სახელმძღვანელო ქართველი მამულიშვილის განგლილ საინტერესო ცხოვრების გზაზე სიყვარულით ილაპარაკეს მწერლებმა: ს. ჭილაიამ, დ. შენგელაიამ, გრ. აბაშიძემ, გ. ლეონიძემ, ლ. გოთუამ, ი. ვაკელმა, ფ. ხალვაშმა, მ. ასათიანმა, ირ. ქავყარაძემ, ს. კლდიაშვილმა, ი. რურუამ, რ. ქორჭიამ, ა. ხუნდაძემ და სხვებმა.

მწერალმა ლევან გოთუამ ჰ. აბაშიძის მოღვაწეობას შემდეგი შეფასება მისცა: „ჩვენი ერის უგრძეს და ურთულეს ისტორიის გზაზე, ყველაზე უფრო მძიმე და საბედისწერო თავსატეხი — ჩვენი ტომებისა და სხვადასხვა მხარეთა ერთიან-მთლიანობა იყო.

ამ დიდი ასპარეზის მოღვაწე იყო და არის ჩვენი ჰაიდარ აბაშიძე, საქართველოს სამხრეთის ღირსეული შვილი.

იგი, დიდი იოანე საბანისძისეული შეგნებითა და შემართებით, ფეხმოუცვლელად, წარბშეუხრელად სდგას ამ სადარაჯოზე და მისი ყოველი სიტყვა გულში გვექდერება ჩვენცა და საჩვენოს იქით დარჩენილ ქართველ სამყაროს შვილთა...

არიან თქვენებრ მოღვაწენი, დიდად პატივცემულო ბატონო ჰაიდარ! რომელთა ყოველი თარიღი და მაჯის ცემა, სამშობლოს საერთო თარიღებსა და გულისთქმას ემთხვევა, აესებს და თავადაც უფრო ივსება ხალხთან განუყრელობის გრძნობა, რომელიც თქვენ მუდამ გახლდათ და გასულდგმულებდათ უდიდეს გრძნობათა ყველა დროის სამოღვაწეოში. ამიტომ არის, რომ დღეს ყოველი შეგნებულად მოაზროვნე ქართველი, სულიერად თქვენთან არის და ზემოთს თქვენს კარგად ყოფნასა და მხცოვან სიბრძნის კიდევ ერთ ბედნიერ თარიღს.

გულმართალი მოღვაწე და ჭირისუფალი ერის ძნელბედობის დროს მოწმდება და უფრო მეტავნდება ხოლმე... თქვენი ფაქიზი სიბრძნე და სულიერი შემართება იყო დიდი

თავდები და საწინდარი ღვიძლ ძმათა შორის ურყევ ძმობისა და განუყრელობისა.

ჩვენ ყველანი თქვენი უმცროსი თანამედროვენი, კრძალვითა და სიყვარულით შემოგხარით თქვენ — ახლაც მოწოდებულსა და სამაგალითოდ ნათელს. თქვენ აქამდე არაფერს არ მიგიღიათ თქვენი ნაამაგარის ესოდენ სიმბაღად აღიარება, არც გსურდათ იგი. თქვენთვის ეროვნულ-საზოგადოებრივი საქმიანობა შინაგანი მისწრაფებისა და მრწამსის მოთხოვნის უშრეტი წყარო იყო და არის.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ სწორედ ასეთმა მოღვაწეებმა შეგვინახეს ისტორიული საქართველო აურაცხელ ზეცის ქვევათა და მიწის ძვრათა მიუხედავად და დღეს ლაღად რომ ძვერს ქართული გული, სიტყვა და სულისკვეთება მთელ ჩვენულ შემორჩენილ მიწა-წყალზე, — აჭარიდან საინგილომდე, ამაში არის თქვენი მადლი და დამსახურება.

მადლიერი ხალხის გულში მუდამ სახლობს და სახელოვნობს ისეთი მოღვაწე, რომელიც თქვენებრ აერთიანებს თავდადებასა და გამჭრიახობას, მშობლიურ ხალხის უანგარო სიყვარულსა და იმ ძარღვს შუბლისას, რომელიც წინაპრებიდან მოდის და მოდის და შთამომავლობას უნდა უწყაეტად გააყვეს და გააყვეს.

ყოველი ერი დიდია მხოლოდ თავისი შვილთა დიდებული დეაწლით. ხოლო იმ ხალხს, რომელსაც ახსოვს და უყვარს თავისი მოღვაწენი, იცის მათი მოვლა და ფასი, არც ასეთ ძეთა კვლავაც შობა და აღზრდა არ გაუჭირდება.

ჩვენ ვიცით, რომ ყოველ ქართულ საყრდენ კედელში ერთ-ერთ კუთხის ქვა-ბალავრად დევს თქვენი მართალი საქმე, ფიქრი და წიგნი, მაგრამ წინაც დიდი გზა-საკვალავი გიწევთ. ამ სარბიელზე სიბერისათვის არა გცალიათ — ქართულ ტაძრის მოწინავენი ხომ მუდამ იყვნენ მესხნი და კლარჯნი. მიიღეთ ჩვენი სიყვარული და აღფრთოვანება. ჩვენი მთლიანობის სასამხრეთული ალაში, დაუღალავო და უბერებლო“.

ახალგაზრდობიდანვე ახლო მეგობრულ დამოკიდებულებაში იყვნენ ჰაიდარ აბაშიძე და ცნობილი მეცნიერი, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფუძემდებელი ნიკო ბერძენიშვილი, რომელმაც ჰაიდარ აბაშიძის სახელზე



ამოგზავნა მეგობრული სიტბოთი გამსჭვალული შემთხვევაში  
შინაარსის დებეზა: „ქართველი ერის სიყვარულით გამომა-  
თარო მამულიშვილო, ქართული სკოლის ძუძუ ნაწოვო,  
მებრძოლო; დიდი აკაკის ნაკურთხო რაინდო-სახელის  
აჭარის ურულო გუშაგო, კეთილშობილო-ვაჟკაცი ბედნიე-  
რი ხარ! აჭარა მადლობას გიძღვნის შენ, მისთვის ღვაწლ-  
მოსილს, შენ მისთვის დაბადებულს! თავისუფალ საქართვე-  
ლოში. სალამს გიძღვნის ყველა და თითოეული პატრიოტი!  
გილოცავ საშოცდაათი წლისთავს და გისურვებ მრავალჟა-  
მიერ სიცოცხლეს!“

სალამონ დასასრულს დამსწრე საზოგადოებას მიესალმა  
და სიტყვით მიმართა ჰაიდარ აბაშიძემ: „ჩემთვის ამ მეტად  
დიდ ბედნიერების დღეს, უპირველეს ყოვლისა ნება მიბო-  
ძეთ უღრმესი მადლობა მოგახსენოთ ესოდენ გულთბილი  
შეხვედრისათვის, მშობლიური ხალხის საბედნიეროდ გა-  
წეული ჩემი მოკრძალებული ღვაწლის დაფასებისათვის.

უბედნიერესად ვთვლი ჩემს თავს, რომ მოვესწარი სა-  
ქართველოსა და მისი სახელოვანი კუთხის — აჭარის განახ-  
ლება-აღორძინებას.

ამ ბედნიერებას მიასკიცებს იმის შედარება, რაც იყო  
წარსულში და რაც არის დღეს.


ჩვენ ღრმად გვწამდა, რომ საქართველო არ დაკარგავდა  
თავის ღვიძლ შვილს — აჭარას.

ქართველი ხალხი, თიდი ილიას მითაურობით, არასოდეს  
არ ივიწყებდა თავის დაჩაგრულ ძმებს და მუდამ თავგამო-  
ცებით ექომაგებოდა თავის სამშობლოს დედა-ძუძუსაგან  
უკუღმართი ბედის წყალობით უსამართლოდ მოწყვდილილს.

იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენაზე“ აღზრდილებს მუ-  
დამ გვჯეროდა და ღრმად გვწამდა დიდასაქართველოსთან  
შედულებული — მშობლიურ ნიადაგზე მტკიცედ დამდგარი  
აჭარის ნათელი მომავალი...

აჭარის მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერებისა  
და ქართველი ხალხის ერთიანობისათვის, თიდი ილიას მე-  
თაურობით, გაწეულ ბრძოლას უქმად არ ჩაუვლია.

დღეს ნათლად ვხედავთ, თუ როგორ გაიფურჩქნა და  
აყვავდა ახალი ცხოვრების ყველა უბანზე მშობლიურ ნია-  
დაგზე მტკიცედ დამდგარი აჭარა, თუ როგორ შეიტკბო



მშობლიური ნეტარსაჲმო დარბაისლური ქართული ენა და როგორ შევდუღაბდით ღვიძლი ძმები.

ქართველ ხალხს დიდად ახარებს აჭარის განახლება. მისი ეკონომიური და კულტურული აყვავება-აღორძინება აჭარის ხალხსა. სადაც დღეს ლალად ჩქეფს სისხლი სახელოვანი ქართველი ხალხისა და გაისმის ქართველი ხალხის ძმობა-ერთობის ძლიერი ხმა, ხმა ღვიძლ ძმათა შეკავშირება-შედუღებისა. ამაზე დიდი სიხარული და ბედნიერება რა უნდა იყოს? ამისათვის იბრძოდა დიდი ილია და მოვესწარით.

ბედნიერი ვარ, რომ ახლა ის, რასაც ყრმობიდანვე ვნატობდი და რისთვისაც შეძლების ფარგლებში ვიბრძოდი — აჭარის პატრიოტულ ძალებთან ერთად — ქართველი ხალხის მოწინავე შვილების ხელმძღვანელობით“..



თბილისში, სტუდენტობის პერიოდში, ხშირად მესმოდა ჰაიდარ აბაშიძის სახელი. მაშინ მის საქმიანობას ნაკლებად ვიცნობდი, ვიცოდი მხოლოდ ის, რომ ბატონი ჰაიდარი იყო ცნობილი პუბლიცისტი და აჭარის დიდი მოამაგე. ერთხელ ჩემმა მეგობარმა, ჰაიდარ აბაშიძის ძმისშვილმა, როსტომმა მიმიპატიჟა ჰაიდართან სახლში. ჰაიდარი ცხოვრობდა ვაშლოვანის ქუჩაზე. როდესაც მივედი, გამოგვეგება მისი მეუღლე, წერეთლის ქალი, ქალბატონი მარგალიტა, რომელმაც სახლში თბილად მიგვიღო. შევედით მოზრდილ 18 კვადრატულ მეტრიან ოთახში. მაგიდასთან მდგომ სკამებზე ჩამოვჯექით. 10 წუთის შემდეგ ოთახში შემოვიდა გამხდარი, ხანშესული კაცი. როსტომმა შემოსული წარმომიდგინა: — თემურ! გაიცანი ბიძაჩემი, ჰაიდარი. მან მამაჩემი და ბიძაჩემი მოიკითხა, აღმოჩნდა, რომ მათ კარგად იცნობდა. რამდენიმე წუთში ჩაი და ნამცხვრები მოგვართვეს. გზაში როსტომს ვუთხარი, რატომ თქვენებმა სასტუმრო ოთახში არ მიგვიპატიეს მეთქი. მას გაეცინა და მითხრა, რაც უენ ბიძაჩემთან ნახე, ის არის მისი ავლადიდებო. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, ამოდენა დიდი ავტორიტეტის კაცს ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობებიც კი არ გააჩნდა. ორი წლის შემდეგ გადაწყდა ჩვენი ოჯახების დამოყვრება, რის



შემდეგ ბატ. ჰაიდარის ოჯახში ოფიციალურად მიმინათი-  
ყეს. მეორედ მისვლის დროს მე უკვე სრულყოფილად  
ვფლობდი ჰაიდარის წარსული ცხოვრების ამსახველ საქმიან-  
ობას.

ბატონი ჰაიდარი სიცოცხლის ბოლო წლებში ბატონ  
ბინაში ცხოვრობდა. გარდაცვალების შემდეგ მისმა ოჯა-  
ხმა საქართველოს მწერალთა კავშირის რეკომენდაციით  
თბილისში მიიღო სამოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა.

ბატონ ჰაიდარს ამის შემდეგ, როგორც მოყვარეს, ხში-  
რად ვხვდებოდი და დავმეგობრდით კიდევ.

ჰაიდარ აბაშიძეს ორი ქალიშვილი დარჩა: გუგული და  
ლეილა.

ქალბატონი გუგული დაიბადა 1918 წელს ქ. ბათუმში.  
1940 წელს დაამთავრა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცი-  
ნო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. არის I კატე-  
გორიის ქირურგი. 1941 წლიდან ქ-ნი გუგული ცხოვრობს  
ქ. თბილისში. მისი მეუღლე ვენედიქტე (ძაგული) მაღლაკე-  
ლიძე იყო ცნობილი ქირურგი, რამდენიმე შრომის ავტორი.  
გარდაიცვალა 1974 წელს. ქ-ნ გუგულის ჰყავს ორი შვილი,  
ვაჟი — ნიაზი და ქალიშვილი — ქეთევანი. ნიაზიმ მშობ-  
ლების პროფესია აირჩია, მედიცინის მეცნიერებათა კანდი-  
დატია, ჰყავს ვაჟი — გიორგი, სპეციალობით ექიმი.

ქეთევანი მხატვარია, დაამთავრა ქ. თბილისის სამხატვ-  
რო აკადემია, ჰყავს ერთი ქალიშვილი — ლელა მახარობლი-  
ძე, ისიც დედის კვალს გაჰყვა.

ჰაიდარ აბაშიძის მეორე ქალიშვილი, ლეილა დაიბადა  
ზიათურაში, დედუღეთში, 1922 წელს. 1939 წელს დაამთა-  
ვრა თბილისის მე-18 საშუალო სკოლა, ხოლო 1943 წელს  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური  
ფაკულტეტი. 1944 წლამდე მუშაობდა თბილისის სამთო ტექ-  
ნიკუმში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1946 წელს ოჯახური მდგომარეობის გამო საცხოვრებ-  
ლად ჩამოვიდა ქალაქ ბათუმში.

ამჟამად მუშაობს ბავშვთა საავადმყოფოში ლოგოპე-  
დად.

შეზღირდები ქალბატონ ლეილას ოჯახზე იმდენად, რამ-  
დენადაც მისი ოჯახის ყველა წევრს ახლოს ვიცნობ და მათი

წარმოიჩინა ჩემთვის ადვილია. ეს ოჯახი მტკიცე, ქართული ტრადიციების მქონე ოჯახის ეტალონია, კეთილსინდისიერებით, შრომისმოყვარეობითა და ნათესაური დამოკიდებულებით გამორჩეულნი. ქ-ნი ლეილა თავისი პრინციპულობითა და ადამიანური თვისებებით აბაშიძეების გვარის განსხვავებულობას. ის არის თავისი გვარის ემოციური ქომაგი-სამყარო თანამეგვარე ნათესავის დიდი მოყვარული. ჰყავს საზოგადოებაში დიდად დაფასებული მეუღლე რესან ქიქავა, რომელიც ბათუმის კოლორიტი, თავისი აღზრდით, კაცურკაცობითა და განათლებით, მუშაობს საავადმყოფოს მთავარ ექიმად.

მზევინარი ექიმი-გინეკოლოგია, თეიმურაზი კი — ინჟინერ-მშენებელი, მინიჭებული აქვს ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის წოდება, მუშაობს ბათუმის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დოცენტად.

ორთავე და-ძმა ხასიათით მშობლების განსახიერებაა. არიან ბაბუასავით დიდად ზრდილნი და მორიდებულნი. ახალგაზრდობის მიუხედავად საზოგადოებაში კარგი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობენ. ორთავეს ჰყავთ შვილები. ამ მხრივ ბატონ ჰაიდარს ნამდვილად გაუმართლა.

აუცილებლად, მივიჩნით აღნიშნულ ნაშრომში წარმოვაჩინოთ ჰაიდარ აბაშიძის ძმები და მისი ოჯახის ახლო წევრები, რადგანაც ისინი გაკეთებული საქმეების მიხედვით ცალკე ნაშრომების ღირსნიც კი არიან.

ჰაიდარის უფროსი ძმა იუსუფი დაიბადა 1895 წელს ქ. ბათუმში; საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1912 წელს, სწავლა გააგრძელა ოდესის ტექნიკურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1914 წელს, დაიწყო მუშაობა ქ. ბათუმის სამხედრო საინჟინრო სამმართველოს ტექნიკოსად. 1915-16 წლებში მუშაობდა ტრაპიზონის სამშენებლო ჯგუფის ტექნიკურ ხელმძღვანელად. 1916-18 წლებში ბათუმ-ტრაპიზონის რკინაგზის მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებლად. 1918-19 წლებში ქ. ბათუმის მშენებლობისა და წარმოების ხელმძღვანელია. ასევე მუშაობდა ჭიათურის სამშენებლო რაიონის უფროსად. 1935 წელს იუსუფ აბაშიძემ დაამთავრა ამიერკავკასის ინდუსტრიული ინსტიტუტი, რომლის შემდეგაც, 1938 წლამდე, მუშაობდა ქუთაისის



აბრეშუმის კომბინატის უფროსის მოადგილედ და სხვა. მას სიაიკეიული ჰქონდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული იუჟინრის წოდება.

ბატონი იუსუფი იყო წარმოსადგეი, კომპარტიური მუშაკი-ხელაობის მამაკაცი. როგორც ბეგის წარმომადგენელი მუშაობდა განიცდიდა შევიწროებას, მაგრამ ამას მის დიდბუნებოვანებაზე უარყოფითად არასოდეს უმოქმედნია. ის იყო მრავალმხრივ განათლებული კაცი. ბევრს მუშაობდა აჭარის წარსულის ამსახველ თემატიკაზე და მრავალი გამოუქვეყნებელი მასალაც დატოვა, რაც შესწავლას მოითხოვს.

ბატონი იუსუფი იყო დიდად თავმდაბალი ადამიანი. ბავშვთა ბავშვი და დიდთან დიდი. არ მახსოვს, შეხვედრის დროს შეუმჩნეველი დავეტოვებინე, მომესალმებოდა და ნომეალერსებოდა.

იუსუფ აბაშიძე გარდაიცვალა 1969 წელს.

მას დარჩა მასავით კეთილისმთესველი ხუთი შვილი, ოთხი ქალიშვილი და ერთი ვაჟიშვილი: თამარი, ასიკო, ენისე, გულიკო და მურადი.

ჰაიდარ აბაშიძის მეორე ძმა ყადირი დაიბადა 1901 წლის ოქტომბერში. გადმოცემით, მას ბავშვობიდანვე დიდი ძიდრეკილება ჰქონდა სწავლისადმი, ამას რა თქმა უნდა განაპირობებდა ოჯახური ატმოსფეროც, 1934-37 წლებში იგი მუშაობდა ციხის გამომძიებლად, 1937 წელს აწინაურებენ და ნიშნავენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პირველ პროკურორად. იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო განუკითხაობა, გაუმართლებელი რეპრესიები. აჭარაში რეპრესიების ქარცეცხლი განსაკუთრებით იწვნია აბაშიძეების გვარმა. 1938 წელს ყალბი ბრალდებით დააპატიმრეს ყადირ აბაშიძე; ხოლო ოჯახის წევრები გამოასახლეს საცხოვრებელი ბინიდან. ოჯახის წევრებმა სხვადასხვა ინსტანციებში შეტანილი განცხადებების საფუძველზე მიაღწიეს ყადირ აბაშიძის მიმართ წაყენებული შეთითხნილი ბრალდების სამართლიან განხილვას და მაშინდელი საბჭოთა კავშირის პროკურორის განკარგულების საფუძველზე 1938 წელსვე გაანთავისუფლეს პატიმრობიდან, მაგრამ მას აღარ ნდობდნენ და აქედან გამომდინარე მაღალ თანამდებობაზეც არ ნი-

შნავდენ. ყადირი სიცოცხლის დასასრულამდე მუშაობდა ად-  
ვოკატთა კოლეგიაში ადვოკატად.

ჰაიდარ აბაშიძის მესამე ძმა — ბატონი ომერი დაიბადა  
1905 წელს ქ. ბათუმში. 1924 წელს დაამთავრა ქ. ბათუმის  
პუმანიტარული ტექნიკუმი, ხოლო 1928 წელს თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი.  
1928 წლიდან 1933 წლამდე ო. აბაშიძე მუშაობდა ჩაქვის  
ჩაის საცდელ სადგურში მეცნიერ-მუშაკად, შემდეგ ბა-  
თუმის ბოტანიკურ ბაღში. 1938 წლიდან 1961 წლამდე იგი  
მწვანე კონცხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლე-  
ბელია. 1959 წლიდან 1965 წლამდე ო. აბაშიძე საქართვე-  
ლოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი  
სწავლების ფაკულტეტის ბათუმის სასწავლო-საკონსულტა-  
ციო პუნქტის გამგეა. ო. აბაშიძეს მინიჭებული ჰქონდა  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული მას-  
წავლებლის წოდება. ო. აბაშიძე გარდაიცვალა 61 წლის  
ასაკში, 1966 წელს.

ომერ აბაშიძემ დატოვა საუკეთესო ოჯახი — ოთხი ვა-  
ჟი და ერთი ქალიშვილი: როსტომი, რეზო, ჯემალი, თენგი-  
ა და ნარი.

განსაკუთრებით მინდა შევჩერდე როსტომ აბაშიძეზე.  
მე და როსტომი ერთად ვიზრდებოდით და დღემდე ვმეგობ-  
რობთ, ჩვენმა ბავშვობამ გაიარა ომისა და ომის შემდგომ  
წლებში. იმ პერიოდში ცხოვრება ძალიან ჭირდა და ასეთ  
პირობებში თავისთავად ბავშვებიც განებივრებულნი ვერ  
გაიზრდებოდნენ... ჩვენი ძირითადი გასართობი იყო  
ბავშვური თამაშობანი და ბელურებზე ნადირობა. ვავიდა  
წლები, სულ მალე ის ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა. შემდ-  
გომში ზედიზედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული  
კლასიკურ ჭიდაობაში. მას მინიჭებული აქვს სპორტის დამ-  
სახურებული ოსტატის წოდება.

როსტომს ჰყავს ქალ-ვაჟი: ირაკლი და ნინო და შვილი-  
შვილები.

ჰაიდარ აბაშიძის მეოთხე ძმა — ოსმანი დაიბადა 1909  
წელს ქ. ბათუმში. ო. აბაშიძემ 1928 წელს დაამთავრა ბათუ-  
მის ინდუსტრიული ტექნიკუმი, ხოლო 1935 წელს ამთავ-  
რებს თბილისის ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტს



ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით. 1935 წლიდან 1958 წლამდე ოსმანი სპეციალობით მუშაობს სხვადასხვა თანამდებობაზე. 1958-1983 წწ. ინიშნება პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის სახელმწიფო ექსპერტიზის განყოფილებაში როსად და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს სწავლულ მდივნად. ო. აბაშიძე ერთდროულად ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობასაც ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში და ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელში. არის სამი დაკიდული ხიდის ავტორი და აქვს რამდენიმე გამოგონება. მას მინიჭებული ჰქონდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის წოდება.

ო. აბაშიძეს ჰყავს ორი ქალიშვილი — ლამიე და ლეილა, ორთავე დამსახურებული ექიმი და შექმნილი აქვთ მტკიცე ქართული ოჯახები.

ო. აბაშიძე გარდაიცვალა 1983 წელს.

ჰაიდარ აბაშიძის მეხუთე ძმა — სალიხი დაიბადა 1912 წელს ქ. ბათუმში. 1935 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო თბილისში, რაიონის საავადმყოფოს ექიმად. სხვადასხვა დროს მუშაობდა **ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის ექიმ-ეპიდემიოლოგად**, ხულოს რაიონის **ჯანმრთელობის დაცვის გამგედ**, აჭარის რესპუბლიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგედ. 1952 წლიდან 1987 წლამდე ქ. ბათუმის ინფექციური საავადმყოფოს მთავარ ექიმად, პარალელურად იყო აჭარის **ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ინფექციონისტი**. წლების განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და სამედიცინო სასწავლებელში. ბატონი სალიხი გამოირჩეოდა კეთილსინდისიერებით, საქმის ღრმა ცოდნითა და სიყვარულით. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ინფექციური სამსახურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. იგი იყო მაღალკვალიფიციური მკურნალი და **ჯანმრთელობის დაცვის შესანიშნავი ორგანიზატორი**, მას მინიჭებული ჰქონდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდება.

სალიხ აბაშიძე გარდაიცვალა 1989 წელს.

სალიხ აბაშიძეს დარჩა სამი შვილი, ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი: შამილი, ზურაბი და ნევრესტანი.

შამილი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია, ზურაბი — ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, სპეციალურ ინჟინერ-მშენებელი.

ნევრესტანი ექიმა, მუშაობს ქ. ბათუმის საავადმყოფოში.

ამ მოკლე მიმოხილვაში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ჰაიდარ აბაშიძის ძმების მრავალრიცხოვანი ოჯახების სრულყოფილი წარმოჩენა, ერთი რამ კი შემიძლია აღვნიშნო, რომ ყველანი ისინი ერთიმეორეზე უკეთესნი არიან, ისევე, როგორც მათი წინაპარნი.

ბატონი სალიხი ხშირად იტყოდა, ჰაიდარი ჩვენთვის ძმა კი არა, მამა იყო. ჩვენ ყველანი მუდამ მისი თვალთახედვის ქვეშ ვიმყოფებოდითო.

ჰაიდარის ქალიშვილი ქალბატონი ლეილა, შემდეგ დახასიათებას იძლევა: „მამა იყო მოსიყვარულე, ყურადღებიანი, ოჯახის ერთგული კაცი.

მახსოვს, ვაშლოვანის ქუჩაზე, ჩვენს ოთახში მშობლების საწოლსა და ჩვენს (შვილების) საწოლს შუა პატარა მაგიდა იდგა. ყოველ დილით, როცა ვდგებოდით, მაგიდა გვერდზე გადაჩოჩებული გვხვდებოდა. ერთხელ მამას შევეკითხე: მაგიდას ვინ აჩოჩებს გვერდზე მეთქი. მან მიპასუხა: ღამით ყოველთვის ვიდვიძებ, რათა თქვენ შეგამოწმოთ, როგორ გძინავთ და მაშინ იძულებული ვარ მაგიდა გვერდზე გადავაჩოჩო.

მამას ძალიან უყვარდა შვილიშვილები. მათ მიმართ იყო ყურადღებიანი და თავისებურად მკაცრი და მომთხოვნიც.

მიუხედავად ურთიერთშორის დიდი სიყვარულისა, შვილებს ძალიან გვერიდებოდა მისი.

ტკბილი და კეთილშობილი მამა ყველას უყვარდა. მეზობლების დიდი მეჭირნახულე იყო. ერთხელ ჩემმა დამ, გუგულიმ ომის პერიოდში საგარეჯოდან ქათმები ჩამოიყვანა. მამამ მეზობლის ქალს დაუძახა, რომელსაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავდა (ქმარი ომში იყო გაწვეული) და რამდენიმე ქათამი აჩუქა და უთხრა, ყოველ დილით ბავშვებს ახალი კვერცხები აჭამეო.



მამასთან ხშირად დადიოდნენ: კ. გამსახურდია, ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეები, ლ. გოთუა, ლ. ასათიანი (რომელიც სიძედ ეკუთვნოდა დედას), თ. ქავთარაძე, ი. რურუა, ი. იმედაშვილი, ი. ბახტაძე, ი. გრიშაშვილი, ს. დვინაძე, ნ. ნიკორაძე, ბათუმელი სტუდენტობა და სხვები იყო მსჯელობა, საქართველოს წარსულზე და მომავალზე.

გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე მწერალთა კავშირიდან მამას ესტუმრნენ მისი მეგობარი მწერლები: შ. აფხაიძე და კიზირია, მამას ჰკითხეს: რა გნებავთ, რას დაგვავალებთო, მამამ მათ უთხრა: „მე არაფერი არ მინდა, ყველაფერი მაქვს, მაგრამ ორ რამეს მაინც გიბარებთო: ჩემს ნაწერებს მოუარეთ და შ. რუსთაველის იუბილეს მესხეთში (იგულისხმა სამხრეთ საქართველოს მესხეთი) გადაიხადეთო“.

\* \* \*

ჰაიდარ აბაშიძის მშობლიური სოფელი ყოროლისთავი ერთერთი ლამაზი სოფელია ხელვაჩაურის რაიონში.

მაგრამ არის ერთი დიდი განსხვავება, რომლითაც ამ სოფლის მკვიდრთ თავი მოაქვთ — ეს არის ყოროლისთაველი გენჯი ქიქავას ქალიშვილის მებუბისა და ალი აბაშიძის ზირმშო ჰაიდარ აბაშიძე, რომელმაც დედის სახლში გახსნა სკოლა და ბავშვებს ხელში იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ მისცა. ეს დაუვიწყარი მოვლენა იყო სოფელ ყოროლისთავის მცხოვრებლებისათვის, მათთვის ჰაიდარ აბაშიძის სახელი საყვარელი და უკვდავია. ამანაც განაპირობა, რომ 1973 წლის 27 მაისს, დღის 5 საათზე სოფელ ყოროლისთავის სასოფლო კლუბში, ი. გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების სახელმწიფო რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ ხელვაჩაურის რაიონის პედაგოგიურ საზოგადოებასთან ერთად მოაწყო გამოჩენილი მოღვაწის, მწერლისა და პედაგოგის ჰაიდარ აბაშიძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. საღამოს ესწრებოდა სოფლის, რაიონის მცხოვრებლები, ბათუმისა და თბილისის ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ჰაიდარ აბაშიძის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ხელვაჩაურის რაიონის განათლების განყოფილება.

ფილების გამგემ ზაალ მიქელაძემ. სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ სკოლის დირექტორი ამირან ფალავა, პროფ. ნადიმ ნიუარაძე, დოც. ხ. ხალვაში, პოეტი ფრიდონ ხალვაში. ი. გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი ვ. გოგოლაძე და სხვა.


დასასრულ გაიმართა კონცერტი.

ჰაიდარ აბაშიძის დაბადების 80 წლისთავი სოფლის მშრომელთა, მოსწავლე ახალგაზრდობის ზეიმად გადაიქცა.

და მართლაც, დიდმამობრივი იყო ჰაიდარ აბაშიძის ცხოვრების ნაყოფი ჩვენთვის! ამიერით მე-20 საუკუნის მარადსახსენებელ ქართველთ სახელების გუდანს ჰაიდარის სახელიც ღირსეულად შეემატა.

**თეიმურაზ კამოხიძე.**





## როდის გავიგე მე, რომ ქართველი ვარ

პირველად მამაჩემმა ბათუმის ქართულ სასწავლებელში მიმაბარა. ეს იყო დაახლოებით 900-იან წლებში. სასწავლებელში შესვლისას ერთმა კაცმა მომკიდა ხელი, შემიყვანა კლასში და დამსვა სკამზე. მე გაკვირვებული და შეშინებული ვიცქირებოდი ირგვლივ, მოუთმენლად ველოდი „ხოჯას“ შემოსვლას. კლასში დავინახე რამდენიმე ბავშვი წითელ ფესკებში. მათი დანახვა გამეხარდა და ვიფიქრე: „აწი რა მიჰირს, გარდა ქართველებისა — გიაურებისა, აქ ჩვენი თათრებიც ყოფილან-მეთქი“. ბევრი დრო არ გასულა, მომესმა რაღაც რეკვა. მოწაფეები ამ ხმის გაგონებაზე ფეხზე წამოდგნენ. მეც ავეყვი იმათ და გავედით სკოლის ეზოში. სადაც კიდევ სხვა წითელფესკიანებიც დავინახე. მათ შორის ნაცნობებიც აღმოჩნდნენ. ნაცნობების დანახვამ ჩემი სიხარული გააორკეცა. წითელფესკიან ნაცნობებს შევეკითხე — „რას აკეთებთ, რისთვის მოსულხართ აქ?“ მათ მიპასუხეს: „ჩვენ აქ ვსწავლობთ“. — „თქვენ კი სწავლობთ, მაგრამ, ერთი. მითხარით, ჩვენთან როდის შემოვა ხოჯა?“ — შევეკითხე. მიმითითეს იმ კაცზე, რომელმაც მე პირველად შემიყვანა კლასში და მითხრეს: „აი ეს არის ჩვენი ხოჯა, რომელსაც ქართულად მასწავლებელს ეძახიან და ჩვენებურად კი, ისე იგი თურქულად ხოჯასა“. დარეკეს. შევედით კლასში. ჩამოვარდა სიწყნარე: მასწავლებელმა აიღო ხელში წიგნი, მიათითა ხელი ერთ ფესკიან მოწაფეს და უთხრა:

— „თათრახან“, გამოდი დაფასთან!

დროთა ვითარებაში, სკოლაში ყოფნისას ვაკვირდებოდი და ყოველდღე ვამჩნევდი, რომ ჩვენი მასწავლებელი, საზოგადოდ, ფესკიან მოწაფეებს „თათრახანს“ ეძახდა, ქართველი

მოწაფეები კი მათ თათრებს უწოდებდნენ. ეს სახელწოდება ფესკიანებს სრულიად არ ეუცხოებოდათ, პირიქით, სიამოვნებასაც გვრიდათ.

ერთ დღეს, გაკვეთილზე ჩვენი მასწავლებელი უნებლიედ ვაჯავრე, რისთვისაც ვაჯავრებული კიდეც მიიხრა:

— „თათარხან“, ნუ ეშმაკობ!

სკოლიდან დაბრუნებისას მამას ვუამბე:

— მამა, ჩვენ, თათრებს მასწავლებელი „თათარხანს“ გვეძახის.

მამისაგან შემდეგი პასუხი მივიღე:

— თათარი კი, მაგრამ ეს „ხანი“ რა არის, მართალი ვითხრა, შვილო, არ ვიცი.

— შვილო, თქვენ, თათრებს, მასწავლებელი გეფერებათ და „ხანი“ ხართო გეუბნებათ, — დაუმატა დედამ.

— მოფერება კი არა, ისე ვაჯავრებით მიიხრა, რომ შიშმა ამიტანა-მეთქი, — მივუგე მე.

მეოთხე წელზე პირველდაწყებითი სასწავლებელი მივატოვე და გადავედი ბათუმის საქალაქო სასწავლებელში, აქ სხვა სურათი გადამეშალა. ახლოს გავეცანი რუს და ქართველ მოწაფეებს. რუსი მასწავლებლები და მოწაფეები ჩვენ, მაჰმადიანებს გვეძახდნენ „ტუროკს“, ქართველები კი — „თათრებს“. გვეგონა „თურქი“ რუსული სახელწოდება იყო „თათრის“. აი, სწორედ ამიტომ არ გვეუცხოებოდა, რუსები ჩვენ — თათრებს „თურქებს“ რომ გვეძახდნენ. საქალაქო სასწავლებელში მხოლოდ ერთი წელიწადი დავრჩი. შემდეგ მამაჩემმა 1905 წელს გამგზავნა საზღვარგარეთ ოსმალური ენის შესასწავლად. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ოსმალეთში „გურჯი“ მიწოდეს. ჩავფიქროდი. ეს რა ამბავია: ხან „თათარი“ ვარ, ხან „თათარხანი“, ხან „თურქი“ და ხან კი „გურჯი“-მეთქი?

ოსმალეთიდან დავბრუნდი 1908 წელს, ისევ შევედი ბათუმის საქალაქო სასწავლებელში, რომელიც 1912 წელს დავამთავრე.

რუსულ, თურქულ წიგნებში აღტაცებით ვკითხულობდი სამშობლოს შესახებ ლექსებს და მოთხრობებს. მაშინ აზრადაც არ მომდიოდა, თუ მეც მქონდა სამშობლო და დედა



ენა. მე ამ დროს ვტკბებოდი უცხო ლიტერატურის კითხვით. საქალაქო სასწავლებლის დასრულებისას გავიცანი ერთი ახალგაზრდა ქართველი ქრისტიანი ბ-ნი კეჭყაყაძე. ჩვენ ხშირად ერთად ვიყავით. ერთ დღეს ამ ჩემმა კავშირმა ნობმა ბ-ნმა კეჭყაყაძემ მითხრა:

— წამოდი ქართულ თეატრში, „ლალატს“ თამაშობენ, საუცხოო ისტორიული პიესააო.

ეს იყო დაახლოებით 1912 წლის მიწურულში.

მე ვუთხარი:

— თქვენ თეატრში რა მინდა, ამაღამ თურქული წარმოდგენა და იქ წავალ-მეთქი.

ბ-ნი კეჭყაყაძე ბევრს მეხვეწა, როგორც იქნა დამითანხმა და წავედით. „ლალატმა“ ძალზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ქართველ მეგობარს, რომლის რჩევითაც წარმოდგენაზე წავედი, წარმოდგენის დამთავრებისას გაჯავრებულმა მივმართე:

— ეს იყო თქვენი კარგი წარმოდგენა, რვა საათიდან დაწყებული თორმეტ საათამდის ჩვენ, თათრებს უგინებელი რომ არაფერი დაგვიტოვეთ-მეთქი?!

ბ-ნმა კეჭყაყაძემ ღიმილით მიპასუხა:

— ვინ იყვნენ ისინი, რომ იტანჯებოდნენ?

— თქვენ — ქართველები! — მივუგე.

— მტანჯველები?

— ჩვენ — თათრები. — ვუბასუხე და შემდეგ დავუმატე გაჯავრებულმა: — რა გიშავთ! შურიც კარგად იძიეთ, საკმარად გვათრიეთ და კარგადაც გვაგინეთ-მეთქი.

მან ღიმილს უმატა და შეუდგა საქმის ვითარების ახსნას. მე მის ახსნა-განმარტებას ყურადღებას არ ვაქცევდი და ან როგორ შემეძლო მიმექცია ყურადღება. როდესაც ბავშვობიდანვე, საზოგადოებაში და სასწავლებელში ჩამძახოდნენ: „ვათათრებული“, „თათარხანი“, „თათარი“, „თურქი“ და ვინ იცის კიდევ რას? ჩემმა ძვირფასმა მეგობარმა შემატყო, რომ ჩემთან ვერას გახდებოდა და გამშორდა. მეორე დღეს, დილით მოვიდა ჩემთან და მომიტანა ქართული წიგნები, სჯათა შორის, ჩვენი დაულალავი მუშაკის ბ-ნ ზ. ჭიჭინაძის წარმოებულ და მითხრა:

— მოდით, დავჯდეთ და ამ წიგნებს გადავხედოთ.  
... მეც დავეთანხმე და დავიწყეთ კითხვა. წასვლისას კი დამიტოვა ის წიგნები, რამდენიმე დღის შემდეგ დავუწყე ღებნა ჩემს ძვირფას მეგობარს, ვინახულე მან წიგნები.

— მითხარი, როდის ითამაშებენ ჩვენს „დალატს“  
ში „დალატს“, უსათუოდ კიდევ უნდა წავიდე.

მაშინ მან ტკბილად გაიცინა და მითხრა:

— მოდი ჰკუაზე?

მე ამაზე ვუპასუხე:

— ეს არა კმარა! საჭიროა სხვებიც მოვიდნენ ჰკუაზე, და მასთან ერთად შეიგნონ და შეაგნებინონ გზაკვალაბნეულ, დაბეჩავებულ ქართველ მაჰმადიანებს, რომ ისინი არიან ქართველები, მათი დედაენა ქართული ენაა და სამშობლო კი კოხტა-საქართველო...

ამასთანავე არ შეიძლება არ მოვიხსენიო ის გარემოებაც, რომ ჩემსა და სხვა ქართველი მაჰმადიანების გამოფხიზლებას დიდად შეუწყო ხელი მრავალ დასაბუთებულ წერილთა მეოხებით „ბათუმის გაზეთმა“, რომელიც ჭელიძის რედაქტორობით გამოდიოდა და რომლის თანამშრომელიც გახლდით. ამავე დროს ბათუმში დაარსდა მუდმივი ქართული დრამატული დასი, როგორც ქართულმა გაზეთმა, ისე ქართულმა თეატრმა დიდად შეუწყო ხელი ქართველ მაჰმადიანებს შორის ქართული ენის და ქართული შეგნების გავრცელებას: ამასთანავე, 1912 წლის შემდეგ მე დავუახლოვდი ბათუმის საშუალო სასწავლებელში მოსწავლე რამდენიმე ქართველ ახალგაზრდას, რომლებთან კავშირმა გულში საქართველოს სიყვარული უფრო მეტად გამიღვივა.<sup>1</sup>

1. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, 28 ივნისი, № 26, გვ. 10-12





**ხმა კრისტინან მოაჩვენებს**

მრავალი საუკუნის შინაური და გარეული ბრძოლით და ომებით ჩვენი საერთო სამშობლო — საქართველო დაიღალა. ამით გარეშე მტრები სარგებლობდნენ და ჩვენს ქვეყანას, უფრო და უფრო აწიოკებდნენ და აოხრებდნენ. ეს ასე იყო საზოგადოდ, მაგრამ მე აქ აღვნიშნავ მე-16 და მე-17 საუკუნეებში ოსმალების შემოსევას და მის შედეგებს. ოსმალებმა ტრაპიზონიდან დაწყებული ნელ-ნელა დაიპყრეს საქართველოს სხვადასხვა ნაწილი „აჭარა-ქობულეთამდის და მალე აჭარა-ქობულეთიც ჩაიგდეს ხელში. შემდეგ მათ მართო გამარჯვება არ იკმარეს და მოინდომეს ჩვენი წინაპრების გამაჰმადიანება. ბევრი აწიოკების, აოხრების და ხალხის წამების შემდეგ მათ განამტკიცეს მაჰმადის სჯული დაპყრობილ ადგილებში. მაგრამ მაჰმადის სარწმუნოების მიღების შემდეგაც არ მოასვენეს ხალხი. მერე შეუდგნენ მისი კულტურის აღმოფხვრას. დაუწყეს დევნა ქართულ ენას და განადგურება ისტორიულ-კულტურულ ნაშთებს. ამ მხრივ ოსმალებმა მიზანს მიაღწიეს და რამდენიმე ადგილას მოსპეს ქართული ენის ხსენებაც კი, ხოლო ყველგან ვერ შესძლეს აჭარა-ქობულეთამდე ოსმალეთას ხელში ყოფილ საქართველოში დღემდე დარჩენილია ძველი ქართული ენა. გამაჰმადიანებული ქართველები ნელ-ნელა შეეჩვივნენ ოსმალეთის სჯულ-კანონებს და მათ შორის განმტკიცდა მაჰმადის სჯული. მაჰმადიანი ქართველები ვერ კიდევ ოსმალეთის ქვეშევრდომნი იყვნენ, როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა. ოსმალებმა რამდენიმე ხნის შემდეგ, **სახელდობრ, 1878 წ.** რუსეთმა შეიერთა ოსმალეთის ხელში ყოფილი საქართველოს ნაწილი — აჭარა და სხვ.

ამ მხარეს რომ ისტორიულად თვალი გადავაგლოთ, საზარელი სურათი გვიდგება თვალწინ: მთელი სამი საუკუნის

განმავლობაში კულტურული წინმსვლელობის მაგერ ვგი  
ერთ წერტილზე გაიყინა, დაჰკარგა ძველი კულტურის ნაან-  
დერძევი და ჩამორჩა უკან თანამოდმე ქრისტიან ქართველებს.  
საქრისტიანო საქართველომ დიდი ნაბიჯი წარსულა წინ და  
განვითარდა. მას დღეს თითქმის შეუძლია გვევლინოს ისეთი  
გეს დასავლეთ ევროპის კულტურულ პატარა ერებს. მიუ-  
ხედავად ათასგვარი დაბრკოლებისა. დაეწაფა ვაჭრობა-მრეწ-  
ველობას, განავითარა მწერლობა, ლიტერატურა და ხე-  
ლოვნება, შექმნა კულტურული დაწესებულებანი და სხვ...  
გამაჰმადიანებულ საქართველოში კი ამ დროს ხალხმა თავის  
დედაენაზე წერა-კითხვაც კი არ იცის. ეროვნულადაც კი  
არ არის გათვითცნობიერებული, სიბნელითა და უმეცრებით  
მოცული გადაგვარების გზაზეა დამდგარი და დაემსგავსა  
პირველყოფილ ხალხს. ოდესღაც ეს მამაცი და ამაყი ხალ-  
ხი, დღეს კი ეკონომიურად და გონებრივად დაბეჩავებული,  
მიტოვებულია ღვთის ანაბარად. არავინ მისთვის არ ზრუნავ-  
და და არც ზრუნავს. რა გაუკეთა მას ოსმალეთმა იმდენი  
ხნის განმავლობაში, როცა იგი მის ხელში იმყოფებოდა?  
ის, რომ გამოუცვალა სჯული და აღმოფხვრა მასში კულტურ-  
ის ნასახიცი კი. ენით შებღალული და დაჩაგრული მაჰმადი-  
ანი ქართველები გახდნენ რუსეთის ქვეშევრდომნი. მაშინ  
ისინი შეშინდნენ და დაფრთხნენ. ეგონათ, რომ ახლაც ისეთი  
დღე მოელოდათ, რაც მათ ოსმალეთმა დაჰმართა, ე. ი.  
ხელახლა სჯულის გამოცვლა, ვაი-ვაგლახი და აწიოკება.  
ამიტომ შეშინდნენ და ნაწილი ოსმალეთში გადაიხვეწა, და-  
ნარჩენები კი უცდიდნენ რა იქნებოდა და როგორ მოეწყო-  
ბოდა რუსეთის ორთავიანი არწივის ფრთებქვეშ. მათი ცხოვ-  
რება. ადვილი წარმოსადგენია, რომ ასეთ პირობებში მათ  
არ შეეძლოთ ეზრუნათ სწავლა-განათლებლაზე და როცა ხალ-  
ხი თავის თავზე არ ზრუნავს, მისთვის ხომ თავს არავინ  
იწუხებს. ასეც მოხდა. ამოდენა მხარეში მეტად მცირეა პირ-  
ველდაწყებითი სკოლები და რაც არის, ისიც უნაყოფოა  
მაჰმადიანი ქართველებისათვის, რადგან სწავლა იქ უცხო და  
გაუგებარ ენაზე სწარმოებს. ჩვენი ხალხის გამოღვიძება და  
კულტურული ცხოვრების ფერხულში ჩაბმა შეიძლება მისი  
ადამიანურ უფლებათა აღდგენით, მაგრამ სად არის ეს ადა-  
მიანობა, როდესაც მას ეუბნებიან — შენ რადგან მაჰმადიანი



ხარ, მუსულმანი, თურქ-ოსმალთ ხარ და არა ქართველიო. არც ენა, არც გვარი, არც სოფლის სახელები, არც ჩვენი ძველი კულტურის ნაშთები არა გვშველის ჩვენი ვინაობის დასამტკიცებლად. და ამიტომ იმ თითო-ოროლა სწოლით, რომლებიც გახსნეს ჩვენში, ვერ ვსარგებლობთ, რადგან ჩვენს ენაზე არ არის სწავლა. ამასთან, მას შემდეგ, რაც ამ ხალხმა მაჰმადის სჯული მიიღო, ნელ-ნელა შეწყვიტა ქრისტიან თანამოძმეებთან კავშირი, რადგანაც ეს ცოდვად მიაჩნდათ. ბევრი დღესაც ასე ფიქრობს, ვინაიდან მისი აზრით, თუ ქრისტიანთან კავშირი დაიკავა, მაშინ ის სჯულს ლალატობს. სამწუხაროდ, ქრისტიან ქართველებსაც რაღაც უხერხულად მიაჩნიათ მაჰმადიან ქართველებთან კავშირი. ეს ითქმის უმრავლესობაზე. ასეთი მდგომარეობა აღარ უნდა გაგრძელდეს. საჭიროა მაჰმადიან ქართველობაში შეგნების შეტანა, და მათი გათვითცნობიერება. ეს კი უნდა ითავოთ თქვენ, ქრისტიანმა ქართველებმა. რა ვუყოთ, რომ სჯული სხვადასხვა გვაქვს, ეს ჩვენს კავშირს ხელს არ შეუშლის.

მაშ, თქვენ უნდა ეცადოთ, როგორც ჩვენი მოძმე და დღეს როგორც სწავლა-განათლებით ჩვენთან შედარებით ბევრად წინწასულნი, დაეხმაროთ თქვენს თანამოძმეებს წერა-კითხვის შესწავლაში, რომ ამის საშუალებით გათვითცნობიერდნენ ისინი და იცნონ თავიანთი თავი. ჩვენ დღეს თქვენგან მოველით მტკიცე საძირკვლის ჩადგმას და ცხოვრების გზაზე გამოსვლას. შეიძლება ამ მუშაობაში თქვენ ბევრი დაბრკოლება გადაგელობოთ წინ, საყვედურები გაიგონოთ და ბევრი შრომაც დახარჯოთ, მაგრამ რაც უნდა იყოს, უნდა დაგვეხმაროთ ჩამორჩენილ ძმებს, მით უმეტეს თქვენი შრომა უნაყოფოდ არ ჩაივიდოს. ნუ შეგიშლით ხელს ნურავითარი დაბრკოლებანი, მოგვეპყარით, როგორც ძმებს, წაგვიძებით წინ, გვასწავლეთ წერა-კითხვა და ამოგვიყენეთ თქვენს გვერდით. ჩვენი ჩამორჩენა. თქვენთვისაც მაჭნებელია, ჩვენი უმეცრება, როგორც ჩვენი, ისე თქვენი სირცხვილიცაა, რადგან ჩვენ ერთნი ვართ.<sup>2</sup>

2. „ბათუმის გაზეთი“, 1913, 17 თებერვალი, № 9, გვ. 2-3.



### როდემის ვიწნებით ასე?

დღეს ყველანი კარგად ვხედავთ, თუ რამდენად დაცემულია კულტურული მხრით, მაჰმადიანი ქართველები. ამის უმთავრესი მიზეზი ჩვენს შავბნელ ისტორიულ წარსულში მარხია. მაჰმადიანი ქართველობა ეროვნულად დაბნეულობას განიცდის.

ისინი ლაპარაკობენ ორ ენაზე: ქართულად და თურქულად, მაგრამ კარგად არც ერთი არ არის განმტკიცებული. თათრული ენის ცოდნა იმდენად საჭირო არ არის, როგორც ქართული ენისა. რასაკვირველია, კაცმა რამდენი მეტი ენა იცის, იმდენად უკეთესია, მაგრამ სამშობლო ენა კი სხვაზედ უფრო საჭიროა... დღეს ქართველ მაჰმადიანებს არც შეუძლიათ და ვერც სარგებლობენ თათრული კულტურით. ისევ თუ ვინმე რაიმეს წაიკითხავს, მოთხრობას, ლექსს და სხვ... ქართულ ენაზედ, მაგრამ ძლიერ ცოტას და უხასიათოდ, როცა ხალხი არ აფასებს კულტურულ განვითარებას, მას არ შეუძლია შექმნას კულტურული მოღვაწენი. მაგალითად, ავიღოთ ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის იუბილე. მას დიდი აღტაცებით მიეგება ბათუმის ქართველი საზოგადოება, ისე როგორც სხვა ქალაქებში. აქ მიეგება არა თუ მარტო ქართველი საზოგადოება, არამედ სომხებიც, როცა აგრე აღტაცებით ეგებებოდნენ ამ დიდებული მოღვაწის დღესასწაულს, სად იყვნენ მაშინ ქართველი მაჰმადიანები? შეიძლება თქვენ თქვათ, რომ თუ ქრისტიანი ქართველები მივეგებებით, ეს იმას ნიშნავს, რომ მასში გამოხატულია ქართველი მაჰმადიანებიცო. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. ჩვენ კიდევ ვერა ვართ იმდენად შეერთებული და შეთვისებული, რომ ერთის სიტყვაში მეორის სიტყვა იხატებოდეს და ერთის სიხარულში მეორეს სიხარული. მესხიშვილის და სხვა ქართველ მოღვაწეთა დღესასწაულში თუ გლოვაში ვერ შევვერთდით ერ-



თად ეს ორი ახლო მოძმენი და ერთის გულით ვერ აღვნიშნეთ სიხარული ანუ მწუხარება. რასაკვირველია, აქ ყოველთვის გამორჩენილი ვიყავით ქართველი მაჰმადიანები. ეს ჩვენი ჩამორჩენის ბრალია, მაგრამ არც ჩვენს ქრისტიანთა ნამოძმეებს ეპატიებათ, რომ ასე გულგრილად გვეყურებოდნენ არ გვიყენებენ გვერდში, არ გვიჩვენებენ გზას, თუ რომელ გზაზე უნდა ვიაროთ. მდაბიო ხალხიდან დაწყებული მოინტელიგენტო პირებამდე, ქრისტიანთაგან გვესმის ჩვენი სჯულის და ფანატიკოსობის კიცხვა. ამას კი სარგებლობის მაგიერ ვნება მოაქვს. სჯული ჩვენ სრულიადაც ხელს ვერ შეგვიშლის, რომ ჩვენს საერთო დედა ენაზე ცოდნას და განვითარებას დავეწაფოთ და თვალი გავახილოთ, ჩვენ უნდა დავინტერესდეთ ჩვენი სამშობლოს ბედ-იღბლით, მისი კულტურით და წინმსვლელობით, ჩვენ უნდა კვალდაკვალ გავყვეთ ჩვენს თანამოძმე ქრისტიან ქართველებს ევროპული ცივილიზაციის გზაზე, თუ გვინდა, რომ თავი დავაღწიოთ გადაგვარებას და გადაშენებას<sup>3</sup>.

3. „ბათუმის გაზეთი“, 1913, № 27, გვ. 2.



ქართველი ერის იმ ნაწილს, რომელნიც მაჰმადის სჯულს ვემსახურებით, გვეძახიან „თათრებს“ და ამ სახელს კი ჩვენ — ქართველი მაჰმადიანნიც თანაფუგრძობთ. მაგრამ თუ რა დიდი გამოურკვეველი შეცდომაა აქ, ის კი არ ვიცით და ყურადღებასაც არ ვაქცევთ, არც ქართველი მაჰმადიანები და არც ჩვენი მოძმე ქართველი ქრისტიანები. არ ვიცი, რისთვის გვეძახიან ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს — „თათრებს“ და ამ სახელს რად თანაფუგრძობთ ჩვენ, ქართველი მაჰმადიანები? თუ იმისათვის, რომ ჩვენ მაჰმადის სჯულს ვემსახურებით, მაშინ უნდა ვიცოდეთ, რომ სარწმუნოებას არ შეუძლია ეროვნების გამოცვლა.

ქართველ მაჰმადიანს რომ ვინმე დაეკითხოს — ვინა ხარო, ის უპასუხებს — „თათარიო“, და ძლიერ იშვიათია ისეთი პირი, რომელმაც უპასუხოს — „ქართველი მაჰმადიანიო“. ის პირი, რომელიც ამბობს „თათარი ვარო“, შემცდარია, მაგრამ შემცდარია ის პირიც, ვინც ერთად ამბობს „ქართველი მაჰმადიანიო“, რადგან არ არის მიღებული, რომ როდესაც ეროვნებაზე გეკითხებიან, სჯულიც დაუსახელო. მაგალითად, ავიღოთ ჩვენი მოძმე ქართველი ქრისტიანი. იმას რომ ვეკითხოთ „ვინა ხარო“, ის ხომ არ გიპასუხებს — „ქართველი ქრისტიანიო“, არამედ მოკლედ გეტყვის — „ქართველიო“, და თუ სარწმუნოებაზე ჰკითხე, მაშინ კი გეტყვის — „ქრისტიანიო“. საჭიროა ჩვენ, ქართველმა მაჰმადიანებმაც, თუ ვინმე დაგვეკითხება „ვინა ხარო“, ვუპასუხოთ — „ქართველიო“, და თუ სარწმუნოებაზე გვეკითხეს — „მაჰმადიანიო“. ჩემი აზრით, ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს შეცდომით გვეძახიან „თათრებს“, მხოლოდ ეს შეცდომა ჩვეულებად გადაიქცა და ეს ჩვეულება ჩვენი ქართველი მაჰმადიანებისათვის დიდად სამწესბაღო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ეს ჩვეულება გვიკარგავს ჩვენს ეროვნულს სახეს,



ჩვენს ქართველობას. ახლა კი, როდესაც ვიტყვით სიტყვა „ქართველს“, მაშინვე თვალწინ გვიდგება ქართველი ქრისტიანი და არა ქართველი მაჰმადიანი. ამისათვის საჭიროა ქართველი მაჰმადიანები ამ სამწუხარო ჩვეულებას გადავწყვიტოთ, რომ სრულიად არ დაგვეკარგოს ჩვენი ვინაობა. ჩვენი ნამდვილი ეროვნული სახე. ამ სამწუხარო ჩვეულების გადაჩვევას კი დიდად ყურადღება უნდა მივაქციოთ როგორც ჩვენ, ქართველმა მაჰმადიანებმა, ისე ჩვენმა მოძმე ქართველმა ქრისტიანებმაც.<sup>4</sup>

4. „ბათუმის გაზეთი“, 1913, № 34, გვ. 3-4.



ქართული


მუსლიმანების

ქართული მუსლიმანების საპროგრესული

ქართველი მუსლიმანების ერთი ნაწილი, როგორც ვხედავთ, დიდი უკმაყოფილო დარჩენილა ჩემი წერილის შინაარსით — „სამწუხარო ჩვეულება“, რომელიც მოთავსებული იყო „ბათუმის გაზეთში“. ვერ ამიხსნია, თუ რა იყო აქ საწყენი? მე სარწმუნოებაზე არ მქონია სრულებით ლაპარაკი. ისინი ვინც ამისდა მიუხედავად, მაინც ავრცელებენ ხმას, ვითომ ჩემი წერილი მუსლიმანობის წინააღმდეგი იყოს. რას მივაწეროთ ასეთი სამწუხარო მოვლენა, თუ არა გაუგებრობას? მაგრამ უფრო სამწუხარო ის არის, რომ ეს ხალხი, გაუგებრობის გამო სიცრუეს და ჭორებს ავრცელებს, რაიცა მეტად მავნებელია ჩვენთვის. თუ მათ იმ წერილის შინაარსი მუსლიმანობაზე წინააღმდეგობად ჩათვალეს, მაშინ მათ არაფერი არ ესმით, როგორც მუსლიმანობის, აგრეთვე იმ საკითხის შესახებ, რასაც ვწერდით. ამიტომ ვთხოვ ხსენებულ პირებს, ნუ ავრცელებენ მუსლიმანებში უმართებულო სიტყვებს და ნუ უბნევენ ქართველ მუსლიმანებს გზას, რადგანაც უმისოდაც დაბნეული გვაქვს გზა-კვალი ვთხოვ მათ, ან დამიმტკიცონ ის, რომ ჩემი წერილი იყო მუსლიმანობის, მაჰმადიანობის წინააღმდეგი და ან დაანებონ თავი იმ უსაბუთო და საზარელი სიტყვების ქართველ მუსლიმანებში გავრცელებას, რომლებითაც განგაშსა და უკმაყოფილებას იწვევენ. უმჯობესია ჩვენს მდგომარეობას დავაკვირდეთ და ერთმანეთის დახმარებით გავთვითცნობიერდეთ და წინ წავდგათ ნაბიჯი.<sup>5</sup>

5. „ბათუმის გაზეთი“, 1913, 20 ივნისი, № 43, გვ. 2.





მაჰმადიან ქართველთა ფანატიკოზობა და  
ეროვნული გრძნობა

როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ამას წინათ, „ბათუმის გაზეთში“ მოვათავსეთ რამდენიმე წერილი ქართველი მუსლიმანების შესახებ. როგორც გაგეგებათ, იმ წერილებში აღნიშნული იყო ქართველი მუსლიმანების ეროვნული ცხოვრების მოდუნება. ჩვენ აღვნიშნეთ ხალხის — „ქართველი მუსლიმანების შესახებ, როგორც გაგეგებათ, იმ წერილებში მოძმეებისაგან ჩამოშორება და ჩამორჩენა, რომ ისინი არ ესწრაფებიან ქართულ დედა ენას, აღვნიშნეთ მათი მისწრაფება თათრული, ოსმალური ენისადმი, თავიანთი თავის თათრად წოდება და სხვ. ახლა კი განვიხილოთ ყველა ესენი. ნუთუ მაჰმადიან ქართველებს მართლა შესძულდათ დედა ენა და მასთან ერთად შესძულდათ თავიანთი მოძმეები? ნუთუ მათ შეიყვარეს თათრული, ოსმალური ენა და მასთან ერთად იგრძნეს თავი ნამდვილ თათრებად, ოსმალებად? მე ვამბობ, რომ არა, და მსურს დავამტკიცო ეს, რამდენადაც შემიძლია. ავილოთ და დავუჯეროთ მათ სიტყვას და ვთქვათ, რომ მართლაც ასეა — ისინი გადაგვარდნენ, ნამდვილი თათრები არიან და ესწრაფებიან თათრულ-ოსმალური ენის შესწავლას. რით დავამტკიცოთ ეს? თუ ისინი ესწრაფებიან თათრული ენის შესწავლას, მაშინ მათ უნდა ჰქონდეთ თათრული სკოლები და სხვადასხვა დაწესებულება, სადაც შეიძლება თურქული ენის შესწავლა. შეიძლება ვინმემ თქვას — მათ ნივთიერი ძალა არა აქვთ ამეებისათვისო, მაგრამ არც ასეა საქმე. მათ ნივთიერი ძალა საკმარისიც აქვთ, მაგრამ მათ არა აქვთ სულიერი მისწრაფება და სიყვარული თათრული, ოსმალური ენისადმი, როგორც ჩვენ გვესმის მათი ნალაპარაკებიდან. ჩვენ რომ კარგად დავაკვირდეთ და გავითვალისწინოთ, დავინახავთ,

რომ მათ ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად რაღაც უშლით  
ხელს და ეს არის ის, დიდი ხნიდან მიძინებული, ოდნავ  
ნბუტუტავი ეროვნული გრძნობა, და ეს გრძნობა არის სამშო-  
ბლოს სიყვარული. თუმცაღა ამ ძილში განვლილ-სამაღალე-  
ლმა, მაგრამ არ იქნა და ვერ ამოგლოჯნა გულშიდან ეს  
გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა, როგორც ამას მოელოდა  
ოსმალეთი. თუმცაღა მათ გულში სამშობლოს უჭირავს დაუ-  
ვიწყარი ადგილი, მაგრამ ამ გრძნობას გარედან აქვს შემოხ-  
ვეული ოსმალეთისაგან ჩანაგონები სიძულვილი. მათ ეში-  
ნიათ და ჰგონიათ თითქოს სჯულის წინააღმდეგი იქნება, რომ  
აშკარად გამოუტყდნენ თავის თავს და აღიარონ საქართვე-  
ლო თავის სამშობლოდ, ქართული ენა თავის დედა ენად და  
ქართველი ქრისტიანები თავის მოძმეებად. ესე იგი, როგორც  
ზემოთ ვთქვით, მათ აქვთ გულში მიძინებული სამშობლოს  
სიყვარული. ოდნავ მბუტუტავ ნაპერწკლად. მაგრამ ამ ნაპერწ-  
კალს გარს ახვევია ოსმალებისაგენ შთაგონებული ფანატი-  
კოსობა. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ეს ხალხი, ამ გრძნო-  
ბათა შორის მყოფი, ვერ წავიდა წინ სწავლა-განათლებით  
და წინსვლის მაგიერ ისიც დაჰკარგა, რაც იცოდა.

ახლა მოგიწოდებთ თქვენ, ქართველო ქრისტიანებო და  
მუსლიმანებო! შევხედოთ ყველა ამას ფხიზელი თვალით, მო-  
ვიშორით გარს შემოხვეული ცრუ აზრები და გავხადოთ ნამ-  
დვილ მგზენებარე ცეცხლად ის დღემდე მოღწეული გულის  
პატარა ნაპერწკალი, რასაც ეწოდება ეროვნული გრძნობა და  
შეგნება, რასაკვირველია, ამ ცრუ აზრების მოშორებას დიდი  
ყურადღება უნდა მიაქციოთ თქვენ, ქართველო ქრისტიანე-  
ბო. და თქვენ კი, ქართველო მუსლიმანებო, ნუ აჰყვებით  
ზოგიერთების ცრუ აზრებს, ამაში არ არის არაფერი სჯუ-  
ლის წინააღმდეგი, არამედ ეს იქნება თქვენი განკაცება, გა-  
აღამიანება, მოქალაქური და ეროვნული ცხოვრების შეგნე-  
ბა.<sup>6</sup>

6. „სახალხო გაზეთი“, 1913, 31 ივლისი, № 957, გვ. 2.





ნუ იქნება „ჩვეულება სჯულზე უმტკიცესი“

„ჩვეულება სჯულზე უმტკიცესი“ ნათქვამია, და მართალიც არის. ამას წინათ მოთავსებული იყო რამდენიმე წერილი ქართველი მუსლიმანების შესახებ, ავტორის მიზანი იყო ქართველი მუსლიმანები დასდგომოდნენ სწორსა და ნათელ გზას, გაეგოთ თავიანთი ეროვნული ვინაობა, გასცნობოდნენ სამშობლო ქვეყნის ისტორიას, გამოფხიზლებულიყვნენ და დაეწყოთ წინსვლა, როგორც შეფერის ხალხს, მეოცე საუკუნეში მყოფს. მაგრამ საუბედუროდ, ჯერ ჩვენ ვერც ერთი ვერ გაგვიკეთებია.

ავიღოთ ჩვენი ვინაობა და ვთქვათ: თუ კი ჩვენ უკვე ვიცით ვინა ვართ, რაღად გვიწოდებენ „თათარს“ ჩვენი მოძმე ქართველი ქრისტიანები? ან ჩვენ რაღად ვაღიარებთ თავს თათრებად? ამაზე იყო „ბათუმის გაზეთში“ მოთავსებული წერილი, რასაც ბევრი დაეთანხმა და მიხვდა თავის შეცდომას. ზოგი კი ისევ კერპობს, თუმცა იციან კი, თუ სიმართლე საით არის. მაგრამ რა საჭიროა ცარიელი მიხვედრა, თუ ჩვენ ისევ ძველებურად გავიძახით — „ეს თათარი, ეს მაჰმადიანი, ეს ქართველი მაჰმადიანო?“ რა საჭიროა ესენი. როდის იყო, რომ ჩვენ მოძმე ქართველებს „ქართველ ქრისტიანებს“ ვუწოდებდით? დიახ, საკმარისია ვთქვათ სიტყვა — „ქართველი“, რომ მკითხველმა ჩვენი ეროვნული ვინაობა გაიგოს.

კარგი, ვთქვათ, რომ ქართველმა მუსლიმანებმა ჯერ კიდევ ვერ შეიგნეს და ვერ შეითვისეს ეს, რადგანაც ხელს გვიშლის ჩვეულება, გულში ჩანერგილი დამღუპველი ფანატიზმი. მაგრამ ქართველ ქრისტიანებს რაღა უშლით ხელს? ალბათ იმათაც ჩვეულება! მე მგონია, რომ სირ-

ცხვილიც არის, ეს შემცდარი ჩვეულება ვალიაროთ სინამდვილის მაგიერ და დავმორჩილდეთ მას.


პირდაპირ სენად გვაქვს გამჯდარი ძვალსა და რბილში ეს სამარცხვინო ჩვეულება. დიახ! ჩვენ ავად ვართ და წამალს კი არ ვეძებთ. მე თამამად ვიტყვი, რომ საუკეთესო ნაბიჯი იქნება ამ ჩვეულების თავიდან მოშორება. მაშინ უნდა დაგვეშ-მართოთ თქვენ, ქართველო ქრისტიანებო, და აწი მაინც ნულარ გვიწოდებთ „თათრებს“. აი, მაშინ შეიძლება ქართველმა მუსლიმანებმაც შეაჩვიონ ყური სინამდვილეს და ღრმად ჩაუკვირდნენ თუ რაშია საქმე.

განა მარტო ჩვენ ჩავდივართ ასეთ შეცდომას? არა! ჩვენ რუსმა მოხელეებმაც დაგვარქვეს „თურქი“. ბევრ რუსს ვერც კი დააჯერებთ, თუ ჩვენ ქართველები ვართ, ასე სცდებიან არა მარტო უსწავლელნი, არამედ თვით მასწავლებელნიც კი, თუ გნებავთ, მოვიყვან ერთ მაგალითს.

ბათუმის ერთ სასწავლებელში მოწაფეებს ვაკვეთილად მისცეს დასაწერად „აღწერა ბათუმის ოლქის მცხოვრებთა“. ერთმა მოწაფემ დაწერა — ბათუმის ოლქში ცხოვრობენ უმეტესად ქართველი მუსლიმანებიო. მასწავლებელს ძლიერ გაუკვირდა და იკითხა: ვინ არიან ქართველი მუსლიმანებიო? მან თქვა: — ესენი ქართველი მუსლიმანები როდი არიან, ესენი „თურქები“ არიანო.

ამის შემდეგ რაღა უნდა ვთქვა. მე ძლიერ მიკვირს ამ შეგნებულ პირთა საქმე, თუ იციან, რად ამახინჯებენ სინამდვილეს და თუ არ იციან, მაშ რას სწავლობენ? ვთქვათ; ისინი უმაღლესი პოლიტიკური მოსაზრებით გვიწოდებენ „თურქებს“, მაგრამ ჩვენ რატომ არ ვეუბნებით მათ: არა, ბატონებო, ჩვენ „თურქები“, ოსმალები კი არა, ქართველები გახლავართ. რუსები, სომხები, ბერძნები ან სხვები კი აღიარებენ მართლმადიდებლობას, კათოლიკობას, გრიგორიანობას და მაჰმადიანობას, მაგრამ ეროვნებად რუსი, ბერძენი, სომეხი და სხვ. რჩება, ჩვენ რაღა დავაშავეთ? მაჰმადიანები რომ ვართ, განა ქართველები აღარ ვართ? მაშ, სადაურია ჩვენი დედა ენა, ჩვენი გვარი, რა არის ეს ისტორიული ნაშთები, რომელნიც ღალადებენ ჩვენს ვინაობას.





თვით ქვანიც კი ლაღადებენ, თუ ვინ ვართ ჩვენ და  
 მაშ, ჩვეულება ნუ იქნება სჯულზე უმტკიცესი. აწი მაინც ნუ  
 მიგვაჩნდა ჩვენი თავი თათრებად და ნურც სხვას მივცემთ  
 ნებას, რომ „თათრები“ გვიწოდოს, სჯული სჯულად უნდა  
 იყოს და ეროვნება ეროვნებად.<sup>7</sup>

საქართველოს საბჭოთაო ხალხთა  
 რევოლუციური მთავრობის

7. „ბათუმის გაზეთი“, 1913, 1 დეკემბერი, № 88, გვ. 2.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## მეორე დიმიტრი თავდადებულის ღირსეული შვილი

სიტყვა, წარმოთქმული ბათუმის წარმომადგენელ ჰაიდარ აბაშიძის მიერ კონსტანტინე ყიფიანის იუბილეზე, თბილისში

ბათუმის ქართული საზოგადოება სარწმუნოების და მიმართულების განურჩევლად შენს სიცოცხლეში ამ ფრიად შესანიშნავ, სადღესასწაულო დღეს წრფელი გულის სიღრმიდან სალამს მოგიძღვნის და შენი დიადი ღვაწლის კეთილნაყოფიერების გამთვალისწინებელი უგულითადეს მადლობას მოგახსენებს... და ღირსიც ხარ მადლობისა, რადგან მთელი ორმოცდახუთი წლის განმავლობაში იშვიათი თავდადებით და სამაგალითო გულმოდგინებით, შენი ზეგარდმო მადლით ცხებულ მსახიობური მოღვაწეობის მეოხებით ქართველის გულში თესლსა კეთილს სთესს. მრავალ წელთა განმავლობაში არა ერთი და ორი მძიმე და რთული როლი შეგისრულებია, როგორც ქართულ, ისე ევროპულ დრამატიულ ნაწარმოებთაგან და **სხვადასხვა მოქმედი პირის სულისკვეთებანი** და მისწრაფებანი საუცხოო ხელოვნებით განგისახიერებია. სიყრმითვე მსახიობური მოღვაწეობის მიმართ ჭეშმარიტი სიყვარულით გამსჭვალულმა, შენ 1879 წელს ქართული სამუდამო სასცენო დასის დაარსებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღე და მას უკან ამ დასის ერთი საუკეთესო დამამშვენებელ გვირგვინთაგანი ბრძანდები...

მრავალწამებული საქართველო თუ წელში გაიმართა, შავ ბედისწერას არ დაემონა, და ვერც წარიტაცა შავმა ყორანმა, ვით უმწეო მსხვერპლი, ეს უმთავრესად იმის გამოც მოხდა, რომ სასცენო მოღვაწეობა კარგა ხანია მის ცის ქვეშ ძლიერ კულტურულ ძალად ცნობილ იქმნა... და მან, ამ ძალამ, ხელი შეუწყო ქართველი ერის არა თუ მხოლოდ ზნეობრივ



წრთენას, არამედ მის ნამდვილ ეროვნულ გათვითცნობიერებას ჭეშმარიტად, ჩვენი თანა ბედში მყოფისთვის თეატრი ეროვნული სიცოცხლის დედა-ძარღვია, მისი არსებობის მუდამ საამურად მოჩუხჩუხე განმანოციერებელი ნაკადულია... ქართული თეატრი შეიქმნა სკოლად; ის ზრდის ჩვენს ერის ფართო მასას, აძლიერებს მის გულში არა თუ მხოლოდ ეროვნულ, არამედ ადამიანურ შეგნებასაც. ამ სკოლის გავლენის გაფართოებასა და აყვავებაში შენ, როგორც უნიჭიერეს მსახიობს, დიდი წილი გიძევს, რადგან შენს სიტყვას ერთნაირის დაკვირვებით და აღტაცებით მოისმენდა ჩვენი ერის ყოველი წოდების და კლასის წარმომადგენელი...

ეჭვდაუდებელია, რომ შენი გული აღტაცებას განიცდის, როდესაც ხედავ, რომ დღითი-დღე შენი საყვარელი სასცენო საქმე ჩვენი ტურფა სამშობლოს სხვადასხვა ქალაქსა და დაბაში ფეხს იკიდებს, რათა მოფინოს თვისი დიადი საკეთილო გავლენა მთელ ქართველ ერს... ბათუმის ქართველი საზოგადოება, როგორც მცხოვრები ისეთ მხარეში, რომელიც უამთა სიამის მეოხებით დიდხანს იყო მოწყვეტილი საერთო დედის, საქართველოს გულ-მკერდს, განსაკუთრებით გამსჭვალულია შენი სასცენო მოღვაწეობის მიმართ ღრმა პატივისცემის გრძნობით. აქაც, ძველ, კლასიკურ, ოქროსმატყლოვან კოლხიდაში, დიდი ხანი არ არის, ჩაიდგა იმ დიდებული საქმის საძირკველი, რომლის თავდადებული მოჭირნახულეც ბრძანდები... აქაც შენი სულიერი შვილები, ახალგაზრდა მსახიობნი, სათავეში ჩაუდგნენ შენს საყვარელ საქმეს, რომელმაც მკვიდრთა შორის თანაგრძნობა და სიყვარული მოიპოვა...

ბათუმის ქართველი საზოგადოება, გიძღვნის რა თავმდაბლად მადლობას სასცენო მოღვაწეობისათვის, გისურვებს მრავალუამიერ სიცოცხლეს მშობლიური სცენის დასამშვენებლად და დანარჩენი მხრის ქართველებთან ერთად ხმამაღლა გილაღადებს:

„შაბაშ კაცი, შაბაშ სიტყვა,  
შაბაშ საქმე მისგან ქმნილი!“

26 იანვარი, 1914 წ.



**პართველი მამადიანი ქალის ხმა**

რამდენადაც მეტს დავფიქრდები საცოდავს ჩემს დებზე — მუსლიმან ქალებზე და წარმოვიდგენ მათ უნუგეშო მდგომარეობას, იმდენად გული მიღელავს და სული მიშფოთავს. ბევრჯერ მითქვამს, განა ჩვენი სიცოცხლეს სიცოცხლეა და ჩვენც ადამიანები ვართ? ვხედავ ჩვენი პიროვნების დამცირებას, ჩვენს არარაობას, რაიცა იწვევს სულის ქეჯნას და ცრემლებსაც კი. საყოველთაოდ, მთელ დედამიწის ზურგზე, თვით უგანათლებულეს ქვეყნებშიაც კი, ქალები რომ დაჩაგრულნი არიან მამაკაცებთან შედარებით, ეს ვიცით, მაგრამ ჩვენი მუსლიმანი ქალების მდგომარეობა განსაკუთრებით აუტანელია. ჩვენ მოწყვეტილნი ვართ ცხოვრებას და მოკლებულნი ვართ თვით მზის სინათლესაც კი, ცხოვრებისა და ბუნების კანონები ჩვენთვის თითქოს არ არსებობენ, აკრძალული გვაქვს მონაწილეობის მიღება კულტურულ საზოგადოებებში, დაწესებულებებში. არ შეგვიძლია დავესწროთ საზოგადო კრებებს, ვიაროთ საკრებულოში, თეატრში და სხვა. აკრძალული გვაქვს აგრეთვე ქუჩაში თავისუფლად სეირნობა. დილიდან საღამომდე უნდა ვიყოთ ჩაკეტილი ოთხ კედელშია და ვუცადოთ ჩვენი ქმრების მობრძანებას. ჩვენმა გასათხოვარმა ქალებმა უნდა უცადონ მშობლებისაგან პირუტყვივით გაყიდვას. მათ არა აქვთ ნება იმას გაჰყენენ ცოლად, ვინც მოსწონთ.

მშობლები მათ ისე ეპყრობიან, როგორც გასაყიდ ნივთს. სიყვარული ხომ მათთვის აკრძალულია; მამა ირჩევს სასიძოდ ისეთ კაცს, რომელიც მის ქალიშვილს ერთხელაც არ უნახავს, ქალის დაუკითხავად მამა ათავენს მასთან საქმეს, აქორწინებს ზედ და ატანს თავის ქალს საკუთარი ნებითა და განკარგულებით, მიუხედავად იმისა, თანახმაა ქალი ასეთი ქორწინების, თუ არა. ამასთან, ხშირად ხდება ისეთი მაგალითი,



რომ თხუთმეტი წლის ქალი თავის უნებურად იძულებული ხდება გაჰყვეს სამოცი წლის კაცს, ვისთანაც უნდა გაატაროს ყმაწვილმა ქალმა თავისი ტანჯული და წამებული სიცოცხლე. დიახ, ასეთი საცოდავი და უნუგეშოა ჩვენი მდგომარეობა. განა ღირსი ვართ ასეთ პირუტყვეულ მდგომარეობას? ფნისა? განა ჩვენ ადამიანები არა ვართ? განა მანუში მანუში მიანური გრძნობა არ სუფევს ისე, როგორც მამაკაცებში? განა ჩვენ გაჩენილი ვართ მხოლოდ მამაკაცების მონებად? არა, ჩვენ მამაკაცების მონებად კი არა, დედებად და მეუღლეებად ვართ გაჩენილი... ჩვენ, ქალები მამაკაცების მონები და მათი ფეხქვეშ სათელი კი არა, მათი ცხოვრების შეგნებული და სწორუფლებიანი თანამგზავრები უნდა ვიყოთ. ჩვენი დამცირების, დამონების მაგალითად ჩაითვლება ჩვენი ჩადრებით დაბურვაც. რატომ არ გვანებებენ ჩვენი მამაკაცები პირის გამოჩენას? რატომ ვართ ჩადრში დაბურული და მოკლებული დღის სინათლეს? ზოგიერთი ჩვენი ხოჯა-მოლა ამბობს და კაცებიც იმეორებენ, ქალებმა რომ პირი აიხადონ, ეს ცუდად იმოქმედებს კაცებზე, რადგან ვნებათა ღელვას იწვევენ და ქალებმა ამით არ უნდა ჩააყენონ ისინი ასეთ მდგომარეობაშიო. ვთქვათ, რომ ეს ასეა, მაგრამ განა ქალები მოკლებული არიან მგრძნობელობას; ჩვენც ზომ ადამიანები ვართ? რატომ მამაკაცები არ იფარებენ პირზე ჩადრს? რატომ გვამზერინებენ ჩვენ, ჩადრიანებს სახეზე? თუ კი ჩვენ გვიქადაგებენ ზნეობის დაცვას ამ სახით, რატომ თვითონ არ იცავენ ასეთ წესს? მაგრამ არა, ამაოა ეს კითხვები. ჩვენ, მაჰმადიანი ქალები კარგად ვგრძნობთ, რომ აქ საქმე გვაქვს ძალმომრობასთან, რაიცა ნანადერძივე გვაქვს ჩვენი ქმრების და მამების უმეცრებისა და უკულტურობისაგან, რომ ეს ასეა. ამას ამტკიცებს ის, რომ საშუალო და უმაღლეს კურსდამთავრებული ჩვენი დები — განათლებული მუსლიმანი ქალები ჩადრებით აღარ იბურავენ პირსახეს, ცოდნითა და შეგნებით აღჭურვილნი თამამად გამოდიან ცხოვრების ასპარეზზე და თავიანთ განათლებულ თანამოძმე მუსლიმან მამაკაცებთან ერთად ემსახურებიან თავისი ერის კულტურულ აღორძინებას. დადგება დრო, რომ განათლების სხივები ჩვენშიაც გაჰფანტავს სიბნელეს. ჩვენი ქართველი

მაჰმადიანი ქალების მოვალეობაა შვილები აღზარდოთ  
დროის შესაფერისად, ჩავუნერგოთ მათ გულში მძულვარება  
იმ მონობისა და დამცირებისადმი, რასაც ჩვენ განვიცდით,  
რომ იქნება მათ მაინც დააღწიონ თავი ასეთ მდგომარეობას<sup>8</sup>.

სიბუჩქი

---

8. „ბათუმის გაზეთი“, 1914, 2 მარტი, № 18.





ეროვნული  
კულტურული

**არაბი და თათრული გაზეთი მაჰმადიანი  
პარტველების შესახებ**

ბაქოს თათრულ გაზეთ „იღბალის“ 511-ე ნომერში მოთავსებულია ბათუმიდან ბ-ნ არაბ ვასფი-ეფენდის წერილი, რომელშიაც ბ-ნი ავტორი ეხება ბათუმის მცხოვრებთ და აღნიშნავს რა მათ კულტურულ მდგომარეობას, ანცალკე-ვებს ბათუმის მუსლიმანებს და ამბობს:

„ეს მშვენიერი ქალაქი ამ ორი წლის წინათ ვინახულე და ჩვენი მოძმე მუსლიმანების მდგომარეობამ ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. იმ დროს, როდესაც სხვა ერი კულტურას მისდევს, ჩვენი მოძმე მუსლიმანები თავის დროს უნაყოფოდ ჰკარგავენ. რისი შედეგიც მათივე დაცემა რა უკან ჩამორჩენაა. ამ მდგომარეობამ ძლიერ ჩამაფიქრა. მადლობა ღმერთს, სწავლა-განათლების გზა ფართოა და ის რომელიმე ერის საკუთრებას არ შეადგენს, ის ჩვენც გვეკუთვნის. რამდენად გავითვალისწინებდი ბათუმის მუსლიმანების მდგომარეობას, იმდენად ის რაღაც საცოდნობას წარმოადგენდა, მაგრამ მადლობა ღმერთს, დღეს ბათუმში ვხედავ ახლად დაბადებულ წინმსვლელობას, რომლითაც მე დიდად ვამაყობ. ერთ-ერთი ეროვნული შეგნების ყვაველი თათრული თეატრია. მისი მიზანია არა ის, რომ მისმა ინიციატორებმა ჯიბე გაივსონ, არამედ ერს უჩვენონ სწორი გზა და მისი შიგნება უმაღლეს საფეხურზე დააყენონ... მეორეც, ჩიმი ელტაცების მიზეზი არის ის, რომ ბათუმის მუსლიმანებში დაიბადა აზრი დამხმარებელი საზოგადოების დაარსებისა. რომელსაც მიზნად აქვს დააარსოს ყველგან ეროვნული სასწავლებლები, დააარსოს გამომცემელი ამხანაგობა, რომელიც გამოსცემს წიგნებსა და გაზეთებს და აგრეთვე დაეხმარება ლარიბებს და სხვ.“

მესამე ის არის, რომ მეჩეთის ხარჯით, მეჩეთთან უნდა


გაიხსნას ეროვნული სასწავლებელი და იქვე დაარსდეს ეროვნული სამკითხველო... ცხადია, ამ გზას რომ დროზე დადგომოდნენ ჩვენი ბათუმელი მოძმენი, ეხლა დიდად დაწინავებულნი იქნებოდნენო“ და სხვ.

ვკითხულობთ ამ ამონაწერს, ყურადღებას ვამჩნევთ მკვეს მიერ ხაზგასმულს და გვიკვირს ბ-ნი არაბი ელჩის წინადადებათა თაობაზე. ჩვენ კარგად გვესმის, ვის გულისხმობს ის „თანამოძმე“ მუსლიმანებად, ვისთვის უნდა „თათრული თეატრი“, „ეროვნული სასწავლებლები“, „ეროვნული წიგნები“, მაგრამ მოვასხენებთ მას, რომ აქაური მუსლიმანების დიდ უმრავლესობას კარგა ხანია აქვს ეროვნული სასწავლებელი, ჰყავს ეროვნული ქართული დრამატიული საზოგადოება და დასი. მოეპოვება სამშობლო ენაზე გამოცემული ქართული წიგნები. რაც შეეხება იმ თათრულ თეატრს, რომელსაც შესტრფის ბ-ნი არაბი ვასფი-ეფენდი, არავითარი ნაყოფი არ მოაქვს აქ. ღიახ! „დაწინავებულნი იქნებოდნენო“, — ამბობს ბ-ნი ვასფი-ეფენდი მაშინ, როდესაც კარგად ხედავს, თუ სამასი წლის ოსმალეთის ბატონობამ და რეჟიმმა რა მოგვცა ქართველ მაჰმადიანებს და ნუთუ „თათრული თეატრი“ ორი წლის განმავლობაში, სადაც ესწრება ორი-სამი ქართველი მუსლიმანი, ჩვენ თათრულს შეგვასწავლის? დედა ენის შებღალვამ და თათრული ენის გავრცელების სურვილმა ჩვენ დაგვცა, დაგვაკინა და დაგვაბნია და ნუთუ ახლა მოცოცხლებულსა და ცოტად თუ ბევრად გაღვიძებულ ქართველ მაჰმადიანებში ბ-ნ ვასფი-ეფენდის შეაქვს კიდევ თათრული ენის გავრცელების და დედა ენის მოსპობის სურვილი? რატომ მერე?

არაბმა ვასფი-ეფენდიმ უნდა იცოდეს, რომ ერთია სარწმუნოება და მეორე — ეროვნება. სარწმუნოებრივი ნიადაგით ერის განახლება ფიქციაა, წარმოუდგენელი იყო მკვდრეთით აღმდგარ ახალი საბერძნეთის, ბულგარეთისა და რუმინეთის განახლება და კულტურულ-ეროვნული აღორძინება გარეშე დედა ენისა, მშობლიური კულტურისა და ევროპული ცივილიზაციისა. მათ უნდა მიჰბაძოს ყველამ, მიუხედავად იმისა, თუ რა სარწმუნოებას აღიარებს იგი. ინდოეთი და არაბეთიც ხომ ამ გზას დაადგა. ამასთან გვიკვირს ბ-ნ არაბი ვასფი-ეფენდის პოლიტიკა. მართალია, ზოგადკაცობრიული



თვალთა ხედვის ისრით, ყველანი ჩვენ — ადამიანები, ერთმანეთის მოყვასები და ძმები უნდა ვიყოთ, მაგრამ ბ-ნი ვასფი-ეფენდი, თვითონ ტომით არაბი, ოსმალეთის სპარსოფილის როლში, მეტად ყალბ პოზიციაზე დას-რატომ არ გრძნობს ამას?!



საქართველო  
საქართველო

9. „ბათუმის გაზეთი“, 1914, 16 მარტი, № 22, გვ 2.



## ამასაც მტკიცება უნდა?

პასუხად ჩვენს გადაგვარებულ თანამოძმეს და  
თანამორწმუნეს, ბ-ნ ყარალა-ზადეს

ბაქოს თათრულ გაზ. „ილბალის“ 628-ე ნომერში მოთაგ-  
სებულია გადაგვარებული ქართველი მაჰმადიანის, ბ-ნ  
ყარალა-ზადეს წერილი სათაურით „გურჯი მუსლიმანლერე  
დაირ“, ე. ი. „ქართველი მუსლიმანების შესახებ“. ბ-ნ ავ-  
ტორს თავის წერილში მოჰყავს სიტყვები „ბათუმის გაზეთ-  
ში“ ქართველი მაჰმადიანების შესახებ დაბეჭდილი წერი-  
ლებიდან და ეკამათება მის მიერ მოყვანილ სიტყვებს. აი,  
როგორ იწყებს ბ-ნი ავტორი თავის წერილს: „ამ ბოლო  
ხანებში ქართულ გაზეთებში ვკითხულობთ ქართველი მაჰ-  
მადიანების შესახებ წერილებს, რომლებშიაც ავტორი ხან  
ამკარად და ხან კი მალულად გამოდის და წმიდა საქმე-  
ების ჩხრეკაში არის. მე მგონია, რომ ამისთანა წერილებში  
წმიდა და თვალით დაუნახველი ერთი მისწრაფებაა. ამის  
მსგავს მისწრაფებას ხალხისათვის კარგი მხარეც აქვს და  
ავიც...

ისტორიის მიხედულობით ქართველი მუსლიმანები ქრის-  
ტიან ქართველობიდან გადასულან, ე. ი. ისინი სხვა ბევრ  
მუსლიმანებსავით უწინ მუსლიმანები არ ყოფილან. მათ  
მუსლიმანობა მიუღიათ და თურქებთან შეერთებულან.  
დღევანდელი მათი ზვეულება და ხასიათი თურქებიდან მიუ-  
ღიათ. ამის მიხედულობით დღეს ქართველი მუსლიმანები  
ერთი ბრძანების წინაშე სდგანან... მუსლიმან ქართველების  
დედა ენა ქართულია, მაგრამ თათრული მათი გულის და  
სულის ამხანაგია... ამის მიხედულობით, წერილების მწე-  
რავი შუამდგომელი ხალხოსანი „მაჰმადიანი ქართველი“ მის  
წერილებს რომ ცოტათი დაუფიქრდებოდეს, გაიგებდეს



ხალხის გრძნობას და ისე სწერდეს, უფრო კარგს იზამდეთ“ და სხვა.. წერილის ბოლოს ავტორი ამართლებს ვასფი-ეფენდის, მოჰყავს „ბათუმის გაზეთიდან“ ჩვენი სიტყვები, რომელნიც ვასფი-ეფენდის ჰქონდა მოთავსებული იმდრო ბაქოს თათრულ გაზეთში, „იღბალის“ 511-ე ნომერში. ამბობს შემდეგ სიტყვებს: „ამ წერილის წამკითხველს ეგონება, რომ თითქოს მართლაც ბათუმში მცხოვრებ ქართველ მუსლიმანებს მათი სასწავლებელი აქვთ და აქაურობა განათლების ბუდეაო. „მაჰმადიან ქართველის“ ძახილი, ეროვნული სასწავლებლები, ეროვნული თეატრი გვაქვსო, მისი მსგავსია, რომ ვიძახოთ ქვეყნის ყოველ კუთხეში ყოველნაირი სასწავლებლები არისო. მაგრამ მან რამდენიც უნდა იყვიროს „არის“-ო, ბათუმში ქართველ მუსლიმანებს მათი შესაფერი სასწავლებელი არა აქვთ და არა.

რომელიმე გაპარტახებულ სამლოცველოსთანაც დაუკავშირებელი ეროვნული ფანატიკოსობისაგან რა გამოვა? „მაჰმადიანი ქართველი“ წარსულის დაბრუნებაზე ფიქრობს და ამის მეტი საფიქრელი არა აქვს რა. დიახ, უკან დაბრუნებაც ერთი წინმსვლელობაა და რაც შეეხება ენის სწავლას, გარდა ქართულისა, თათრული და რუსულიც საჭიროა. თათრული ენის საჭიროებას მოითხოვს ჩვენი სარწმუნოება, რადგანაც უმეტესი წიგნები მუსლიმანებისა თათრულია. „მაჰმადიანი ქართველის“ თათრული ენისა და მარიფათის მოუწონლობას ჩვენ ერთგვარ ავადმყოფობად ვთვლით. განა ქართული ლიტერატურა თურქულსაგან მდიდარია და მათ თურქებსაგან ძველი განათლება აქვთ? ისტორიის სხვისი სათვალეებით კითხვით ჭეშმარიტი გამოცდილების მიღება შეუძლებელია და ამისთანა მიმართულება სხვა იღბლის მაჩვენებელია, ვფიქრობ და აქ ვჩერდები“-ო.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ სრულიად უსაფუძვლოდ და უსაბუთოდ გვიკიჟინებს ჩვენი გადაგვარებული თანამოძმე ბ-ნი ყარაღა-ზადე, რომ ამბობს: „ქართველი მაჰმადიანი“ წარსულის დაბრუნებაზე ფიქრობს და ამის მეტი საფიქრალი არა აქვს რაო“. ამ კიჟინაში ერთგვარი ცილისწამებაცაა ბოროტი განზრახვით ჩართული. წარსულის დაბრუნება არავის ძალუძს, ისტორიის ჩარხი უკუღმა

არ ტრიალებს. ეს ჩვენ კარგად გვესმის. ყარაღა-ზადეს ამ სიტყვებს მხოლოდ ის სარჩული უდევს, რომ მოგვისისინის ჩვენი თანამორწმუნენი, თითქოს ჩვენ სარწმუნოებრივ მხარეს ვეხებოდეთ და განზრახვა გვქონდეს, ჩვენს მღვდელმამა-პაპათა ქრისტიანულ სარწმუნოებას დავუბრუნდეთ. ეს სრულებით არ არის ასე. სარწმუნოება ტანსაცმელი, არაა, როცა გინდა გაიხადო და როცა გინდა ჩაიცვა. მაშასადამე, რა აზრი აქვს „წარსულის უკან დაბრუნებაზე“ კამათს, როდესაც ჩვენ ჩვენს თანამომემ და თანამორწმუნეებს მოვუწოდებთ მხოლოდ კულტურული განვითარების, განახლებისა და განათლებისაკენ? ამასთან, მკითხველი იმასაც ხედავს, რომ ბ-ნი ყარაღა-ზადე ძველ გაცვეთილ ლათაიებსა მღერის... ასეთ გულუბრყვილობა და ოპორტუნისტ მწერალ მოღვაწეთა იმედებსა და ოცნებას ცივი წყალი გადაასხა მთავრობის პოლიტიკამ. ეს საზოგადოდ, მაგრამ კერძოდ, ბ-ნი ყარაღა-ზადე ტყუილად ირჯება იმის დასამტკიცებლად, რომ თითქოს სარწმუნოების გამოცვლასთან ერთად გამაჰმადიანებულმა ქართველობამ დაჰკარგა თავისი ეროვნული სახე. მართალია, თურქთა ბატონობამ და ისლამმა თავისი ბეჭედი დაასვა მას, მაგრამ ეროვნული თვითარსება და ერი ვერ აღმოფხვრა მასში. ამას უტყუარად ამტკიცებს ის გარემოება, რომ მიუხედავად იმისა, რომ მაჰმადიანობასა და თურქთა გავლენას ჩვენზე 300-400 წ. ისტორია აქვს, ჩვენ მაინც ეროვნულად ქართველებად დავრჩით, არ გადაგვგარდით. ასეთი ტიპები, როგორიც თვით ბ-ნი ყარაღა-ზადე ბრძანდება, საბედნიეროდ ჩვენში იშვიათია. იგი აფუჩეჩებს რა მაჰმადიან ქართველების ეროვნულ განსხვავებას და ლამობს მათ გათქვეფას და გადაგვარებას ოსმალებში, თურქებში, ამბობს — „რაც შეეხება ენის სწავლას, გარდა ქართულისა, თათრული და რუსულიც საჭიროა. თათრული ენის საჭიროებას მოითხოვს ჩვენში სარწმუნოება, რადგანაც უმეტესი წიგნები მუსლიმანობის შესწავლისა თათრულია“ და სხვ. ჯერ ერთი, ჩვენ არსად არ გვითქვამს ქართული დედა ენის გარდა, სხვა ენების შესწავლა არ გვინდაო. რაც შეეხება იმას, რომ საღვთო წერილი ჩვენს სჯულზე უმეტესად თათრულია, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მათი გადმოთარგმნა არ შეიძლებოდეს ქართულად, ჩვენი ხალხისათ-



ის უფრო გასაგებ, ჩვენს დედა ენაზე. თუ კი მუსლიმანთა  
საღვთო წერილის სასულიერო წიგნები ითარგმნება თურ-  
ქების, ინდოელების, ეგვიპტელების, სპარსელების და უკა-  
ნასკნელ დროს, ქურთების ენაზედაც, რატომ ქართულადაც  
არ უნდა ითარგმნოს? იბნიჰეჯერმა ნება დართო, არა მხოლოდ  
მართო მუსლიმანთა სხვადასხვა სასულიერო წიგნებს, არამედ  
გმნისა, არამედ თვით ყურანისაც. ამასთან, უმაღლესმა  
მუსლიმანთა სამღვდლოებამ გამოიტანა ფეტვა ამავე საგ-  
ნის შესახებ და დაადგინა, რომ ულუმიდინიე (საღვთო წე-  
რილი) და ისტორია მუსლიმანობისა თარგმნილ იქნას სხვა  
ენებზედაც. ნუთუ ყარაღა-ზადემ არ იცის ყოველივე ეს? და  
აუ იცის, რატომ არ ამბობს იმას, რომ მაჰმადიან ქართ-  
ველთათვისაც გადმოითარგმნოს აგრეთვე, როგორც სხვებ-  
მა თარგმნეს თავ-თავიანთ დედა ენებზე? ქართველ მუსლი-  
მანების 99 პროცენტისათვის ხომ უფრო გასაგები იქნება  
მაშინ და უფრო მტკიცედ დაიცავენ თავიანთ სჯულს?..


ჩვენ არ გვითქვამს, ბათუმელ მუსლიმანებს ყოვლად  
უნაკლულო ეროვნული სკოლები და კულტ. დაწესებულებ-  
ბანი აქვთო. ჩვენ ვთქვით, რომ არის ქართული ეროვნული  
სკოლები და თეატრი და არაა საჭირო, რომ ამათ ნაცვლად  
თათრულ-ოსმალურ თეატრსა და სკოლას ვაწვდიდეთ ქართ-  
ველ მუსლიმანებს. ამას ვამბობთ ახლაც, ოღონდ დავსძენთ,  
რომ თუ რამეს ნაკლი აქვს, ამას გასწორება უნდა. ბ-ნი  
ყარაღა-ზადე, იმის დასამტკიცებლად რომ თურქული ენა  
შევისწავლოთ, მოგვმართავს კითხვით: „განა ქართული ლი-  
ტერატურა თურქულსათვის მდიდარია და თურქებსაც  
ძველი განათლება აქვთ ქართველებსო?“ ასეთი კითხვის  
წამოყენება, მეტი რომ არა ვთქვათ, დიდი სითამამეა. ჯერ  
ერთი, განა ბ-ნი ყარაღა-ზადე იცნობს ქართულ ლიტერატუ-  
რას და ძველ კულტურას, ასეთ კითხვებს რომ იძლევა?  
ვთქვათ, რომ თურქებს მდიდარი ლიტერატურა და ძველი  
განათლება აქვთ, მერე ჩვენ — ქართველ მუსლიმანებს რა?  
თუ განათლებაზე და ლიტერატურის სიმდიდრეზე ვილაპა-  
რაკებთ, საფრანგეთის განათლება ბევრად სჯობია ოსმალე-  
თისას და გერმანული ლიტერატურისთანა მდიდარი ლიტე-  
რატურა არამც თუ თურქებს, არამედ უფრო განათლებულ  
ევროპის სხვა ერებსაც არა აქვთ, მაგრამ საქმე ამაში კი არა,

არამედ იმაშია, რომ ყოველ ერს, როგორც ლიტერატურა არ უნდა ჰქონდეს მას, თავისი უნდა ერჩიოს სხვისას, ვინაიდან თავისი ლიტერატურის საშუალებით ვითარდება და წინ მიდის კულტურულად ესა თუ ის ხალხი. სხვისა მდინარე ლიტერატურით უნდა ვისარგებლოთ, ხოლო ჩვენს ლიტერატურა არ უნდა დავივიწყოთ. ჩვენი გადაგვარებული თანამემამულე და თანამორწმუნე ბ-ნი ყარაღა-ზადე კი გვიჩვენებს, ჩვენ, ქართველ მუსლიმანებს, ჩვენი დავივიწყოთ და სხვისას მივსდით, ასეთ პირებზე ამბობს ჩვენი დიდი პოეტი აკაკი:

„გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია.  
მისი პირადი ღირსება ყოველგან დაჩაგრულია“.

დასასრულ ბ-ნი ყარაღა-ზადე ამბობს: „მუსლიმანობის ქართველ მუსლიმანებს, ჩვენი დავივიწყოთ და სხვისას საჭირო არ არის ასეთი ბუნდოვანობა. ჩვენ ვთქვით და ვამბობთ, რომ „მუსლიმანობა“ არის სიტყვა და ცნება სარწმუნოების გამომხატველი, „ქართველობა“ კი — ეროვნების. თქვენ და თქვენი მსგავსი არაბი ვასფი-ეფენდი და სხვანი „მუსლიმანობაში“ ათავსებთ ყველა მაჰმადიანებს ეროვნების განურჩევლად და „ქართველობას“ გულისხმობთ ქრისტიანებად. ამიტომ ამბობთ: „მუსლიმანობის გადმოყვანა ქართველობაზე შეუძლებელია“. ეს უვიცობაა, ფანატიკოსობაა, თუ სხვა რაიმე ბოროტი განზრახვა, აღარ ვიცით; ეს კი ვიცით, რომ აქ დიდი შეცდომა და სიყალბეა, როგორც ქრისტეს, ისე მაჰმადის სარწმუნოებას აღიარებენ მრავალი სხვა ერები, რომელთაც თავთავიანთი ეროვნული დედა ენა და საკუთარი ლიტერატურა აქვთ, როგორც ბევრი ერების ნაწილები, ზოგი მაჰმადიანია და ზოგი ქრისტიანი, და ენა და ლიტერატურა ამა თუ იმ ერის წარმომადგენელთ, ქრისტიანებსაც და მაჰმადიანებსაც, საერთო აქვთ, ისე ჩვენც, მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს საერთო გვაქვს ჩვენი მშობლიური დედა ენა და ლიტერატურა. ეს ისე ნათელი და ცხადია, რომ ამის მტკიცება აღარ უნდა იყოს საჭირო. მაგრამ სამწუხაროდ, არიან გადაგვარებული არაბი ვასფი-ეფენდისა და გადაგვარებული ქართველი ყარაღა-ზადესთანა





კალმოსნები, რომელთაც ასეთი ნათელი ჭეშმარიტება ჯერაც ვერ შეუგნიათ. უფრო სამწუხარო კიდევ ის არის, რომ ასეთ კალმოსნებს ადგილს აძლევს თათრული გაზეთი „ილბალი“<sup>10</sup>

საქართველოს  
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

თბილისი, 1944 წლის მაისი

10. „ბათუმის გაზეთი“, 1914, 15 მაისი, № 38, გვ. 2-3.



### საბულისხმო პროტესტი

„ბათუმის გაზეთის“ რედაქციამ მიიღო ქვემოთ მოყვანილი წერილი, რომელსაც ხელს აწერს ცხრამეტი მაჰმადიანი ქართველი. წერილს ვბეჭდავთ უცვლელად:

ამ ბოლო ხანებში ბათუმის ოლქის მაჰმადიანმა ქართველობამ გამოიღვიძა ეროვნულად, ამას ხელი შეუწყო მათი დედა ენის დევნამ და საერთო შევიწროებამ აქ, ადგილობრივ და ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომთა ეროვნულად თვით გამორკვევამ. ოსმალეთის იმპერიაში აღარ დარჩენილა არც ერთი კულტურული ერის შვილები, რომ ეროვნულად არ გამორკვეულიყვნენ. ჯერი მიდგა გურჯებზე, ქართველებზე, რამლებიც, ერთის მხრივ, ბათუმის ოლქის რუსეთთან შემოერთების დროს დარჩნენ ისევ ოსმალეთის მონობაში, და მეორეს მხრივ, მუჰაჯირებად გარდაიხვეწენ ოსმალეთში აქედან. ასეთი გურჯების, მაჰმადიანი ქართველების რიცხვი დიდია ოსმალეთში და აი ისინიც გამოერკვენ ეროვნულად. პანისლამიზმის ბურუსი გაიფანტა და ეროვნულმა ინტერესებმა შეაკავშირა როგორც მაჰმადიანი, ისე ქრისტიანი ბერძნები, სერბები, ბულგარელები, რუმინელები და ალბანელები. ასევე დაემართა ოსმალეთში მცხოვრებ ქართველებს ამის ცოცხალ მაგალითს იძლევიან სტამბოლელი მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველები, რომელნიც იკრიბებიან ერთად, ერთ ჭერქვეშ და ბჭობენ თავიანთ ჭირ-ვარამზე, თავიანთ ეროვნულ საქმეებზე. ეს თუ ასეა ოსმალეთში, მით უმეტეს უნდა იყოს აქ, სადაც ჩვენი თანამოძმე ქრისტიანი ქართველობა ზრუნავს ჩვენთვის, მათ ჩამორჩენილ მოძმეთათვის და სურს კულტურულ ნიადაგზე დაუფკავშირდეთ მათ. ჩვენ დავინტერესდით ჩვენი დედა ენით, ჩვენი ქართული მწიგნობრობით, ჰრესით და თეატრით. ჩვენი მიზანია გავიღვიძოთ და ჩვენც ჩვენს თანამოძმეებთან ერთად ჩავებათ



ეროვნების ფერხულში და დავადგეთ ევროპის ცივილიზაციის გზას ამ დროს კი გამოსულან ზოგიერთი ეროვნულად გადაგვარებული და გადამახინჯებული ტომით არაბნი და, სამწუხაროდ, ქართველები, გურჯებიც და სიტყვიერად თუ ბეჭდვითი სიტყვით (იხ. ბაქოს თათრული გაზეთის "მედიკლის" № № 511 და 627) ეწევიან ავითაციას მაჰმადიან ქართველების ეროვნული გამოღვიძების წინააღმდეგ. ეს ვაჟბატონები ჰანისლამიზმის ბურუსში ახვევენ ეროვნულ საკითხებს და ურჩევენ მათ: „რადგანაც თქვენ მუსლიმანები ხართ, მაჰმადიანები, ისლამისათვის არ არსებობს ეროვნებაო“. მაგრამ ამავე დროს მათ ავიწყდებათ, რომ ყოველი ქვეყნის მუსლიმანები თავის ეროვნებას მისდევენ, თავიანთ ენას და კულტურას იცავენ და სხვა. ვინაიდან ჩვენ ქვემოთ ამის ხელისმომწერნი ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ერთია ეროვნება და მეორე — სარწმუნოება და ამასთან არავინ არ გვიშლის ჩვენ მაჰმადის სარწმუნოებას, მუსლიმანობის აღიარებას, არ გვიქადაგებენ სჯულის გამოცვლას, არამედ ჩვენ და ჩვენი თანამოძმე შეგნებული ქრისტიანი ქართველები მივისწრაფვით კულტურული ერთობისაკენ, გვეერთებს საერთო ეროვნება, ენა, ლიტერატურა და ეროვნული ინტერესები, რომლების მიფუჩეჩება და დავიწყება იქნებოდა ჩვენი კულტურულად დაბეჩავებისა, გადაგვარებისა და მოსპობის მომასწავებელი, ამიტომ ჩვენ პროტესტს ვუცხადებთ იმ ვაჟბატონებს, რომელნიც თავისი უვიცობით, ქვენა მიზნებით ან რაიმე სხვა განზრახვით წინ ეღობებიან მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების ეროვნულ-კულტურულ დაკავშირებას.<sup>11</sup>

11. „ბათუმის გაზეთი“, 1914, 6 ივნისი, № 45, გვ. 3.



ეროვნული

გერმანიის

სამგლოვიარო ღვაწლს აკ. შარატილის

გარდაცვალების გამო

ქართველ მაჰმადიანთა ჯგუფისაგან

ქართველი ერის ნაწილ-ნანგრევებს, ისედაც ბედისაგან დაწყველილ-დატანჯულებს, ტანჯვაზე ტანჯვა აღარ გვწოდება და ამ უკანასკნელმა, სამუდამოდ დაუვიწყარმა, თავზარდამცემმა — საქართველოს დიდებული შვილის დაკარგვამ გადააჭარბა ყოველ ტანჯვას და მოგვწყვიტა წელი.<sup>12</sup>

---

12. გაზ. „სამშობლო“, 1915, 4 თებერვალი, № 3, გვ. 3,





ქართული

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

## მაჰმადის დროშა, საღმრთო ომი და ოსმალეთი

მაჰმადმა სიკვდილის დროს დაიბარა მისი მორწმუნენი და უანდერძა: „აი ჩემი საღმრთო დროშა, რომელსაც ვაბარებ ჩემს ნათესავეებს. ჩემს მემკვიდრე-ხალიფად უნდა ინიშნებოდეს ჩემი მემკვიდრეთაგანი. თუკი რომელიმე სარწმუნოების ხალხი გამოილაშქრებს თქვენზე მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოსპოს ჩემი სარწმუნოება, მაშინ ჩემი მოადგილე-ხალიფი ვალდებულია გამოაცხადოს საღმრთო ომი, გამოიტანოს ეს ჩემი საღმრთო დროშა, წაუძღვეს წინ მუსლიმანობას და მაშინ ვალდებული იქნებიან ჩემი მორწმუნენი უკანასკნელ სისხლის წვეთამდის დაიცვან ჩემი სარწმუნოებაო“.

აი, მაჰმადის საღმრთო ომის და საღმრთო დროშის შესახებ.

ახლა გავითვალისწინოთ მაჰმადის ანდერძი და შევეხოთ თურქებს.

დღეს ხალიფებიცა და საღმრთო დროშაც აბარაით ოსმალებს — თურქებს, რაც მაჰმადის სურვილისა და ანდერძის წინააღმდეგია. რასაკვირველია, ეს უფლება ოსმალებმა შეინარჩუნეს ძალმომრეობით და არა მაჰმადის ანდერძის მიხედვით.

მაჰმადის ანდერძის მიხედვით, თურქებს ნება არა აქვთ საღმრთო ომის გამოცხადებისა, რა პირობებშიც არ უნდა ჩავარდეს ისლამი, რადგანაც ისინი მოკლებული არიან საღმრთო ომის გამოცხადების უფლებებს.

გარდა ამისა, რა შუაშია დღეს, მეოცე საუკუნეში საღმრთო ომი? ვის ცალია ან ვის ეპიტნავება სარწმუნოებისადმი დევნა? მიუხედავად ზემოხსენებულისა, დღეს ოსმალებმა — თურქებმა საღმრთო ომი გამოაცხადეს, რომელსაც მოყვება მაჰმადის საღმრთო დროშის გამოტანაც.

ვთქვათ, ოსმალებს აქვთ უფლება საღმრთო ომის გა-

მოცხადებისა. მერე რა საფუძველი უდევს ოსმალთა საღმრთო ომის გამოცხადებას? აღარ ვიცი.

შეიძლება ოსმალები საღმრთო ომის გამოცხადებას ამყარებენ მაჰმადის შემდეგ სიტყვებზე: „ხუბბულ ვატან მინელიმან“ (ე. ი. სამშობლოს სიყვარული დამოკიდებულია სარწმუნოებაზე — რამდენადაც გიყვარს შენი სამშობლო, ამატუნადვე გეყვარება შენი სარწმუნოებაც).

ეს კარგი, მაგრამ რა შუაში არიან სხვადასხვა ერის მუსლიმანები, თუნდაც ოსმალები — თურქები განსაცდელში იყვნენ?

რა შუაში არიან დღეს საწყალი აჭარლები, რომ ეუბნებიან (როგორც გაზ. „აზრში“ წაიკითხეთ) — „საღმრთო ომი გამოცხადდა და თქვენ რას აპირებთო“.

ან რა შუაშია ოთხას მილიონამდე მუსლიმანობა, რომლებსაც თავ-თავისი სამშობლო და დედა ენა აქვთ, თუ შვიდი მილიონი თურქი განსაცდელში არის? აშკარაა, რომ ოსმალებმა საღმრთო ომი გამოაცხადეს თავისი ინტერესების დასაცავად და არა მაჰმადის სარწმუნოებისათვის. მათი მიზანი იყო: საღმრთო ომის გამოცხადებით ესარგებლათ და ოთხას მილიონამდე მუსლიმანი, რომლებსაც თავთავისი სამშობლო და დედა ენა აქვთ, თავისი ინტერესებისათვის მსხვერპლად შეეწირათ, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს, თუმცა საწყალი დაბეჩავებული ქართველი მუსლიმანობა, თურქების წყალობით მაინც კიდევ გაითელა.<sup>13</sup>

13. გაზ. „სამშობლო“, 1915, 22 თებერვალი, № 18, გვ. 3.





კვლავ მოწოდება, კვლავ საყვედური

ძვირფასო მოძმენო!

მოგვწყინდა მოწოდებაც და საყვედურიც თქვენდამი, მაგრამ რა გზა გვაქვს მეტი? სხვას ვის უნდა ვუსაყვედუროთ, ვის მოვუწოდოთ, ვის ვუთხრაბო ჩვენი გულისტივილი? ვის? საით წავიდეთ? ვის მივმართოთ, თუ არა ისევ თქვენ.

რაც ჩემი დედა ენის ანბანის კითხვა ვისწავლე, იმ დღიდან გაზეთებში ვკითხულობ თქვენს სიტყვებს ქართველი მაჰმადიანებისადმი: „დავეხმაროთ, ხელი გავუწოდოთ, წერაკითხვა ვასწავლოთ ჩვენს მოძმეებს“, და ეს ჩვენი ჩვენადა ბოლოვდება და მეტი არაფერი.

ბატონებო! გულახდილად მოგახსენებთ და იმედია, არ გამკიცხავთ, რომ თქვენი სიტყვა-დაჩაგრული მოძმეებისადმი, ყოველთვის ცარიელ სიტყვებად რჩება.

მალე ორმოცი წელიწადი შესრულდება, რაც თქვენ შემოგვიერთდით; ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბევრში ერთსაც ვერ ვხედავთ. ქართველი მაჰმადიანების მტკიცე საძირკველის ჩადგმა და ცხოვრების გზაზე გამოყვანა თქვენი ვალი იყო. შესაძლოა ამ მუშაობაში ბევრი დაბრკოლება, საყვედურიც შეგხვედროდათ და ბევრი შრომაც დაგეხარჯათ, მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო, უნდა დაგეხმარებოდით თქვენს ჩამორჩენილ ძმებს, თქვენი კულტურის ნანგრევებს, მით უფრო, რომ თქვენი შრომა უნაყოფოდ არ ჩაივლიდა. სწავლა-განათლების გავრცელებით ქართველი მაჰმადიანები გვერდით უნდა ამოგეყენებინათ და დღეს ეჭვის თვალით შესახედნი აღარ ვიქნებოდით; პირიქით, დღეს თქვენთან ერთად, იარაღით ხელში, მონაწილე ვიქნებოდით თქვენი ჭირ-ვარამისა. ჩვენს დღევანდელ ჩამორჩენასა და შეუგნებლობაში თქვენ ხართ დამნაშავე და უმთავრესად თქვენი სირცხვილია.

ასეთ საყვედურებზე ბ-ნი „იმერი“ შემდეგი სიტყვებით მოგვმართავს: „შეიძლება, ამ შემთხვევაში, ქართველთა ჩვეულებრივი დაუდევრობაც იყოს დამნაშავე, როგორც ზევრ სხვა შემთხვევაშიც, მაგრამ უდიდესი მიზეზი ჩვენს მაჰმადიანი ქართველების არასრული გაერთიანებულობაა, რომელიც კური შორსმჭვრეტელობაა, რომლითაც არა ერთს და ორ ბიუროკრატს შეუძლია იამაყოს“.

ბ-ნ „იმერს“ და მის თანამოაზრე პირებს, რომლებიც ხშირად ასეთ მიზეზებზე უთითებენ, მოვახსენებთ, რომ ტყუილად ხუ ირჯებიან და ნუ სწუხდებიან. ასეთი მიზეზების წამოყენებით და მითითებით ქართველი ქრისტიანობა (რამდენიმეს გარდა), ვერ იხსნის თავს იმ დანაშაულობისა და მძიმე უღლისაგან, რომელიც დღეს კისერზე ადევს ყოველ ქართველს.

ჩვენი მოძმენი სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობენ ბუნების დასათვალიერებლად და ის კი ავიწყდებათ, რომ სხვაგან გაქცევას, წავიდნენ და კარის ყურეში დაათვალიერონ დიდებული ბუნება და სხვადასხვა ნაშთები მისი კულტურის ნანგრევებისა, სადაც ერთ დროს ქუხდა ქართველობა და შიშის ზარს სცემდა მტერს, სადაც დულდა ქართველის სისხლი და დღეს კი მხოლოდ აჩრდილია და მიტოვებულია ღვთის ანაბარად, მათთვის არავინ ზრუნავდა და არც ზრუნავს!

ქართველ მუსლიმანობას უფრო მდაბიო და შეუგნებელ მოძმეებთან ჰქონდა დაახლოება და ეს შეუგნებელი ქართველი ქრისტიანობა უფრო წამლავდა ქართველ მაჰმადიანობას. ამ უკანასკნელებს უწოდებდნენ „თათარს“ და მაჰმადიანებიც ამ სახელს თანაუგრძნობენ, როგორც ნამდვილ ეროვნულ წოდებას.

ქართველი ინტელიგენცია არ ცდილობდა თავის მოძმეებთან დაახლოებას, არ მოგზაურობდნენ აჭარისაკენ, არ ათვალიერებდნენ მათი კულტურის ნანგრევებს, არ ნახულობდნენ მათ დაობლებულ ძმებს და გაპარტახებულ სოფლებს, რომელნიც მოითხოვდნენ მცირე ხარჯს. ასეთი დაახლოება კი მჭიდრო კავშირის მომასწავებელი იქნებოდა. სიტყვის განგრძობა ზედმეტია, ვიტყვი მხოლოდ, რომ იმ ქართველს, რომელსაც არა აქვს დავილილი ის მხარე, რომლითაც ერთ დროს ჩვენი გამოჩენილი მეფეები ამაყობდნენ და რომელიც საქართველოს საუკეთესო ნაწილად ითვლებოდა, რომელ ქართველ-



საც აქ წარსულის ნაშთებზე არ დაუღვრია ცრემლები, მას არ შეუძლია სულითა და გულით დახმარების გაწევა და მათი სიტყვები სიტყვებადვე დარჩება.

ახლა შევეხები დღევანდელი აჭარის მდგომარეობას. ოსმალეთის წყალობით ბევრი აუტანელი ტანჯვა-ვაება განუცდია ქართველ მაჰმადიანობას. აღმოფხვრეს ყველაფერი. სამი საუკუნის განმავლობაში სისხლს სწოვდნენ ქართველ მაჰმადიანობას. ბოლოს, როგორც იყო ოსმალეთის კლანჭებისაგან ქართველი მაჰმადიანების ნაწილმა თავი დააღწია, მაგრამ სამწუხაროდ, ამ განთავისუფლებამ ვერ უშველათ და დღეს ოსმალეთის წყალობით კიდევ განადგურდა ნახევარი სამაჰმადიანო საქართველო, კიდევ დაინთხა მათი უდანაშაულო სისხლი.

როგორც ვხედავთ, დღეს აჭარის მხარე გათელილია. საუკეთესო ძალა მოისპო და ვინც დარჩნენ, ისინიც უკანასკნელ წუთებს ითვლიან.

საჭიროა დაუყოვნებლივი დახმარება, როგორც ნივთიერი, ისე ზნეობრივიც.

მხოლოდ კითხვა იმაშია, თუ ვინ უნდა ითავოს ეს, ვის ადევს კისერზე ამ მძიმე უღლის გაწევა?

რასაკვირველია, ჩვენს მოძმეებს — ქართველ ქრისტიანებს.

მართალია, დღეს პატარა საქრისტიანო საქართველოს დედებიც სტირიან, ბევრ მათგანს ნივთიერი დახმარებაც სჭირია, მაგრამ, შედარებით აჭარასთან, მათ ნაკლები სატირალი აქვთ.

ბ-ო! ამ მდგომარეობაში მყოფი თქვენი ძმები — აჭარლები და მათთან ერთად სამცხე-საათაბაგოს წარსული გმირნი და თამარი გთხოვენ დაეხმაროთ ჩაგრულთ.

იმედია, დღევანდელი ჩვენი ნაწერები გაზეთის ფურცლებზე არ დარჩება ხმად მლაღადებლისად უდაბნოსა შინა!

გთხოვ სხვა ქართველ გაზეთებს ამ წერილის დაბეჭდვას<sup>14</sup>.

14. გაზ. „სამშობლო“, 1915, 10 მარტი, № 31, გვ. 2-3.



მოკმეითა გულუმატაკივარის, პაწია გაიოზ  
იოსევის ქე იმედაზვილის მიმართ

პაწაწინა გულწრფელო ქართველო!

თქვენი შემოწირულება და გულწრფელი ამონაქენესი თქვენი პატარა ძამია აჭარლებისადმი წავიკითხე „სახალხო ფურცელში“, გვწამს, პაწაწინავ, თქვენი ნორჩი გულისტკივილი დაჩაკრული პატარა ძამია აჭარლებისადმი, მხოლოდ, გთხოვთ, ჩემი წერილის წაკითხვისას, შემდეგი უამბო შენ საყვარელ მამას: მამა, თქვენ რომ გამავგონეთ — „ჩვენი ქართველი ხალხი გათათრებული არისო“, ეს სრულებით ასე არ ყოფილა-თქო, ისინი გათათრებული კი არა, გამაჰმადიანებული არიან. მაჰმადიანობა არის სარწმუნოება, თათრობა კი ეროვნებაა. სარწმუნოება ვერ ცვლის ეროვნებას, მაშასადამე, ისინი ყოფილან გამაჰმადიანებული ქართველები და არა როგორც შენ მითხარი — „გათათრებული“. რაც შეეხება თათრებს (ამ განსაკუთრებული ეროვნების ხალხს), ცხოვრობენ ყაზანში, ყირიმში, სად ყირიმი და სად აჭარა-თქო!“<sup>15</sup>

15. გაზ. „სამშობლო“, 1915, 31 მარტი, № 44, გვ. 4.





ჩვენი ძვირფასი, დაუღალავი მუშაკის, ბ-ნ ჯ. ჯიქიაშვილის  
მიმართ

სამშობლო  
ბიზნისი

დაუღალავო მუშაკო!

თქვენ დაუფასებელი შრომა მიგიძღვით ჩვენი — ქართ-  
ველი მაჰმადიანების წინაშე; და დღეს თუ შესაფერისად ვერ  
გაფასებთ, ეს სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ შემდეგშიაც  
ასე დარჩება. ჩვენშიაც მოიფინება სწავლა-განათლების სხი-  
ვები, ჩვენც დავადგებით სწორ გზას, და მაშინ კი თქვენს  
ღვაწლს ერთი-ორად დავაფასებთ, და თქვენი სახელი და  
დიდება უკვდავად დარჩება ჩვენში. ამასთან ერთად, მსურს  
შემდეგი მოგახსენოთ: წავიკითხე თქვენი წერილი „თანამედ-  
როვე აზრში“ ქართველ მაჰმადიანთა შესახებ წიგნების თაო-  
ბაზე. როგორც თქვენი წერილიდან ჩანს, რამდენიმე წიგნი  
გქონიათ დაუბეჭდავი და გასურთ მათი დაბეჭდვა. ეს ძალიან  
სასიამოვნოა. მაგ მასალების შეგროვებაში, ეჭვი არაა, დიდი  
შრომა მიგიძღვით; ამიტომ, ჩემის აზრით, თუ გასურთ, რომ  
თქვენს მიერ გამოცემულმა წიგნებმა ნაყოფი მოუტანოს ქარ-  
თველ მაჰმადიანობას, აუცილებლად საჭიროა მოიწვიოთ კო-  
მისია შეგნებული ქართველი მაჰმადიანებისაგან. მათი თან-  
დასწრებით გაარჩევთ თქვენს მიერ გამოსაცემ წიგნებს და  
მათი მოწონებით დაისტამბება. ამგვარად გამოცემულ თქვენს  
წიგნებს თვით უკიდურესი ფანატიკი-აჭარელი სრულის ნდო-  
ბით შეხედავს და გულმოდგინედაც წაიკითხავს, რაც უზომო  
ნაყოფს გამოიღებს. წიგნებს ზედ ექნება წარწერა, რომ იგი  
კომისიის თანდასწრებით შემუშავდა და ისე გამოიცა.

ამას გარდა, თქვენ გამოსაცემ წიგნთა რიცხვში, შემდეგი  
სათაურით გამოსაცემი წიგნიც არის მოხსენებული: „ქართვე-  
ლების გათათრება“. პირადად მე ამ სათაურს ვერაფერი გა-  
ვუგე და უმორჩილესად გთხოვთ, მაცნობოთ: ზემოხსენებუ-  
ლი სათაურით გამოსაცემი წიგნი რომელ მხარეს ეკუთვნის<sup>16</sup>.

16. გაზ. „სამშობლო“, 1915, 13 მაისი, № 77, გვ. 3.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მცირე ზენიშვა

გაზეთ „საქართველოს“ მე-17 ნომერში მოთავსებულია ბ-ნ „რ. ინგილოს“ წერილი საინგილოს შესახებ, სათაურით „ვისი ბრალია?“ მე არ მსურდა ამ წერილის გაზვიადება, ვინაიდან ასეთი წერილები ჩვენ დიდ ზარალს მოგვიტანს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო იძულებული ვავხდი ამოვიწერო ზოგიერთი ადგილი და დავებეჭდო გაზეთის ფურცლებზე. მოგვყავს ამონაწერი სიტყვები:

„ჩვენ ვეცდებით დავასახელოთ ზოგიერთი ფაქტი, ადვანიშნოთ მომენტები, რომელნიც საინგილოში ეროვნული შეგნების განვითარებას ხელს ვერ შეუწყობდნენ. ავილოთ თუნდაც სარწმუნოებრივი საკითხი: მოგეხსენებათ, რომ მართლმადიდებელი ინგილოებიც არიან და მაჰმადიანებიც: მათ შორის უმრავლესობა მაჰმადიანია. გლეხის ბნელი გონება ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ სარწმუნოებრივი გარჩევა არ იგულისხმებს ეროვნების სხვადასხვაობას. და აი, იმის მაგივრად, რომ მკვიდრთ ეს მარტივი დებულება ჩაუნერგონ, ყოველივე მიმართული იყო და არის დღესაც იმისაკენ, რომ შუღლი დასთესონ ქრისტიანთა და მაჰმადიანთა შორის, რომ ხშირად ნაუკესაგები, რომელნიც აღიარებენ სხვადასხვა სარწმუნოებას, წაჰკიდონ და გადაამტერონ ერთმანეთს.

ამით ჩვენ არ გვინდა იმისი თქმა, რომ მაჰმადიანი ინგილოები იგივე უნდა დარჩნენ და სხვ. პირიქით, ქრისტიანობის გავრცელება ჯაქათალის ოლქში მხოლოდ და მხოლოდ სასურველია, მაგრამ... სამწუხაროდ, სწორედ ამ „მაგრამშია“ საინგილოს გადაგვარების უმთავრესი მიზეზი. მისიონერების დაარსებამ საინგილოში არამც თუ მოიტანა სათანადო ნაყოფი, პირიქით, საქმე უარესად წაახდინა და უფრო დაამკვიდრა ისლამში ის ინგილონიც კი, რომელთა მოქცევა არც ისე იყო ძნელი და სხვ.



მშვენივრად დაწყებული საქმე იმით დაამთავრეს, რომ ამ ორი-სამი წლის წინათ, სოფელ თასმალოში მისიონერად გამოგვიგზავნეს მოსკოვში ვოსტორგოვის მიერ დაარსებულ სამისიონერო კურსებდამთავრებული რუსი მღვდელი, რომელმაც ქართული ენა ისევე იცოდა, როგორც ჩვენ ჩინური. სარწმუნოებრივი საკითხის მოუგვარებლობამ ბლიერ შეაფერხა საინგილოში ნაციონალურ მომენტის განვითარება. რიგანი გადაწყვეტა საინგილოში სარწმუნოებრივი საკითხისა, ჩვენი აზრით, უნდა შეადგენდეს ერთ უახლოეს და უმთავრეს მიზანს ყოველი ქართველისათვის. ეს ცხადზე უცხადესია, მხოლოდ დღევანდელ პირობებში, უნდა ვეცადოთ და ვიხმაროთ ყოველივე საშუალება: სიტყვით, წერით, უფრო კი საქმით, მოქმედებით, რომ ინგილო მაჰმადიანმა თავისი თავი ქართველად ჩასთვალოს“.

ჩვენ აქ ამ წერილზე კამათს არ შეგუდგებით, მხოლოდ ვიტყვით, რომ ასეთ მომენტში, როდესაც დგება სანეტარო ხანა საუკუნობით დაშორებული ძმების შეერთებისა, როდესაც ერთიც და მეორეც მომზადებული ვართ მხურვალედ ჩავეკრათ გულში ერთიმეორეს ამდენი ხნის ერთიმეორესაგან დაკარგული ძმები, ამ დროს ასეთი წერილების წერა არასასურველად უნდა ჩაითვალოს და სამწუხარო უფრო ის არის, რომ „საქართველოს“ რედაქცია ასეთ წერილებს ადგილს უთმობს.<sup>17</sup>

17. გაზ. „სამშობლო“, 1915, № 116, გვ. 4.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

აჭარის მთებში

ციხე-კოშკების ნანგრევებთან

მოხუცი და ჭაბუკი აჭარელის ბაასი

ჭაბუკი: — ბაბუა! ეს ქართველები რა კეთილი ხალხი ყოფილა, როგორ გვეხმარებიან, ხელს გვიწვდიან ამ ჩვენი საერთო გაჭირვების დროს! ჩვენმა უბედურებამ არამც თუ დიდები, პაწაწინა ქართველებიც კი აატირა: „ჩვენი პატარა ძმებიო“, — ამბობენ ისინი... ჩვენ — აწიოკებულ პატარა აჭარლებს ფულსაც კი გვიგროვებენ. რატომ ტირიან, ბაბუა? რატომ გვეხმარებიან ქართველები? ჩვენი ბედი მათ რომ დასტეხოდათ თავზე, განა ჩვენც ხელს გავუწვდიდით?!

ჭაბუკის სიტყვებზე მოხუცს თვალები ცრემლებით ავესო. ჭაბუკი ამ სურათის დანახვამ გააოცა და გაკვირვებულმა დაუწყო ცქერა მოხუცის აცრემლებულ თვალებს. ჭაბუკი შეეკითხა:

— ბაბუა, რა გატირებს, რა დაგემართა?!

ჭაბუკის სიტყვებზე მოხუცმა მწარედ ამოიგმინა და შემდეგი მიუგო:

— ეხ! ჩემო შვილო, განა ჩვენზე უბედური ხალხი მოიპოვება? ჩვენ ახლა კი არა, დიდი ხანია გვაქვს სატირალი. ხომ ხედავ, შვილო, დღეს რა ხდება, რა საშინელ ცეცხლის ალშია გახვეული კაცობრიობა! ადამიანთა რამდენი უმანკო სისხლი იღვრება და ეს ყველაფერი, შვილო, სულ სამშობლოს საბედნიეროდ ხდება, რა ფასი აქვს ადამიანის სიცოცხლეს თავისი სამშობლოს გარეშე? დღეს აშკარად გამოსჭვივის უმაგალითო ომში სამშობლოს სიყვარული. ადამიანი არ ზოგავს თავის სიცოცხლეს, ოღონდ კი სამშობლოს თავისი სისხლით მაინც კეთილდღეობა მოუპოვოს...




— ბაბუა! — გაუმეორა ჭაბუკმა.— ჩემი კითხვა სხვა იყო და შენ კი სულ სხვაზე დამიწყე ლაპარაკი და კიდევაც აცრემლდი. მერე შენ რა გინდა? თუ ასეთი საყვარელი რამ არის სამშობლო, ხალხიც სისხლსა ღვრის მის საკეთილდღეოდ, შენ რაღა გატირებს?! მეც რომ მქონდეს სამშობლო, თუ ის ასეთი საყვარელი რამ არის, არც მე დამიწყებდი სისხლს მის საკეთილდღეოდ.

— აი, ჩემო შვილო, სწორედ ის არის მიზეზი ჩემი ცრემლების, რომ ის საყვარელი სამშობლო შენცა გაქვს და შენ ეს არ იცი. აი, შეხედე, — მიუთითა მოხუცმა ხელი ჭაბუკს ციხე-კოშკების ნანგრევებზე, — ეს უტყვი ნანგრევები რის მოწამენი არ არიან! რამდენ ჩვენ წინაპარს გმირულად აი, ამ კოშკებთან თვისი წმინდა სისხლი დაუთხევია თავის ეროვნების და პიროვნების დასაცავად! რამდენჯერ დამდგარა აქ სისხლის მორევი, რამდენი ჩვენი გმირის ძვლებია ჩამარხული აი აქ, ამ მთებში. შეხედე, კიდევ როგორ ამაყად გამოიციქირებიან ეს ჩვენი წინაპართა აჩრდილნი! ვერავითარ თელვას მათთვის ძველებური სიამაყის ფერი ვერ შეუცვლია. აი, შვილო, ეს არის ჩვენი სამშობლოს სიამაყე და ჩვენი სამშობლო კი მთელი საქართველოა. ქართველები კი ჩვენი ღვიძლი ძმები არიან და ჩვენც ქართველნი ვართ. ძველად ჩვენი ჭირი და ლხინი განუყოფელი იყო, მაგრამ ბედმა გვიმუხთლა, დაგვაშორა ერთმანეთს ძენი საქართველოსი. ამ დაშორებასთან ერთად ვულკანტეთ ჩვენ წარსულ გმირებს. ჩვენ უარგყავით სამშობლო, ედემის მსგავსი საქართველო და მასთან ერთად ეროვნებაც. აი, სწორედ ეს მალონებს და მატირებს, შვილო, რომ შენმა სიტყვებმა გამახსენა გმირნი-მამაცნი, სამშობლოსათვის თავდადებული ქართველნი, ჩვენი წინაპარნი და დღევანდელი მათი აჩრდილნი.

შვილო! განა ჩვენ არ უნდა ვიცოდეთ, ვინ არიან ქართველები და რა არის მიზეზი, რომ მათ ჩვენი ტკივილები თვის ტკივილებად აღიარეს?!

განა ჩვენ არ უნდა ვიცოდეთ, ვინა ვართ ჩვენ და სამშობლო გვაქვს თუ არა?! ვაი, რა დღეს მოვესწართ საქართველოს ფხიზელნი დარაჯნი!<sup>18</sup>...

18. ვაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915, 21 სექტემბერი, № 388, გვ. 4.



წარმოთქმული ყოროლისწყლის სკოლის კურთხევაზე

მეზობლებო, ქართველო მუსლიმანებო!

მრავალწამებულ ჩვენს ძმებს, რომელნიც მოწყვეტილი იყვნენ დედის თბილ მკერდს, ტკბილ ძუძუს, რომელთაც რამდენიმე საუკუნეა არ მოუსმენიათ მშობლიური ტკბილი ნაინა, არ უმღერიათ მშობლიურ ტკბილ ჰანგზე და არ უწოვნიათ დედის ტკბილი ძუძუ, მათ დღეს ეღირსათ ჩვენი ღვიძლი ძმების, ქართველი ქრისტიანების დახმარებით იმ ტაძრის საძირკვლის ჩაყრა, სადაც ჩვენი ახალი თაობა, ჩვენი მომავალი, გაიკვებება, აღიზრდება ტკბილ დედის ძუძუთი და ამით მათ ჩაედგმებათ განწმენდილი მშობლიური ენა და ამ ენით კი დაიწყებენ ჭიკჭიკს და სტვენას ჩვენი დროებით მიძინებული ველ-მინდვრების გასაღვივებლად და გასამხნეებლად, იმ ველ-მინდვრების, რომლებსაც ერთ დროს ჭექა-ქუხილი გააქონდა და რომლებსაც ერთ დროს მისი რაინდნი შვილნი უდგნენ გვერდში ფხიზელ დარაჯად, მასთან ერთად სტვენა ჭიკჭიკით ატკბობდნენ მას. დღეს კი ამ რაინდებს, ამ მიდამოების ფხიზელ დარაჯთ, სძინავთ საფლავებში, საიდანაც გულნადვლიანნი შემოგვცქერიან ჩვენ, გვევედრებიან და გვთხოვენ, რათა მათი მიძინებული ძვირფასი მიდამოები, რომლებსაც ამდენი ძილისაგან სადაც არის ფერიც გაშვებიათ, მოვალხინოთ, ვიჭიკჭიკოთ მშობლიური ჰანგებით, რათა ისევ ძველებურად ავასმაუროთ და ავაშრილოთ. ჩვენი წარსულნი გმირნი, დღემდის ჩვენზე უიმედობით ილაჯგაწყვეტილნი და დღეს კი იმედით აღჭურვილნი, დიდ სიხარულს განიცდიან, რადგანაც დღეს ისინი გრძნობენ, რომ უკვე ჩაეყარა საძირკველი იმ ტაძარს, რომელმაც უნდა აღზარდოს მათი საღმერთებელი მიდამოების მოჭიკჭიკენი და მომღერალნი.



მაშ ასე, ძმებო, მოვკიდოთ ხელ სწავლა-განათლებას და მით გავწყვიტოთ ჯაჭვი მონობისა, მაგრად ჩავჭიდოთ ხელი ძმებმა ერთი-მეორეს, ვიმხიარულოთ და მასთან ერთად ავამაუროთ და ვამხიარულოთ დღემდის მიძინებული ჩვენი მიღამოებიც.

ზომ ხედავთ, მეზობლებო, ჩვენი ღვიძლი ძმებო თველი ქრისტიანები როგორ თავდადებით და თავგანწირვით იბრძვიან ჩვენთვის, ჩვენდა საკეთილდღეოდ. ჩვენმა ძმებმა დღეს ჩვენ დაგვიმტკიცეს ნამდვილი ძმობა, სიყვარული და ერთგულება. ამაზე მეტის გაკეთება მას ძმისთვის აღარ შეუძლია, მაგრამ ჩვენ მაინც ნუ მოვერიდებით სირცხვილს და ვუთხრათ ჩვენს ძმებს, ჯერ თქვენ არაფერი გაგიკეთებიათ ჩვენთვის, დღემდის თქვენი გაკეთებული უმცროსი ძმებისთვის ზღვაში წვეთია-თქო. ჯერ კიდევ უნდა გვიპატრონოთ. გაგვიძეხით წინ და გაგვიყვანეთ ნათელ გზაზე, რომ მით ჩვენც, თქვენთან ერთად, გავწიოთ საერთო ტანჯული ცხოვრების მძიმე უღელი, რომლითაც გავახარებთ ჩვენს ტანჯულ სამშობლოს და მასთან ერთად გავახარებთ ჩვენს წარსულ გმირებს, ტურფა სამშობლოსათვის წამებულებს.

მაშ, ვუსურვოთ გამარჯვება პირველ მერცხალს — დღევანდელ ეროვნულ სკოლას!<sup>19</sup>

19. გაზ. „საქართველო“, 1916, 10 მარტი, № 55, გვ. 3.



ეროვნული


მაჰმადიან ქართველებში

უკანასკნელ დროს ბათუმში გადმოტანილი იქნა ბაქოს მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება. ამ საზოგადოებაში, სხვათა შორის, მუშაობდა ბაქოს თურქულ გაზეთ „იენი იკბალის“ თანამშრომელი რიზა-ბეგი. ბ-ნმა რიზა-ბეგმა ბათუმში ჩამოსვლისთანავე უარპყო თავისი მოვალეობა და მიზნად დაისახა ქართველ მაჰმადიანებში დედა ენის აღადგენა. ბ-ნ რიზა-ბეგს, არასასურველად მიაჩნდა, რომ ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს გვიყვარდა ჩვენი დედა ენა ქართული და მის ნაცვლად თურქული ენის ჩანერგვას ლამობდა ჩვენში. ის, როგორც საქველმოქმედო საზოგადოების წევრი, დაიარებოდა ქართველ მაჰმადიანთა ოჯახებში ნივთიერი დახმარების აღმოსაჩენად და რომელ ოჯახშიც კი შევიდოდა, მისი პირველი სიტყვა იყო: „ვინ ხართ თქვენ და რად გინდათ ქართული ენაო“...

როგორც ეტყობა, ბ-ნი რიზა-ბეგი მარტოდ არ ყოფილა. ეს ჩანს შემდეგიდან: ბ-ნ რიზა-ბეგის წყალობით, ორი თვის წინათ, ბათუმის ქალაქის პირველდაწყებითი ქართული სკოლის მეორე განყოფილებიდან გადავიდნენ სამი ქართველი მაჰმადიანი დები წულუკიძენი—ბავშვები სიცოცხლით სავსენი, ზედმიწევნით ბეჯითები, ქართული ენის მოტრფიალენი და გაგზავნილ იქნენ ბაქოში თავივეის რუსულ მუსლიმანთა სკოლაში. ამ ქალების შესახებ არავინ დაიჯერებდა, თუ ორი წლის მოღვაწენი იყვნენ, ისე შესწავლილი და შეთვისებული ჰქონდათ ქართული წერა-კითხვა.

ისინი რომ ბაქოში გაგზავნეს სწავლის მისაღებად, ამ ამბავს სიხარულით შევხვდი და აი, რატომ: ერთი რომ ბავშვების მშობლები ნივთიერად დაცემულნი არიან, მეორეც, — პირველი მაგალითი იყო სამაჰმადიანო საქართველოდან სწავლისათვის მაჰმადიანი ქართველი ქალების უცხო მხარეში გაგ-





ზენა, რაც გზის მაჩვენებელი იქნებოდა სხვებისათვის. უმოკრესი მიზეზი კი ჩემი სიხარულისა ის იყო, რომ სამაჰმადიანო საქართველოს შეეძინებოდა სამი განათლებული მაჰმადიანი ქართველი ქალი, რომლებიც გვერდში ამოუღებოდნენ დებს და ძმებს... მაგრამ სამწუხაროდ, როგორც ეტყობა, ეს ჩემი ოცნება ოცნებადვე უნდა დარჩეს და აი რატომ: როდესაც ბათუმიდან ბაქოს გაემგზავრნენ დები წულუკიძენი, თბილისიდან მიიღეს მშობლებმა წერილი, რასაკვირველია, იმ ენაზე დაწერილი, რომელი ენაც იყო მათი და რომელ ენაზედაც შეეძლოთ მხოლოდ წერა-კითხვა, ე. ი. ქართულზე, ასეთივე წერილები მიიღეს მშობლებმა ბაქოდან, სკოლაში შესვლამდის, რომელშიც ბავშვები მშობლებს ჰპირდებოდნენ: „სკოლაში შესვლისას დაწვრილებით ყველაფერს მოგწერთო“.

მაგრამ საუბედუროდ, როდესაც ეს უსუსურნი — დედა ენის მოტრფიალენი შედიან ზემოხსენებულ სკოლაში, წამსვე სურათი იცვლება და ბავშვებს ხელებზე ბორკილებს ადებენ. ვიმეორებ ბორკილებს ადებენ-თქო და აი, როგორ: ვღებულობთ რუსულ ენაზე დაწერილ წერილს, რომელშიც დამწერი, ბავშვების სახელით, მშობლებს სწერს: „ქართულად წერილი არ მოგვწერთ, რადგანაც აქ ქართული არავინ იცისო“. და ამ „მკაცრი განკარგულების“ შემდეგ მშობლებს მოსდით თურქულ ენაზე დაწერილი წერილები.\*

რასაკვირველია, ამ თურქულ და რუსულ წერილებს ბავშვებს სხვები უწერენ, რადგანაც, ვიმეორებ, ბავშვებს მხოლოდ შეუძლიათ სწერონ მშობლიურ, ე. ი. ქართულ ენაზე. ერთი ვიცოდეთ, თუ რა დააშავა ქართულმა ენამ, რომ ბავშვებს აღარ შეუძლიათ თავიანთი ხელით თავიანთ მშობლიურ ენაზე სწერონ წერილები მშობლებს. მაშინ ხომ არც მშობლებს მოუხდებათ ქუჩა-ქუჩა სიარული, თუ ვის წავაკითხოთ თურქული წერილიო!.. საკვირველებაა!.. ბავშვებს თამამად შეეძლოთ წერა წერილისა და ამ დროს კი სხვებს სთხოვდნენ წერილის დაწერას!..

ჩვენ ქართველი მაჰმადიანები არავის მივცემთ ნებას, რომ ჩვენ საყვარელ დედა ენაზე იერიში მიიტანოს!

\* წერილებს ბავშვები ჩემს სახელზე გზავნიან მშობლებზე გადასაცემად. წერილები ახლა ჩემს ხელშია. ჰ. ა.

აქ არ შემიძლია უყურადღებოდ დავტოვო რიზა-ბეგის წერილი, რომელიც ბაქოს თურქულ გაზეთ „იენი იკბალის“ 167-ე ნომერში დაიბეჭდა. როგორც ეტყობა, ბ-ნი რიზა-ბეგი ძალიან გულნატკენი დაგვრჩენია... თავის წერილში ბ-ნი რიზა-ბეგი აჭარლებს შემდეგი სიტყვებით ანასიათებს: „აჭარლები კაცის კვლასა და ძარცვა-გლეჯაში ოსტატები არიანო“ სანტერესოა ვიცოდეთ, აჭარაში მოგზაურობის დროს, ბატონი რიზა-ბეგი რამდენჯერ იქნა „მოკლული“ და რამდენჯერ „გაძარცვული“? 20.

20. გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, 25 მაისი, № 282, გვ. 3.





ლია წერილი ჩვენს ერთმორწმუნე  
კავკასიელ თურქებს

ჩვენო ერთმორწმუნენო!

ამ უკანასკნელ დღეებში ვკითხულობთ, თურქულ პრესაში თქვენ გულისწყრომას ჩვენი ძმების, ქართველი ქრისტიანებისადმი. როგორც თქვენი ნაწერებიდან ჩანს, თქვენი გულისწყრომა გამოიხატება იმაში, რომ ჩვენმა ძმებმა კეთილ ინებეს და გაგვიხსნეს ორიოდ ეროვნული სკოლა, რომელსაც დიდი ხანია შევნატროდით, და სადაც შეგვიძლია ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს, ვისუნთქოთ საკუთარი ჰაერით.

ამაში რაღაცას წარმოუდგენელს ხედავთ.. თქვენი სიტყვით, ქართველმა მაჰმადიანებმა რომ ეროვნული ჰაერი ვისუნთქოთ. ეს იქნება ჩვენი დაღუპვის მომასწავებელი... თქვენა ბრძანებთ: „თუ თურქული სკოლა არ გავხსენით, ვინ არი თავდები, რომ აჭარა არ გაქრისტიანდებოდეს“. ვერ წარმოგვიდგენია, თქვენს ასეთ შეკითხვას რა პასუხი გავცეთ!.. აბა, თქვენ გვიპასუხეთ ერთმორწმუნენო: თუ თურქული სკოლები გავხსენით, ვინ არი თავდები, რომ აჭარა არ გათურქდებოდეს?... დღეს ხომ ეროვნება მეორე ღმერთია და მას ხომ დიდი ადგილი აკუთვნა კაცობრიობამ? ეს ხომ აშკარად დაგვიმტკიცა დღევანდელმა უმაგალითო ომმა!

ვერ წარმოგვედგინა ქართველ მაჰმადიანობას, თუ თქვენ, ჩვენს საკუთარ ჰაერის სუნთქვას წინ გადაეღობებოდით!.. შეიძლება ვცდებოდეთ და თქვენს წუხილს შეადგენს სარწმუნოების საკითხი და არა ჩვენი ქართველი მაჰმადიანების ეროვნულ ფერხულში ჩაბმა? თუ ეს მართლაც ასეა და გაწუხებთ ჩვენი სარწმუნოებრივი საჭიროება, ძლიერ კარგი და პატიოსანი. მივეყობ ხელი მის მოწესრიგებას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ამ საკითხს პირდაპირ ალტა-ცებში მიეგებებიან ჩვენი ღვიძლი ძმები — ქართველი ქრის-

ტიანები, რომლებიც ჩვენი სარწმუნოების არსებობას არა  
ნაკლებად იცავენ, ვიდრე თავისას. ამაში ქართველი მაჰმადიან-  
ნები სულითა და გულით ვართ დარწმუნებულნი და ამ რწმე-  
ნას ჩვენი გულიდან ვერავითარი ძალა ვერ აღმოფხვრის.  
არა ერთხელ და ორხელ თავდადებით და თავგანწირვით  
დაუცავს ქართველობას, ქართულ პრესას ჩვენი სარწმუნოება.  
ეს, ალბათ, თქვენც გემახსოვრებათ, ჩვენო ერთმორწმუნენო,  
რადგანაც თქვენს პრესაში არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული  
ჩვენი, ძმების, ქართველი ქრისტიანების მოქმედება, მაგრამ  
ახლა რა მოგივიდათ აღარ ვიცით, რომ ბრძანებთ: „თუ  
თურქული სკოლა არ გავხსენით, ვინ არი თავდები, რომ აჭარა  
არ გაქრისტიანდებოდნენ“. ბატონო ერთმორწმუნენო! მოგახსე-  
ნებთ, რომ ეს ისეთი გულსაკლავი სიტყვაა, რომ შეგნებულნი  
ქართველი მაჰმადიანი მას ვერ დაივიწყებს...

ნუ შიშობთ, ჩვენ არ გავქრისტიანდებით. აგერ, ორმოც  
წელზე მეტია, რაც ჩვენში სამისიონერო პუნქტი არსებობს.  
აბა, ბრძანეთ: ვინ გაქრისტიანდა?! თუ მისიონერებმა და რუ-  
სულმა სკოლებმა ვერ გაგვაქრისტიანა, ნუთუ ეროვნული  
სკოლები, რომლებიც კეთილ ინებეს და გაგვიხსნეს ჩვენმა  
ძმებმა, გაგვაქრისტიანებენ? მერე, რატომ, იმიტომ, რომ  
ეროვნულია? საკვირველია, ღმერთმანი, ასეთი შეხედულება!  
ვინც ეროვნულ სკოლაში აღიზრდება, ის უსათუოდ გაქრის-  
ტიანდება?! მაშინ გვიბრძანეთ, თქვენ როგორღა დარჩით მუ-  
სლიმანებად და არ გაქრისტიანდით, თქვენც ხომ გაქვთ თქვე-  
ნი ეროვნული სკოლები? ოთხას მილიონამდე მუსლიმანია,  
ათასი სხვადასხვა ეროვნებისა. ხომ ყველანი თავიანთი სა-  
კუთარი ეროვნული სკოლებით იკვებებიან და რატომ არ გაქ-  
რისტიანდნენ?

მაგრამ, არა ბატონებო! ამაოა ეს საკითხები. ჩვენ, ქართ-  
ველი მაჰმადიანები უცოდვითლესი ხალხი ვართ. ყველას ფეხ-  
ქვეშ სათელი და სათრევი შევიქენით. სამასი წელია, რაც  
მოვწყდით ჩვენს ეროვნულ სიტკბობებს და ღობე-ყორებს ვე-  
დებით. დღეს, როგორც იქნა, ჩვენს გულში იფეთქა დღემ-  
დი მიძინებულმა ეროვნული გრძნობის პატარა ნაპერწკალმა  
და ესწრაფვის მგზნებარე ცეცხლად გადაქცევას. ამიტომ,  
გთხოვთ, ნუ გვიშლით ხელს. ჩვენც გვინდა გავერიოთ ხალხ-



ში, ჩვენც გვინდა და გვწყურია, როგორც მთელ კაცობრიობას, ეროვნული სული და ვინც გადაეღობება ამ ჩვენს ქართველ მაჰმადიანთა წმიდათა-წმიდა გრძნობას, ის ჩვენი მეგობარი არ იქნება!... რაც შეეხება სარწმუნოებას, უკანასკნელად მოგახსენებთ, რომ ჩვენ სარწმუნოება ტანსაცმელად არ მიგვაჩნია, როდესაც გვინდა გავიხადოთ და როდესაც გვინდა ჩავიცვათ.

ნუ შიშობთ, ჩვენო ერთმორწმუნენო, თუ კი დღემდე მოვიტანეთ, აწ არავინლა წაგვართმევს, მით უმეტესე, რომ სარწმუნოების გამოტაცვის დრო უკვე წავიდა და ახლა მისთვის არავის ცალთა.<sup>21</sup>

21. ჟურნ. „ცხოვრება“, 1917, 15 თებერვალი, № 4, გვ: 30-31.



## სახ. სო სო!


ძმაო, რაც თქვენ ბათუმიდან წადით და მე და შენ ერთიმეორეს ძმური სიტყვა მივეცით ქობულეთის უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელში თქვენი მოწვევის შესახებ, მას შემდეგ მთელი ალიაქოთი ავტეხეთ, რათა თქვენ მოეწვიეთ.

ახლა, როგორც იქნა, საქმე გამოგჩარხეთ და ზეგ არჩევნებია, სადაც თქვენ აუცილებლად გასული იქნებით. არ დაგვლუპო კაცი და უარი არ თქვა, თუ გწამთ ძმური სიტყვა, რომელიც მე მომეცით, თუ გწამთ ხალხში მუშაობა და თუ გწამთ სამაჰმადიანო საქართველო, თქვენს კანდიდატურაზე უარი არ თქვათ.

თქვენ კარგად იცნობთ ქართველი მაჰმადიანების სულისკვეთებას. თქვენ კარგად იცით, თუ როგორ უნდა მათში მუშაობა და ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ, მთელი სამაჰმადიანო საქართველოს სახელით, დათანხმდე. შეიძლება თქვენ გეშინიათ, ვერ გავალო — ფიქრობთ ამ შემთხვევაში ოფიციალურ თანხმობას ნუ გამოვამკარავებთ, მხოლოდ ისე, მე ვიცოდე შენი აზრი და ჩვენ უსათუოდ ვაგვიყვანთ. დანარჩენს ამ ბარათის მომტანი გეტყვის.<sup>22</sup>

<sup>22</sup> 1917 წელი, 10 ოქტომბერი.





სამუსლიმანო საქართველო და ოსმალეთი

როგორც მოგეხსენებათ, ბათუმის ვალიმ (გუბერნატორ-მა) დაავალა ბათუმისა და მისი ოლქის რამდენიმე მცხოვრებს ხალხის სახელით კონსტანტინეპოლში წასვლა. ე. ი. ვალის დასახელებული პირები უნდა წასულიყვნენ კონსტანტინეპოლში, როგორც ბათუმის და მისი ოლქის წარმომადგენლები და ვალის დავალებით, ხალხის სახელით, ახალი სულთანისათვის მიელოცათ ტახტზე ასვლა და მასთან ერთად მიელოცათ ბათუმის და მისი ოლქის მცხოვრებთა სურვილის თანახმად — სულთანის ფეხქვეშ გადასვლა...

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ, ეს „ხალხის სულისკვეთების გამომხატველნი“ — ვალის დელეგატები — კონსტანტინეპოლიდან ბათუმში დაბრუნებულან. სულთანს ისინი დაუჯილდოებია ნიშნებით და წლიურად ფვითეულისათვის დაუნიშნია ორ-ორი ათასი მანეთი პენსიის სახით, რომელიც იქნება ჩამომავლობით და გარდა ამისა, ვინც ამ „დელეგატებში“ ბეგი არ ყოფილა, სულთანს ბეგობა მიუცია და ასეთნი სულთანისაგან უხვად დაჯილდოებულნი დაბრუნებულან ბათუმში. ეს ვაუბატონები თურმე ხალხს არწმუნებენ, რომ სულთანი მათ სამუსლიმანო საქართველოსათვის შეჰპირდა ავტონომიას, რომელსაც მალე მივიღებთო. მათი სიტყვით, სულთანის დაპირებისამებრ, სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიაში უნდა შევიდეს: ბათუმის ოლქი, არდაგანი, ახალციხე და ახალქალაქი.

ამ „დელეგაციის“ ერთ წევრს, სახელდობრ, თემურ-ბეგ ხიმშიაშვილს კიდევაც ჩამოუვლია ბათუმის ოლქის ყველა უბანი და ხალხისათვის სულთანის სახელით განუცხადებია, რომ სამუსლიმანო საქართველოს მალე სულთანი ავტონომიას მისცემსო.

ამის შესახებ ჩვენ ბევრს არ ვილაპარაკებთ, რადგანაც

ეს ადვილი ასახსნელია, თუ ამ გემრიელი სიტყვებით/რა სურს სულთანს და მის ამჟამად-დამჟამად ზოგიერთ ხალხის მოღალატე ვაჟბატონს.

ჩვენ აქ ვიტყვით მხოლოდ, რომ ოსმალეთი ირჩება. ჩვენი ხალხი, ქართველი მუსლიმანები, დღეს უკვე კარგად იცნობენ ოსმალებს და მის ამჟამად-დამჟამად, ზოგიერთ ხალხის მოღალატე ვაჟბატონს, რომელმაც ჩვენი საწყალი ხალხის უბედურებაზე ააგო თავისი ბედნიერება.

ხალხი კარგად იცნობს ამ ვაჟბატონებს, ვალის დღეგატებასაც, რომლებიც სულთანისაგან ასე უხვად იქნენ დაჯილდოებული.

„ზოგი ჩირი მარგებელიაო“, იტყვიან, და სწორედ ეს ითქმის ჩვენი კუთხის შესახებ. ოსმალეთი რომ ბათუმში და ჩვენს კუთხეებში არ შემოსულიყო და ჩვენი ხალხის უმრავლესობას ოსმალეთი არ გაეცნო, სამუსლიმანო საქართველო დიდხანს არ იქნებოდა გამოსადეგი საქართველოსათვის. დღემდის, თუ ქართველ მუსლიმანთა უმრავლესობისათვის გაუგებარი და შეუსწავლელი იყო ოსმალეთი, დღეს, თითო-ორიოდა ხალხის მოღალატეების გარდა, ყველასათვის ნათელია, თუ რა ფასი აქვს ჩვენთვის ოსმალეთს და ამიტომ ჩვენი ხალხი ოსმალეთის მიერ წამოსროლილ ანკესზე აღარ წამოეგება. ჩვენს ხალხს ოსმალეთის ავტონომია არც ხჯერა და არც ესაჭიროება. ჩვენ კარგად ვიცით ოსმალეთის გულუხვობა ავტონომიების შესახებ. დღეს ჩვენს ხალხს ოსმალეთის არაფერი სჯერა და არც მისი გულუხვობა ესაჭიროება. ოსმალეთის სამუსლიმანო საქართველოში შემოსვლამ ნათელჰყო, თუ რანაირი თვალთ უყურებს ის ქართველ მუსლიმანებს. ის ჩვენ გვეძახის „გურჯებს“, ე. ი. ქართველებს და ის ჩვენ, ქართველ მუსლიმანებს, ისეთივე თვალთ გვიცქერის, როგორც ქართველ ქრისტიანებს. ის ჩვენ, ქართველ მუსლიმანებს, არასოდეს არ გვენდობა.


ოსმალეთმა ჩვენს ქართველ მუსლიმანობას აშკარა უნდობლობა გამოუცხადა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც ჩვენ ქართველები ვართ და შევადგენთ საქართველოს განუყოფელ ნაწილს, რომ ეს ასეა, იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ ის ჩვენი მუჭაჯირი ქართველი მუსლიმანი ინტელიგენ-



ცია, რომელიც ოსმალეთში ბლომად მოიპოვება, არც ერთი არ შემოუშვეს ჩვენს კუთხეში, არც ერთი არ დააბრუნეს მის საკუთარ სამშობლოში. თუ ერთი ან ორი ინტელიგენტი მოგვეპოვებოდა ადგილობრივ, ისინიც დაიჭირეს და შორს უდაბნოში გაისტუმრეს.

ჩვენ გულწრფელად ვაღიარებთ: ჩვენა ვართ გურჯები ქართველები. ჩვენ შევადგენთ ნაწილს საქართველოსას და ამიტომ ჩვენ გვწამს ჩვენი მომავალი, რომელიც გამოიხატება სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს ეროვნულად და ტერიტორიულად შეკავშირებაში და შედუღებაში. მაშ, შორს ოსმალეთისა და ზოგიერთი მოღალატის ახალი ქსელები და გაუმარჯოს ჩვენს დიდებულ მომავალს— მთლიან საქართველოს!<sup>23</sup>

23. გაზ. „ერთობა“, 1918, 5 ნომბერი, № 238, გვ. 3.



ახალციხე-ახალქალაქის მავრებში

ბორჯომიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: ჩვენთან გამოცხადდენ ლეპისის და ურაველის საზოგადოებათა წარმომადგენლები: ალაქიში ახმედ ოღლი, შაო მუსა ოღლი, თემაზ მაზაზ ოღლი, გასან ნები ოღლი, კაგრიმან მუსი ოღლი და აიდარ ეიბ ოღლი, რომლებმაც გადმოგვცეს რა სალამი გლეხკაცობის სახელით, თვალცრემლიანებმა შემოგვჩივლეს, რომ ჩვენი ხალხი მოკლებულია იმ ბედნიერებას, რაც წილად ხვდა მთელ საქართველოს გლეხკაცობას. მათ დაურიგეს მებატონეთა მიწები, გაათავისუფლეს მონობის უღლისაგან და ჩვენ კისერზე კი დღესაც სხედან ბეგები — თავადები. წელს წავვართვეს მოსავლის ნახევარი, ახლა კი ითხოვენ ბეგარას ჩვენ გავიგეთ, რომ ახალციხეში შემოვიდა მუშების და გლეხების მთავრობა, რომელმაც მთელ საქართველოში ჩამოართვა მიწები მებატონეთ და გადასცა ჩვენსავით საწყალ უმიწაწყლო გლეხკაცობას. სანამ აქ იყო ოსმალეთი, ეხმარებოდნენ ბეგებს და ტყავს გვხდიდნენ მუშებსა და გლეხებს, ახლა კი მთავრობამ უნდა დაგვიცვას, მოგვცეს სარჩოდ მიწები და ამიერიდან ნუ იქნება ბეგების ბატონობა ჩვენის მხრით და გვერდში ამოვუდგებით გლეხობას და მუშებს და სისხლით დავიცავთ მოპოვებულ თავისუფლებასო.

გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში გლეხების თხოვნა და დააჩქაროთ აგრარული რეფორმის გატარება.<sup>24</sup>

24. გაზ. „ერთობა“, 1918, 18 დეკემბერი, № 273, გვ. 3.





## ახალციხის მაზრაში

ახალციხიდან შემდეგი დებეზა მივიღეთ:

ახალციხის მაზრაში დღეს სრული სიწყნარე და სიმშვიდეა. ქართველ მუსლიმანთა და ქრისტიანთა შორის ურთიერთობა დამაკმაყოფილებელია. პირველი იანვრისათვის ვიწვევით გლეხთა ყრილობას და ყოველივე ზომები მივიღეთ, რომ ეს ყრილობა იყოს ნამდვილი გამომხატველი გლეხთა სულისკვეთებისა. როცა მშრომელ ხალხს ავუხსენით რეფორმის შინაარსი და მოვსპეთ ღაღების შეკრება, ამან ბეგების და ხოჯების გავლენას სრულიად ბოლო მოუღო. არ ვეჭვობ, რომ ბეგების და ხოჯების ბატონობის დაცემას დაადასტურებს პირველ იანვარს ჩვენს მიერ მოწვეული გლეხთა ყრილობა. სრული იმედი გვაქვს, რომ პირველი იანვარი იქნება ისტორიული დღე სამუსლიმანო საქართველოს მშრომელი ხალხისთვის, რომელიც საფუძველს ჩაუყრის დემოკრატიულ საქართველოსთან სრულ სოლიდარობას და საუკუნოდ ჯვარს დაუტყვამს ბეგების და ხოჯების ბატონობას.<sup>25</sup>

25. ვაზ. „ერთობა“, 1918, 27 დეკემბერი, № 281, გვ. 1.



სამუსლიმანო საქართველოს მუსლიმანთა  
ხალხის მიმართ ბიზნისით

მშრომელნო ქართველო მუსლიმანებო! ახალციხის მაზრის მიწის მუშათა საბჭომ, რომლის დიდი უმრავლესობა შესდგება ახალციხის მაზრის მუსლიმანთა მშრომელი ხალხის წარმომადგენლებისაგან, გადაწყვიტა გამოსცეს გაზეთი „განახლებული მესხეთი“, რომელიც მიზნად ისახავს დაიცვას როგორც ახალციხის მაზრის მშრომელი ხალხის ინტერესები, აგრეთვე მთელი სამუსლიმანო საქართველოს მშრომელი ხალხი. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ეს გაზეთი სავსებით დაიცავს ჩვენი მშრომელი ხალხის ინტერესებს. ის გადალახავს ყოველგვარ დაბრკოლებებს, არ შედრკება არავითარი უსამართლობის წინაშე და მედგრად, გაბედულად იბრძოლებს ჩვენი მშრომელი ხალხის საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ.

დარწმუნებული ვართ, მას თანდათან გვერდში ამოუდგება ქართველი მუსლიმანი მშრომელი ხალხი და გაუმაგრებს ზურგს.

ქართველო მუსლიმანო მშრომელნო, თქვენ კარგად იცით, რომ სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველო ეს ერთი სხეულია, ერთი ოჯახია და ამიტომ ეს ორი ღვიძლი კუთხე ჭირშიც და ლხინშიც ერთი უნდა იყვეს. მაგრამ თქვენ ისიც კარგად იცით, რომ ეს ჯერჯერობით ასე არ არის, რადგანაც კარგა ხანია ზოგიერთები ათასგვარი პროვოკაციული გზებით ცდილობენ ჩვენს ხელოვნურად დაყოფა-დაქუცმაცებას. თქვენ ისიც კარგად იცით, რომ ეს ვაჟბატონები, ჩვენი დაქუცმაცების მომხრენი, ძალიან კარგად შეურიგდებიან ოსმალეთს, აზერბაიჯანს და სხვებს, ოღონდ კი ჩვენი კუთხე, სამუსლიმანო საქართველო იდგეს შორს საქრისტიანო საქართველოსაგან.

კითხვა იბადება, თუ რისთვის იქცევიან ასე? მე მოკლედ გეტყვით, აი რას:



საქრისტიანო საქართველო არის უაღრესად დემოკრატიული კუთხე ჩვენი სამშობლოსა. მასთან ჩვენი შეერთება და მჭიდრო კავშირი კი იქნება მომასწავებელი ჩვენი ფეხზე წამოდგომის, წელში გამაგრების და მით ჩვენი ბეგების და აღების ბატონობის დაცემის, ისე როგორც ეს არის საქრისტიანო საქართველოში და სწორედ ამას გაუზრბიან ჩვენი ბეგები და მუქთახორები. ამიტომ არის, რომ ისინი არავითარ პროვოკაციას და დემაგოგიას არ ერიდებიან ამ ორი ძმის გათიშვისათვის, რათა ამით შეინარჩუნონ ბატონობა და მუქთახორობა ჩვენს კუთხეში.

მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენი მშრომელი ხალხი თანდათან ერკვევა და იგნებს, თუ დღემდის რა სარგებლობა მოუტანეს ამ ბეგებმა და მუქთახორებმა: მხოლოდ მოტყუება, ავანტურისტული ნაბიჯებისაკენ მოწოდება. ჩვენი მშრომელი ხალხის ბრმა იარაღად გამოყენება და ამით მის ზურგზე და კისერზე გასუქება, ჯიბეების გასქელება, ჩინ-ორდენების მიღება, კარგი ჭამა-სმა, კარგი ქეიფი, და როდესაც ეს ერთი მუჭა ხალხი თქვენის ნაოფლით, თქვენის ტანჯვით სიცოცხარხარში ატარებს დროს, თქვენ კი საწყალო მშრომელი ქართველი მუსლიმანებო, ამ დროს ულუკმაპუროდ შიმშილით გეხოცებათ ცოლ-შვილი — კვნესა-ვაებით და ოხვრით ატარებთ დროს.

დადგა დრო, რომ ჩვენმა, ქართველ მუსლიმანთა მშრომელმა ხალხმაც გამოიღვიძოს. შეიგნოს ეს ყოველივე, მისი ბედი მანვე აიღოს ხელში და საქრისტიანო საქართველოს მშრომელ ხალხთან ძმობა-ერთობით, ხელიხელჩაკიდებული გასწიოს წინ ტანჯულთა და მაშვრალთა ბედნიერების და კეთილდღეობის მოსაპოვებლად.

მაშ, გაუმარჯოს სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს მშრომელ ხალხს!

გაუმარჯოს სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს მშრომელი ხალხის ძმობა-მეგობრობას!

გაუმარჯოს ამ გზისკენ მებრძოლ „განახლებულ მესხეთს“<sup>26</sup>

ქ. ახალციხე, 1 თებერვალი, 1919 წ.

26. ვაზ. „განახლებული მესხეთი“, 1919, 2 თებერვალი, № 1, გვ. 2.



საქართველოს არც ერთი კუთხე არ არის ისტორიულად, კულტურულად, ეკონომიურად და სულიერად დატანჯული და ფეხქვეშ გათელილი ყოველივე უფლებებით ისე, როგორც დღევანდელი ეგრეთწოდებული სამუსლიმანო საქართველო.

კარგა ხანია, რაც საქართველოს ეს ოდესღაც ამაყი კუთხე, რომელმაც შექმნა საქართველო, სათამაშო ბურთად გადააქციეს, არა მარტო ამა თუ იმ სახელმწიფომ, არამედ ის სათრევეად და საჯიჯგნად გაიხადეს და ხშირად კიდევ ვაჭრობდნენ მით ზოგიერთი უღირსი შვილნი ამ წარმტაცი და ამაყი კუთხისა.

სამწუხაროდ და სავალალოდ, ეს გარემოება დღესაც გრძელდება. ვინ არ ლაპარაკობს მასზე, ვინ არ აცხადებს თავის კუთვნილებად. ვინ ვის არ აკუთვნებს, ვინ ვის აზრს ცილის და სხვა ბევრი ამგვარი... კარგა ხანია, რაც ოსმალეთმა ეს ამაყი კუთხე ძალით მოსტაცა დედა საქართველოს, აუმაართა მას კედელი ჩრლოქზე და მით გამოამწყვდია როგორც ჩიტი გალიაში, რის გამოც ის, თანდათან ასე კარჩაკეტილი, ზემოხსენებულ სათამაშო მდგომარეობამდე მივიდა.

ამ უკანასკნელი ომის დასრულების დიდი რევოლუციის ხანაში ვფიქრობდით, ჩვენს კუთხესაც რაიმე საშუალება დაადგებოდა და ის იქნებოდა გამოსული სამშვიდობო ასპარეზზე დედა საქართველოსთან შეერთებით...

ჩვენ ვფიქრობდით, რომ მოკავშირეების მხრივ იქნებოდა ყურადღებული და პატივცემული საქართველოს ნაწილის — სამუსლიმანო საქართველოს ხალხის გამოძახილი, რომელიც გამოიხატებოდა ამ ძალით მოგლეჯილი კუთხის დედა საქართველოსთან დაბრუნებით. მან, ე. ი. სამუსლიმანო საქართველომ, მისი ღვიძლი შვილების, ქართველი მუს-



ლიმანების სახით, ღვთისა და ქვეყნის წინაშე აღიარა, რომ ის არის ისტორიული ნაწილი საქართველოსი, რომ ის არის გადაჯაჭვული და გადაბმული დანარჩენ საქართველოს ყველა კუთხეებთან ისტორიულად, კულტურულად და ეკონომიურად, რისთვისაც ამ კუთხის საარსებო და სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს დაუყოვნებლივ დედა საქართველოსთან შეერთებას.

მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, აი ასეთი ნატვრა, ხალხის ტანჯული და წამებული გულიდან ნაღვლიანი ამოძახილი ჯერჯერობით მოკავშირეების მხრივ უყურადღებოდა დატოვებული, რის გამოც სამუსლიმანო საქართველო ასე უფლება და ღირსება აყრილი ბოლმით ავსილი და თვალცრემლიანი დასტირის თავის ბედს.

მაგრამ ის მაინც გულს არ იტეხს და დღე-დღეზე მოელის, რომ მის გამოძახილს და სულიერ ნატვრასაც მიექცევა სათანადო ყურადღება... და დღეს ასე ნაღვლიანად დარჩენილი დაუბრუნდება თავის დედა საქართველოს და მით იქნება სამუდამოდ ბედნიერი.

ამასთან ერთად, მე, როგორც ქართველმა მუსლიმანმა და ამ ტანჯული კუთხის შვილმა, არ შემიძლია არ აღვნიშნო შემდეგი:

მოკავშირეებმა ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა. კარგი და პატიოსანი. მერე, შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა სამუსლიმანო საქართველოს გარეშე? საქართველო და მისი დიდება ხომ დღევანდელმა ეგრეთწოდებულმა სამუსლიმანო საქართველომ შექმნა?... და დღევანდელი მისი დამოუკიდებლობის ცნობაც ხომ უმთავრესად სამუსლიმანო საქართველოს წარსულის ნაყოფია?... ჩვენი დელეგატები და წარმომადგენლები ევროპის და მოკავშირეების წინაშე განა უმთავრესად „ვეფხისტყაოსნით“ და სხვა ასეთი საბუთებით არ წარსდგნენ საქართველოს გასაცნობად?... როდესაც მოკავშირეები საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გზას დაადგნენ, განა უმთავრესად, ზემოხსენებული საბუთებით არ ხელმძღვანელობდნენ?... და ეს საბუთები კი ვინ შექმნა? განა ეს ყოველივე უმთავრესად დღევანდელმა ეგრეთწოდებულმა სამუსლიმანო საქართველომ არ შექმნა? ამის შემდეგ, განა უდიდესი უსამარ-

თლობა არ არის საქართველოს დამოუკიდებლობის და სახელ-  
მწიფოების რუქიდან ამ კუთხის გარეთ დატოვება?!


აქ წარმოდგენელ გაუგებრობას უნდა ჰქონდეს ადგი-  
ლი, რომელსაც დარწმუნებული ვართ დაუყოვნებლივ მიექ-  
ცევა სათანადო ყურადღება... და ამ მრავალტანჯულ კუთხეს,  
ვეგრეთწოდებულ სამუსლიმანო საქართველოს, დაუბრუნდება  
გაუგებრობით აყრილი ღირსება, რომელიც გამოიხატება მისი  
საქართველოს ნაწილად ცნობით მოკავშირეების მხრივ და  
მისი დამოუკიდებელ საქართველოსთან შეერთებით.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობას, ჩვენ მოვით-  
ხოვთ მისგან დაიცვას ჩვენი ფეხქვეშ გათელილი ღირსება და  
უფლება, როგორც ნაწილის საქართველოსა და ნაწილის ქა-  
რთველი ხალხისა.

ჩვენ მოვითხოვთ მისგან, რა გზითაც შეიძლება, დაუყო-  
ვნებლივ შეუდგეს ბათუმის და მისი ოლქის დედა-საქართვე-  
ლოსთან შეერთებას.<sup>27</sup>

27. ვაზ. „ერთობა“, 1820, 2 მარტი, № 49, გვ. 1.





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

**სმს სამუსლიმანო საქართველოდან**

მცირე, უენიზვნა დიდ, საკითხზე

(აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ხან ხოელის განცხადების გამო ბათუმის შესახებ).

დიდი ხანია, რაც ოსმალეთის და აზერბაიჯანის აგენტები, ისლამის ქურქში გახვეულნი, დადიან სამუსლიმანო საქართველოში. ეს ვაუბატონები ქართველ მუსლიმანებს ევლინებიან ისლამის დარაჯად და ხალხს არწმუნებენ, რომ თუ ისინი არა, ქართველ მუსლიმანებს დიდი ხანია შეუბღალავდნენ მათ წმინდათა წმინდა სარწმუნოებას როგორც რუსები, აგრეთვე ქართველი ქრისტიანებიც.

ჩვენ კარგად ვიცოდით და დღესაც ვიცით, თუ რა აინტერესებდათ ამ აგენტებს. მათ უნდოდათ არა ისლამის დაცვა ჩვენში, არამედ ჩვენი ხალხის ბრმა იარაღად გამოყენება მათი საკუთარი ინტერესებისა და მიზნებისათვის. რომ ეს ასეა, ამის თავდებია 1914 წლის ისტორია, როდესაც ჩვენი ხალხი ჩააბეს ავანტიურაში და აჭარის მთები აჭარლების სისხლით იქნა მორწყული და ამასვე გვიმტკიცებს შარშანდელი ფოცხოვის ავანტიურა, რომელმაც მათი წყალობით ისედაც საცოდავი ახალციხელები და ფოცხოველები განადგურების კარამდე მიიყვანა... და ისიც რისთვის, იმისათვის, რომ ბატონმა ხან-ხოელებმა ბათუმით თავისუფლად გაიტანონ ნავთი... ოლქი კი თუნდაც სულ არ ყოფილა — აი, რა არის მათი ისლამის ლოცვა ჩვენში. მე აქ აზერბაიჯანის და თურქების აგენტების მოღვაწეობაზე ჩვენში სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ამის შესახებ შემდეგში ვრცლად მოვილაპარაკებთ.

მე აქ მხოლოდ მინდა აღვნიშნო შემდეგი:

ოსმალეთის და აზერბაიჯანის აგენტები სამუსლიმანო

საქართველოში ხელიხელჩაკიდებულნი მუშაობდნენ წარსულში და მუშაობენ დღესაც, და რომ ეს ასეა, ამის მოწმეა ტრაპიზონის კომპანია და ოსმალეთის უკანასკნელი ომი საქართველოსთან. მაშინ ხან-ხოელებს დაავიწყდათ ბაქოს ნავთის ბათუმით თავისუფლად გატანა, ვინაიდან ბათუმის დაცვაში ხან-ხოელები ნეიტრალიტეტს იცავდნენ და ბათუმის დასაცავად ჭოროხ-კახაბერზე მარტო ქართველი ხალხის სისხლი დაიდვარა. და განა ყველა ამეებს შემდეგ ბ-ნ ხან-ხოელებს კიდევ დარჩათ რაიმე არგუმენტაცია ბათუმისა და ქართველი მუსლიმანების შესახებ კრინტის დაძვრისა?!<sup>28</sup>

---

28. ვაზ. „ეროვნა“, 1920, 10 მარტი, № 56.,





სოფელ გიორგიშინდაში (საგარეჯოს რაიონი) 96 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი იერემია გულისაშვილი.

ი. გულისაშვილი ეკუთვნოდა იმ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა რიცხვს, რომლებმაც თავიანთი ცოდნა და შესაძლებლობა მთლიანად შეწირეს ქართველი ხალხის კეთილდღეობას.


განსვენებულს დიდი ღვაწლი მიუძღოდა 1916 წელს აჭარაში მშობლიური სკოლების დაარსების საქმეში.

დამპყრობთა მიერ გაპარტახებულ აჭარაში 1916 წლამდე მხოლოდ ბათუმში არსებობდა სამი დაწყებითი ქართული სკოლა: ერთი — „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“ და ორი — ბათუმის ქალაქის თვითმმართველობის მიერ გახსნილი. სამაგიეროდ, აჭარის სოფლებში მრავლად იყო „მედრესეები“ და ბავშვებს აიძულებდნენ გაუგებარ ენაზე ეზეპირებინათ ლოცვები.

აჭარაში მშობლიურ ქართულ ენაზე განათლების ასეთი უწყვეტ მომდგომარეობა ძალზე აწუხებდა ჩვენს ხალხს, რომელიც მუდამ ზრუნავდა აჭარის მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერებისა და მისი კულტურული დონის ამაღლებისათვის.

1915 წლის მიწურულში „ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებამ“ თბილისიდან ბათუმში მოავლინა იერემია გულისაშვილი.

იერემია ბათუმში ჩამოსვლისთანავე მოვიდა ჩემთან ბინაზე და მომახარა — აჭარაში მშობლიური სკოლების გახსნის საკითხზე ვარ გამოგზავნილიო. ამის გაგონებაზე სიხარულით აღფრთოვანებული მივევარდი მას და დიდი მადლობის ნიშნად მაგრად გადავკოცნე. იერემიას თვალები ცრემლით ავესო, თვითონაც გადამკოცნა და მითხრა: — „დაკარგული ძმები

გვიპოვნისართ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ აჭარას დაუუმტკიცოთ ნამდვილი ძმობა და ჩვენ დიდი სიყვარულით...  


ი. გულისაშვილის სახელი ადრეც ხშირად ვამეგონა. მაგრამ პირადად პირველად შევხვდი. ამ შეხვედრისას ქართული ხალხის მიერ უკეთილშობილეს საქმეზე წარმოგზავნილი იერემია მხსნელად მეხატებოდა და არც ვცდებოდი, რადგან მისი ხელმძღვანელობით უნდა ამხდარიყო ჩვენი დიდი ხნის ოცნება, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატებოდა აჭარაში ქართული სკოლების გახსნით.

იერემიამ ქართული, დარბაისლური, მამულიშვილური მიდგომით გადალახა ყველა სიძნელე, გვერდში ამოიყენა პროგრესული მოღვაწენი და მალე აჭარაში მისი ხელმძღვანელობით „ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების“ ხარჯზე გაიხსნა ექვსი სკოლა — ყოროლისთავში, ხუცუბანში, ალამბარში. ქვემო აგარაში (ქედა), ჩხუტუნეთში და ზემო აგარაში (ხულო).

სკოლები გაიჭედა გოგო-ბიჭებით და „მედრესეების“ გვერდით ამეტყველდა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, მშობლიური სკოლების ასეთმა წარმატებამ ლახვარი ჩასცა ხოჯებს, მოლებს, ხალხის მოღალატე ბეგებს და ყველა რეაქციონერს.

მაშინ აჭარაში სკოლის გახსნა იოლი საქმე არ იყო, რადგან სამი საუკუნის მანძილზე სკოლების ადგილი ცეცხლითა და მახვილით ეჭირა „მედრესეებს“. ხოჯა-მოლებს ზურგს უმაგრებდნენ პანთურქისტები და სამშობლოს მოღალატე რეაქციონერები. არც მეფის მთავრობა ზრუნავდა ბეჩავი ხალხის განათლებაზე.

ამიტომ არ შეიძლება სიყვარულით არ მოვიხსენიოთ სამშობლოს სასიქადულო მოამაგე — იერემია გულისაშვილი. რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღოდა 1916 წელს აჭარაში ქართული სკოლების დაარსების საქმეში. მისი სახელი მუდამ დარჩება ჩვენს ხსოვნაში, როგორც თურქ დამპყრობთა მიერ გათიშული ქართველი ხალხის ძმობა-ერთობის განმტკიცებისათვის თავდადებული მებრძოლისა.<sup>29</sup>

29. ვაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1958, 7 მაისი, № 90.





**აჭარა თავის მზრუნველს არასოდეს  
დაივიწყებს**

მე ქართველი ხალხის მოწინავე შვილების შთაგონებით და ხელმძღვანელობით დავიწყე მუშაობა და არაფერს არ ვზოგავდი იმისათვის, რათა ყველა აჭარელში შემეტანა შეგნება, რომ ის თათარი კი არა, ქართველია. ამ მუშაობაში ბევრი ამომიღდა მხარში და ერთი მათგანი იყო ამჟამად თბილისში მცხოვრები სამოცდათერთმეტი წლის ასაკს გადასული, ორდენოსანი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, პერსონალური პენსიონერი იოსებ მელიქიშვილი. იგი დაიბადა ბათუმში 1888 წელს, რკინიგზების ოჯახში. 1892 წლიდან მისი მშობლები საცხოვრებლად გადავიდნენ თბილისში.

1912 წელს იოსებმა ჩააბარა გამოცდა კავკასიის სამოსწავლო ოლქში და მიიღო სამაზრო სკოლის მასწავლებლის წოდება. 1922 წელს მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკური ფაკულტეტი, ხოლო 1937 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი.

პირველად იოსები მაშინ გავიცანი, როდესაც ის 1913 წელს ხულოში ორკლასიანი რუსული სკოლის გამგედ დანიშნეს.

იმ დროის კულტურული მდგომარეობის დასახასიათებლად მოვიყვან ნაწყვეტს მისივე წერილიდან: „ხულოში სულ ხუთი აჭარელია, რომლებიც სარგებლობენ ჟურნალ-გაზეთებით, ახერხებენ კითხვას და ამონაკითხის გაგებას“. ეს წერილი დაბეჭდილია „ძმურ სიტყვაში“, რომელიც აპოლონ წულაძემ წივნად გამოსცა 1915 წელს.

აპოლონ წულაძე თავის „ძმურ სიტყვაში“ იოსების შესახებ წერს: „ზემო აჭარაში, ხულოს მასწავლებლის — იოსებ

მელიქიშვილის თაოსნობით გადაწყვიტეს ხუთ ადგილას გახსნან სკოლა და ამ სკოლებში სავალდებულოდ მორიხი იყვნენ ქართული ენის სწავლებას“.

იოსების მოღვაწეობა აჭარაში იმდენად ნაყოფიერი იყო, რომ სულ მოკლე ხნის განმავლობაში მასწავლებლები დაიწინაურდნობა დაიმსახურა მოსახლეობაში და სტუდენტების რიცხვი ზედმეტ სახელად „აჭარელი სოსო“ შეარქვეს. იოსებ მელიქიშვილი ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან და აჭარის პატრიოტულ ძალებთან ერთად ხელიხელჩაკიდებული იბრძოდა აჭარის მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერებისა და მისი კულტურული დოზის ამალღებისათვის.

იოსები ჩვენთან იყო, როცა დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, როცა თურქეთმა ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და ვერაგულად, ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა რუსეთის იმპერიის სამხრეთ საზღვრებს.

ასეთ პირობებში თურქეთმა შესძლო ფრონტზე დროებითი სამხედრო უპირატესობის მოპოვება და 1914 წლის ნოემბერ-დეკემბერში ხელთ იგდო არდაგანი, არტანუჯი, შავშეთ-იმერხევი და მოაღწია აჭარისწყლამდე და ეს კუთხეები განადგურების კარამდე მიიყვანა...

აჭარის ასეთი განსაცდელის დროს იოსები თავის მეუღლესთან — სარასთან ერთად დიდ მზრუნველობას და შრომას ეწეოდა აჭარის მოსახლეობის მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად, ამის შესახებ აი, რას ვკითხულობთ აპოლონ წულაძის წიგნში: „უნდა მოვიხსენიოთ, რომ ქართველი ხალხისაგან შემოსულ შემწეობის დარიგებაში და საზოგადოდ, აჭარლების ყოველგვარ დახმარებაში დიდ შრომას ეწეოდა ხულოს მასწავლებელი იოსებ მელიქიშვილი და მისი მეუღლე სარა. ამათ აჭარლები არასოდეს არ დაივიწყებენ... ეს ორი ადამიანი დღე და ღამ აჭარლების სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ, აპრილიდან მოკიდებული, მთელი შვიდი თვის განმავლობაში, ამ ცოლ-ქმარს არ დაუსვენია, ბევრი კარგი საქმეც გააკეთეს და ხალხსაც თავი შეაყვარეს“.

ხოჯა-მოლებსა და რეაქციონერებს იოსების მოღვაწეობა არ მოსწონდათ, მეფის მოხელეებთან დაბეზლებით მათ იმას მიაღწიეს, რომ 1915 წლის დეკემბერში იოსები გაანთავი-



სუფლეს ხულოს სკოლიდან და გადაიყვანეს ერევნის გუბერ-  
ნიაში მასწავლებლად.

აჭარიდან იოსების წასვლამ მისი მეგობრები ძალზე დაგ-  
ვდონა და გულისტკივილით გავაცილეთ ბათუმიდან წასვ-  
ლისას პირობა ჩამოვართვით, რომ პირველ შემთხვევისთანა-  
ვე დაუბრუნდებოდა მის საყვარელ აჭარას.


1917 წლის თებერვლის რევოლუციის დღეებში იოსები  
ჩამოვიდა ბათუმში. მისი ნახვა მეგობრებს ძლიერ გაგვიკვირ-  
და და ვთხოვეთ, რომ გადმოსულიყო ქობულეთში უმაღლეს  
პირველდაწყებით სასწავლებელში გამგედ (ინსპექტორად),  
მაგრამ ამ დროს ის მიწვეული ყოფილა ოზურგეთში. მიუ-  
ხედავად ამისა, სიტყვა მოგვცა, რომ თუ ცოლის ავადმყოფო-  
ბა ხელს არ შეუშლიდა, უსათუოდ წამოვიდოდა ქობულეთში  
სამუშაოდ.

იმ დროს ქობულეთის უმაღლეს პირველდაწყებით სას-  
წავლებელში გამგის და მასწავლებლის შერჩევა-მოწვევის  
საკითხის მოგვარება პირადად მე მქონდა დავალებული, აგ-  
რეთვე სასკოლო საბჭოს წევრებს — გულო კაიკაციშვილს,  
ხსია თხილაიშვილს, ახმედ დუმბაძეს, ქემალ ნოღაიდელს  
და ცნობილ პედაგოგებს — ნიკო ჯაყელსა და აკაკი გვახა-  
რიას. როგორც კი დადგა სკოლის გამგის მოწვევის საკითხი,  
სასკოლო საბჭოს წევრების უმრავლესობასთან შეთანხმებით,  
წერილი გავუგზავნე იოსებს ოზურგეთში.

იოსები ქობულეთში ვეღარ გადმოვიდა ცოლის მძიმე  
ავადმყოფობის გამო. სარა გარდაიცვალა 1918 წელს, სოფელ  
შემოქმედში.

ამის შემდეგ ხსენებული სკოლის გამგედ მოვიწვიეთ  
ცნობილი პედაგოგი მიხაკო შარაშიძე.

აყვავებული და აღორძინებული აჭარა დიდი სიყვარუ-  
ლით იგონებს ყველა ღირსეულ მოამბგეს და მათ შორის  
იოსებ მელიქიშვილსაც.<sup>30</sup>



30. ვაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1960, 4 იანვარი, № 2.

## საკაკი და აკარა

სიტყვა, წარმოთქმული აკაკი წერეთლის დაბადების  
120 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე  
ბათუმის სახელმწიფო თეატრში,  
1960 წლის 28 ნოემბერს

ქართველი ხალხი აკაკის საქართველოს ბულბულს ეძახ-  
და.

აკაკი ბედნიერი იყო, რომ მას სიცოცხლეშივე ერი ხე-  
ლით ატარებდა და გულში იკრავდა. ასეთი საერთო სიყვა-  
რული იშვიათად თუ ვინმეს ღირსებია.

ჩვენი გამოჩენილი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი სამარ-  
თლიანად ამბობდა: „აკაკი — საქართველოა“. დამახასიათებ-  
ელია, რომ აკაკის დაკრძალვაზე არ იყო გვირგვინები, იყო  
მხოლოდ ერთადერთი გვირგვინი მთელი ქართველი ხალხისა-  
გან — წარწერით: „აკაკის — საქართველო“.

1915 წლის ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ (№ 3)  
აკაკის შესახებ აი, რას ვკითხულობთ:

„გვარიშვილობამ, ოჯახმა, განათლებამ, მაშინდელმა გა-  
რემობამ და საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებმა აკაკის  
ყოველივე უხვად მიანიჭა, რომ ის მაღლა, ცხოვრების თავში  
დარჩენილიყო და პირად განცხრომასა და ფუფუნებაში  
ტკბილად ეცხოვრა, მაგრამ აკაკიმ უარყო ყოველივე ეს და  
დაბლა დაეშვა, ძირს ჩამოვიდა და ჩაგრულთა შორის და-  
ბინავდა.

სამშობლოს სიყვარულით, გამსჭვალული, ჭეშმარიტი,  
ზღაპრული პერკულესივით თავს დასტრიალებდა ჩვენს  
ცხოვრებას და გზას უკვლევდა ქართველ ერს ბრწყინვალე  
მომავლისაკენ“...

აი, ვინ იყო აკაკი და ამიტომაც ასე უსაზღვროდ შეიყვა-



რა იგი ქართველმა ხალხმა მისი „დაფი და წალარა“ მუდამ აღფრთოვანებდა ტანჯულებს მტანჯველების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამრიგად, დიდი პოეტი თავისი ხალხის გულის მესაიდუმლე, მისი ჭირისა და ლხინის თანაზიარი, მისი პირველი პირისუფალი იყო. სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით გაბრძობარი, მომავლის რწმენით აღსავსე მისი პატრიოტული ლექსები ადვილად იკვლევდა გზას ხალხის გულისაკენ.

გეს ასე იყო საერთოდ, მაგრამ მე აქ მინდა აღვნიშნო ის გარეშობა, რომ აკაკის ხმატკბილმა ჰანგებმა განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა მრავალტანჯული აჭარის მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების გაღვივების საქმეში. აკაკის ლექსების პატარა კრებულები, რომლებსაც აჭარაში ავრცელებდნენ ზაქარია ჭიჭინაძე და მისი მსგავსი მამულიშვილები, ჩვენს გულში აღვივებდა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის გრძნობას, გვინერგავდა სიმხნევესა და მომავლის რწმენას.

დედა-სამშობლო საქართველოსთან შეერთების აღსანიშნავად 1878 წლის ნოემბერში თბილისს ჩავიდა აჭარის დელეგაცია, რომელსაც ქართველმა საზოგადოებამ საზეიმოდ მიიღო. დიდი გაუმართა დაკარგული ძმების უკან დაბრუნების აღსანიშნავად.

ამ სასიხარულო შეხვედრაზე მგოსანმა აკაკიმ აღფრთოვანებით წარმოთქვა სადღეგრძელო: „ახლა ვხედავთ, — თქვა პოეტმა, — რომ ჩვენი წინაპრების დაპირებანი აქეთაც და იქითაც შენახულა და ამით სჩანს, რომ ჩვენს შორის ძმური კავშირი თურმე არასოდეს არ ყოფილა მოშლილი“.

დიახ, ჩვენი სასიქადულო მგოსანი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ჩვენს შორის ძმური კავშირი არასოდეს არ ყოფილა მოშლილი, მაგრამ ჩვენს ძმურ კავშირს, ჩვენს ვინაობას საუკუნეების განმავლობაში სისხლში ახშობდნენ, პირიდან ენას გვგლეჯდნენ, ცეცხლითა და მახვილით ძმებს ერთი მეორისაგან გვთიშავდნენ თურქი დამპყრობნი, პანისლამიზმის და პანთურქიზმის იდეების მატარებელი ხოჯა-მოლები.

მე მქონდა ბედნიერება, რომ პირადად შევხვედროდი ჩვენს დიდ მგოსანს — აკაკის.

ამ შეხვედრის ისტორია ასეთი იყო: აკაკის მონაწილეობა

ბით ქუთაისში, 1914 წლის 29 მაისს სალიტერატურო საღამო გაიმართა. იმ დროს, დროებით ქუთაისში ვიყავი და საღამოზე დასასწრებად თეატრის სალაროში ბილეთისათვის მივედი. ბილეთები დიდი ხნით აღრე გაყიდულნი იყვნენ. თეატრი გაჭედილი იყო. ძალიან ბევრი, მათ შორის მეც, უბედოდ დავრჩით. ეს ამბავი ჩემს ახლო მეგობრებს — ია ეკალაძესა და ილია ბახტაძეს ეცნობებინათ აკაკისათვის.

ჩემს სიხარულს საზღვარო არ ჰქონდა; როცა აკაკის მითითებით ილია ბახტაძემ შემიყვანა თეატრში და დამსვა ლოჯაში, რომელიც გამოყოფილი იყო აკაკისა და მისი სტუმრებისათვის.

რა თქმა უნდა, ასეთი ყურადღება მარტო მე არ მეკუთვნოდა; იგი იყო გამოხატულება იმ დიდი მშობლიური სიყვარულისა, რომელსაც მუდამ იჩენდნენ ჩვენი ბუმბერაზი ქართველი მოღვაწეები აჭარის მიმართ.

ფარდა აიხადა და სცენაზე გამოჩნდა მსცოვანი მგოსანი. თეატრში ტაში და ოვაციები დიდხანს არ შეწყვეტილა.

სიხარულით აღტაცებულს, კარგად ვერც კი გამერკვია, რა ხდებოდა სცენაზე, ვნატრობდი მხოლოდ იმ წუთების მოახლოებას, როცა აკაკი ჩვენთან შემოვიდოდა. აი, აკაკი სცენიდან ლოჯაში შემოვიდა მოლიმარი სახით, სხვებთან ერთად მეც ხელი ჩამომართვა და დაჯდა.

მე იმ დროს 21-22 წლის ახალგაზრდა ვიყავი, მოწიწებით ფეხზე ვიდექი და აღტაცებით შევცქეროდი დიდი ადამიანის მოლიმარ სახეს. ბევრჯერ გამიმეორა დავმჯდარიყავი, მაგრამ მე მაინც ფეხზე ვიდექი. სანამ თვითონ არ მოშკიდა ხელი და გვერდით არ დამისვა.

მისი პირველი სიტყვა იყო ის, რომ მიცნობდა ვაზეთებში დაბეჭდილი ჩემი წერილებით, ზაქარია ჭიჭინაძის, იოსებ იმედაშვილისა და გაზეთ „ბათუმის გაზეთის“ რედაქტორის ნაამბობით.

მე ვუთხარი, რომ ჩვენი მტრების წინააღმდეგ მის უკვდავ ქმნილებებსაც ვიყენებდით, და მაგალითისათვის ვუამბე იმ ბრძოლის შესახებ; რომელიც 1914 წლის დასაწყისში გვექონდა გაჩაღებული ვინმე ყარაღა-ზადეს წინააღმდეგ, რომელიც ვითომდა სტუმრად იყო ჩამოსული ბათუმში. მას თურმე კონსტანტინეპოლში დაემთავრებინა თურქული ენის



უმაღლესი სასწავლებელი და ბათუმში „სტუმრად“ ჩამოსვლის დღიდანვე სიტყვით თუ პრესის საშუალებით ეწეოდა პანისლამიზმისა და პანთურქიზმის მავნე იდეების აგიტაცია-პროპაგანდას, მოგვიწოდებდა ხელი აგველო ჩვენს მშობურ ქართულ დედა ენაზე და ჩვევებზე.

აკაკის მოკლედ გავაცანი 1914 წელს მუსავატელების ბაქოს თურქულ გაზეთ „იღბალში“ (№ 628) გამოქვეყნებული ყარალა-ზადეს წერილი, სადაც იგი აჭარლების შესახებ წერდა: „ისტორიის მიხედვით ქართველი მუსლიმანები ქრისტიან ქართველობიდან გადასულან, ე. ი. ისინი სხვა ბევრ მუსლიმანებსავით უწინ მუსლიმანები არ ყოფილან, მათ მუსლიმანობა მიუღიათ და თურქებთან შეერთებულან, ამიტომ მუსლიმანების ქართველობაზე გადაყვანა ყოვლად შეუძლებელიაო“.

რასაკვირველია, ყარალა-ზადეს ბოროტი გამოსვლები ჩვენ უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია და მალე იგი იძულებული გახდა ბათუმიდან გაპარულიყო.

აკაკის აგრეთვე გავაცანი 1914 წლის 15 მაისის „ბათუმის გაზეთში“ (№ 38) დაბეჭდილი ჩემი წერილი, კერძოდ ის ადგილი, სადაც ყარალა-ზადეს ასე ვპასუხობდი: „ბ-ნი ყარალა-ზადე ტყუილად ირჯება იმის დასამტკიცებლად, რომ თითქოს სარწმუნოების გამოცვლასთან ერთად — გამაჰმადიანებულმა ქართველობამ დაჰკარგა თავისი ეროვნული სახე. მართალია, თურქთა ბატონობამ და ისლამმა თავისი ბეჭედი დაასვა მას, მაგრამ ეროვნული თვითარსებობა და ერი ვერ აღმოფხვრა მასში. ამას უტყუარად ამტკიცებს ის გარემოება, რომ თუმცა მაჰმადიანობასა და თურქთა გავლენას ჩვენზე 300 წლის ისტორია აქვს, ჩვენ მაინც ეროვნულად ქართველები დავრჩით, არ გადაგვვარდით. ასეთი ტიპები, როგორიც თვით ბ-ნი ყარალა-ზადე ბრძანდება, საბედნიეროდ ჩვენში იშვიათია... ყარალა-ზადე კი გვირჩევს ჩვენ — ქართველ მუსლიმანებს, რომ ჩვენი დავივიწყოთ და სხვისას მივსდეთ“...

აკაკისთან საუბარი დაგამთავრე ჩემს წერილში ყარალა-ზადეს წინააღმდეგ გამოყენებული აკაკის სიტყვებით:

„გადაგვარების მოსურნე  
ბუნებისაგან კრულია,  
მისი პირადი ღირსება  
ყოველგან დაჩაგრულია“.



ეროვნული

ამ სიტყვების გაგონებაზე აკაკიმ თავისი სული გადასცა და ღიმილით მიიხრა: „ვისურვებთ წარმატებებს და სიმართლისათვის. სამშობლოსათვის ბრძოლის ველზე ქედი არავის წინაშე არ მოგეხაროს“.

აკაკის ეს სიტყვები მუდამ თან მახლდა და მუდამ ვცდილობდი ვყოფილიყავი ერთგული მამულიშვილი.

აკაკიმ შემდეგ იკითხა მემედ აბაშიძე, გულო კაიკაციშვილი, რეჯებ ნიყარაძე და თქვა: „მოხარული ვარ, რომ ახლა სარბიელზე ჩნდებიან გამაჰმადიანებული ქართველი პატრიოტები, რომლებიც ქართველი ხალხის მოწინავე შვილებთან ერთად ხელიხელჩაკიდებულნი თავდადებით იბრძვიან საქართველოს ერთიანობისა და მის ბედნიერი მომავლისათვის“.

აკაკიმ ჩვენთან საუბარი ასე დაამთავრა: „მე ღრმად მწამს გმირული წარსულის მქონე ქართველი ხალხის დიდი მომავალი და ვინატრებდი, რომ მეც მოვსწრებოდე მის ბედნიერებას“.

მე იმ დროს საზოგადოებაში ახლად ფეხადგმული ვიყავი და ამ დიდი ადამიანის პირადად გაცნობამ ჩემს გულში საქართველოს სიყვარული უფრო გააღვივა და განამტკიცა.

1914 წლის 29 მაისს, ქუთაისში აკაკის მონაწილეობით გამართულ სალიტერატურო საღამოს შემდეგ, ის მალე ლოგინად ჩაწვა და 1915 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა თავის სოფელ სხვიტორში.

აკაკის გარდაცვალება ელვის სისწრაფით მოედო მთელ საქართველოს და მისმა მალმერთებელმა მშობლიურმა ხალხმა ცხარე ცრემლით დაიტირა პოეტი.

ჩემდა სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო, აკაკის დაკრძალვას ვერ დავესწარი, მაგრამ ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ აქ მოვიყვან სამძიმრის დეპეშის შინაარსს, რომელიც აჭარელთა ერთი ჯგუფის მინდობილობით გავუგზავნე ქართველ მოღვაწეთაგან საგანგებოდ შექმნილ აკაკის დამკრძალავ კომიტეტს. ეს ჩემი დეპეშა აგრეთვე გამოქვეყნდა 1915 წლის 4 თებერვლის ქუთაისის გაზეთ „სამშობლოში“



(№ 3). აი, ამ დებუშის შინაარსიც „ქართველი ერის ნაწილ-  
ნანგრევებს, ისედაც ბედისაგან დაწყევლილ-დატანჯულებს,  
ტანჯვაზე ტანჯვა აღარ გვშორდება და ამ უკანასკნელმა, სა-  
მუდამოდ დაუვიწყარმა, თავზარდამცემმა — საქართველოს  
დიდებული შვილის დაკარგვამ, გადაატარბა ყოველ ტანჯვას  
ჩვეუთის შინდობილობით ჰაიღარ აბაშიძე“.

აკაკის დაკრძალვას აჭარელთაგან დაესწრო მოხუცი  
გულო კაიკაციშვილი, რომელიც თავს დაადგა აკაკის კუბოს  
და მიმართა შემდეგი სიტყვებით: „გვედრები, დაუბარე ამ  
შენებს, რომ ცალი თვალით და ერთი ხელით სანთელი ჩვენ-  
სკენ დაიჭირონ, გვინათონ და გვიპატრონონ, აღვადგინოთ  
ჩვენი დედა ენა, გვიხსნან იმ გაჭირვებისაგან, რომელშიდაც  
ნამეტურ ახლა ვიმყოფებით“... (კრებული „ძმური სიტყვა“,  
1915 წელი, გვ. 59).

როცა მოხუცი გულო კაიკაციშვილი აკაკის კუბოსთან ამ  
სიტყვებს წარმოსთქვამდა და როცა აკაკის დამკრძალავ კო-  
მიტეტს აჭარიდან სამძიმრის დებუშებს ვუგზავნიდით, მაშინ  
ვილჰელმის გერმანიასთან კავშირში მყოფი თურქი დამპყ-  
რობლების ჯარები ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდ-  
ნენ დედა-სამშობლოს ერთგულ აჭარას. თუ რა მდგომარეო-  
ბა იყო იმ დროს აჭარაში, ამის ნათელსაყოფად მოვიყვან 1915  
წლის 10 მარტს გაზეთ „სამშობლოში“ (№ 31) გამოქვეყნე-  
ბულ ჩემი წერილიდან ერთ ადგილს: „ოსმალეთის წყალო-  
ბით კიდევ განადგურდა ნახევარი სამაჰმადიანო საქართველო,  
კიდევ დაინთხა მათი უდანაშაულო სისხლი. როგორც ვხე-  
დავთ, აჭარის მხარე გათელილია, საუკეთესო ძალა მოისპო  
და ვინც დარჩნენ, ისინიც უკანასკნელ წუთებს ითვლიან“.  
ამავე წერილში მოვუწოდებდი ქართველ ხალხს, რომ აჭარა  
ეხსნათ სრული განადგურებისა და მოსპობისაგან.

აკაკის კუბოსთან მოხუცი გულო კაიკაციშვილის მიერ  
წარმოთქმულმა სიტყვებმა და აჭარის უმწეო მდგომარეობის  
გამო ქართველი ხალხის მიმართ ყურნალ-გაზეთებში დაბეჭ-  
დილმა მოწოდებებმა მთელი საქართველო ფეხზე დააყენა  
გასაჭირში მყოფი ღვიძლი ძმების — აჭარლების საშველად.  
მართლაც, აჭარას დიდი ძმური დახმარება გაუწია მთელმა  
საქართველომ, რუსეთის პროგრესულმა ძალებმა და იგი გა-  
დარჩა განადგურებას.

ქართველი ხალხის მოწინავე შვილები, აკაკისა და ილიას  
მეთაურობით, აჭარლებს მუდამ გვანუგეშებდნენ: „ძებო,  
დადგება დრო, და თქვენს ტანჯვასაც ბოლო მოეღებო“.

მართლაც დადგა ეს სანატრელი დრო. **მარტოშვილი**  
წარსულში მრავალტანჯული და დღესაც შენატრულია  
აღსავსე აჭარა ჩვენს საყვარელ მგოსანს თითქოს საფლავში  
ჩასძახის: „გაიხარე — ასრულდა შენი ნატვრა და აღსდგა  
შენი საყვარელი „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ საქართველო!“.





## ასე ფიქროვდა მგოსანი

მშობლიური ხალხი ვაჟას სიყვარულით მთის არწივს ეძახდა. მისი გენიალური ქმნილებებით მოხიბლული დიდი ილია აღფრთოვანებით ამბობდა: „არა, ჩვენ, ძველებმა, ახლა კალამი ძირს დავსდვით და გზა ვაჟას უნდა დავუთმოთო“. ილიასვე უთქვამს: „რუსთაველის შემდეგ ჩვენ ასეთი დიდი მგოსანი არა გვყოლიაო“. ამიტომ იტყობინებოდა ქართული პრესა ვაჟას გარდაცვალებას ასე მწუხარებით: „გარდაიცვალა სამშობლო პოეზიის თვალი, ჩვენი მთლიანობისა და ერთიანობის მქადაგებელი — ვაჟა-ფშაველა... ბუნებისა და კაცთა მოციქული დადუმდა... დადუმდა ენა ვარდოსანის, გრძნობა მახვილის, ფიქრუძირო, დიდი მხატვარი, უტყვემეტყველთა მესაიდუმლე... აღარ გვყავს ვაჟაკაცი, რომელს ამკობდა „სამშობლოს ტრფიალი“, რომელიც „მამულისათვის გულს იმრავლებდა კვნესას“. აღარ გვყავს ვაჟა, მთის ლალი შვილი, ხალხის წამების ემბაზში განზანილი, სამშობლოს ბრწყინვალე მომავლის ნატვრაში სულდალეული“.. (ყურნ. „თეატრი და ცხოვრება“).

ვაჟას დიდებამ გადასერა მშობლიური საზღვრები და ახლა მთელ მსოფლიოში ფართოდ აღინიშნება დიდი მგოსნის დაბადების ასი წლისთავი. ვაჟას სახელი ღირსეულად შევიდა მსოფლიო პოეზიის ბუმბერაზთა თაიგულში, რაც ქართველი ერის დიდი კულტურის კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვებაა. ვაჟა იყო ამ ერის ძლიერებისა და მთლიანობის მქადაგებელი. მას სურდა საქართველო ერთიანი, მტკიცე და ძლევამოსილი ენახა. ეს განსაკუთრებით ჩანს ვაჟას დამოკიდებულებაში აჭარის და საერთოდ, სამხრეთ საქართველოს პრობლემისადმი.

1914—1915 წლებში თურქეთის ვერაგული შემოსევით აწიოკდა აჭარა. საგულისხმოა, თუ რას ვკითხულობთ ამას-

თან დაკავშირებით აბ. წულადის „ძმურ სიტყვაში“. აქ მოტანილია ვაჟას შემდეგი სიტყვები: „დიდი სიამოვნებით ჭეგებები მაჰმადიან ძმებისადმი ჩვენი საზოგადოების ყურადღების გაცხოველებას. ავადმყოფის სარეცელზე სხეულით დაუძღურებულს სულს მილხენს იშვდნ რომ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს დუღაბი კვლავ შეაერთოს.“

პირადად დამივლია აჭარა, ქობულეთი, კლარჯეთი, ტაო-დიდებული, მესხეთი ჩვენი... დიდებულია იგი ქვეყანა. იქ გაფანტული კულტურის ნაშთები — სულია ჩვენი ვრისა.

წარსულში ჩვენი ძმობა იყო მტკიცე და შეურყეველი, როგორც სალი კლდე. ამიერიდან უნდა აღსდგეს იგი უფრო მტკიცე, უფრო შეურყეველი. ისინი და ჩვენ ერთი სისხლი და ხორცი ვართ საერთო ქართველი წინაპრებისა!..“

ვაჟას ნატვრა თქვენმა ეპოქამ სინამდვილედ აქცია, ქართველი ხალხის სიმტკიცე და ერთიანობა შეურყეველია. დღეს ჩვენი საქართველო ვაჟას დაბადებიდან ასი წლისთავზე ვაჟასივე უკვდავი სიტყვებით ღაღადებს:

„სამშობლოს არვის წავართმევთ,  
ჩვენც ნურგინ შეგვეცილება,  
თორემ ისეღ დღეს დავაყრიოთ,  
მკვდარსაც კი გაეცინება“.<sup>31</sup>

31. ვაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1961, 27 ივლისი, № 87.





აჭარელი ქალი დღეს მამაკაცის მონა აღარ არის. მამაკაცის ცხოვრების შეგნებული და სწორუფლებიანი თანამგზავრია.

დღეს ჩვენ უშუალო მოწმენი ვართ, რომ მკვდრეთით აღმდგარი, განახლებული და აღორძინებული აჭარის შვილმა, ქართველმა ქალმა, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის კათედრის დოცენტმა, ნევრესტან რეჯების ასულმა შაშიკაშვილმა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის ისტორია (1921—1941 წ. წ.)“ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ნევრესტან შაშიკაშვილისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

ნევრესტან შაშიკაშვილის დისერტაციის დაცვას მეც ვესწრებოდი, როგორც მაყურებელი, სტუმარი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ვხედავდი განახლებულ აჭარიდან ჩამოსულ ქართველ ქალს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, რომელიც შესანიშნავად იცავდა თავის სადისერტაციო შრომას მრავალრიცხოვან იქ დამსწრე მეცნიერთა წინაშე, ამიტომაც იყო, რომ სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი ნევრესტან შაშიკაშვილისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნებას.

აღსანიშნავია, რომ ნევრესტან შაშიკაშვილი აჭარიდან პირველი ქართველი ქალია, რომელმაც არ დაზოგა შრომა, ენერგია და ჩვენდა სასახელოდ მოიპოვა მეცნიერების უმაღლესი საპატიო ხარისხი — დოქტორობა, მედიცინის დარგში.<sup>32</sup>

32. გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1962, 25 თებერვალი, № 40.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

**ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ბატონო ნიკო!**

სულითა და გულით გილოცავ დაბადების 70 და სამეცნიერო პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავს! ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ვითხრათ შემდეგი: თქვენ, მოწაფეობის წლები ბათუმში გაგიტარებიათ, კარგად იცნობდით იმდროინდელ აჭარას.

წარსულში სწავლა-განათლებითა და მწიგნობრობით სახელმძღვანელო აჭარა სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანეს. თქვენ და მეც მომსწრე ვართ იმ შავზნელი დროისა, როცა აჭარაში მშობლიური ქართული წერა-კითხვის მცოდნე თითო-ოროლა თუ მოიძებნებოდა.

დიდი ილიას მეთაურობით ქართველი ხალხის მოწინავე შვილების ყურადღება და მზრუნველობა აჭარას არასოდეს მოკლებია.

თქვენ მოწაფეობიდანვე დიდად გაწუხებდათ ღვიძლი ძმების ბედი. დიდია თქვენი ყურადღება და მზრუნველობა აჭარის მიმართ. საკმარისია დავასახელოთ თქვენი ხელმძღვანელობით ბათუმში დაარსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის თავდადებული მოჭირნახულე ბრძანდებით. აქვე თქვენი სულიერი შვილები, ახალგაზრდა მეცნიერები, სათავეში ჩაუდგნენ დიდ ეროვნულ საქმეს, რომ დღის სინათლეზე გამოიტანონ საუკუნეების მანძილზე მტრების მიერ აოხრებული და ფეხქვეშ გათელილი ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის უმდიდრესი და უძველესი საგანძური.


დღეს მშობლიურ ნიადაგზე აღორძინებული აჭარის მიღწევები დიდია, მაგრამ თქვენებრ სახელოვან მეცნიერთა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა ყურადღება მას ჯერ კიდევ ესაჭიროება.



იმედია, რომ თქვენ მშობლიურ მზრუნველობას კვლავაც არ მოაკლებთ თქვენს საყვარელ აჭარას.

გისურვებთ მრავალჟამიერ ჯანმრთელ სიცოცხლეს ჩვენი ერის სასახელოდ ჩვენი კულტურის წინსვლისათვის, ჩვენი მეცნიერების აღმავლობისათვის.

თქვენი ღრმად და გულითადად პატივისმცემელი აბაშიძე.



საქართველოს მწიგნობართა კავშირი

ფურცელი  
საქართველოს მწიგნობართა კავშირი  
თბილისი  
საქართველოს მწიგნობართა კავშირი  
თბილისი

# მოგონებები ჰაიდაკ აბაშიძეზე

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## დიდად კაბივცემულო ჰაიდაკ

დიდი ინტერესითა და სიამოვნებით წავიკითხე თქვენი მშვენიერი წიგნი. თქვენს უანგარო მოღვაწეობას, თქვენს პატრიოტულ წერილებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისათვის აჭარის ქართველობაში, რომელიც მუდამ შეადგენდა ჩვენი ერის განუყოფელ ღვიძლ ნაწილს. თქვენი ეს ამაგი მარად სახსოვარი დარჩება.

ვუკოლ ხარობა.

1961 წ. 24/12. თბილისი.





ჰაილარ აბაშიძეს


ძუძუ ტიროდა ქართველი დედის,  
ფერი უცვალეს მანდილს,  
გულს უდაღავდა შავბნელი ბედი,  
სახეს — დარდიც და ჩადრიც.

შენ წამოდექი ხმაშემართული,  
დაგმე ჩაუშის ფესვი,  
დროშად იწამე დროშა ქართული,  
ფესვად რუსთველის ფესვი,  
ქართვის დიდებას ფიცავდი,  
დედის ტკბილ ქართულს იცავდი,  
როგორც რაინდი მესხი.

შენი კალამი, მხნე და მახვილი,  
ბრძოლის ზარებად რეკდა,  
შენი სტრიქონის გადაძახილი  
მთაში ქუხდა და ჭეჭდა...  
და ჩვენი დროშა ძირსარდახრილი  
აჰა, განთიადს შეხვდა.

მერე ცხოვრება გახდა ზღაპარი,  
გავლალღებულვართ, გაგვიხარია,  
მზეს ეზიარა ჩვენი მთა-ბარი,  
ჩვენს ქვეყანაში მზის ლაღარია,  
ჩვენ გავიფურჩქნეთ და გვიხარია,  
რომ ირგვლივ ძმა და მეგობარია,  
რომ ფერუცვლელი კარგი დარია,  
რომ გმირთა ფესვზე ამონაყარი  
მთელი თაობა ჰაიღარია.

ჰოდა, რამდენიც ერის ტკივილი  
შენ ჩააყუჩე და ჩააჩუმე  
ეკალ-ბარდიან გზაზე,  
რამდენიც წვეთი სისხლი ქართული  
ქართულ მიწა-წყალს შეუნარჩუნე  
იმდენი წელი გასძელ.



ქვემოთა  
საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს

ნესტორ მაღაზონია.





1915 წელს ქართველი საზოგადოების მიერ გამოცემულ აბ. წულაძის წიგნში — „ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს“ ვკითხულობთ: „ჰაიდარ ბეგი ქართველ მუსლიმანებში პირველი ახალგაზრდა კაცია, რომელიც სიტყვით და კალმით, სრული შეგნებით იცავს ჩვენს ერთობას“. აქ ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეზე, აჭარის ეროვნული ჩაგვრისა და ქართველი მუსლიმანების ფიზიკური განადგურების წინააღმდეგ დაუცხრომელ მებრძოლ ჰაიდარ აბაშიძეზეა ლაპარაკი. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, ენის ღირსებისა და სიწმინდისათვის პატრიოტულ ბრძოლას მოახმარა და ახლა იგი 70 წლის ასაკში ჩვენს შორისაა, ხალხის სიყვარულითა და პატივისცემით გარემოსილი.

3. აბაშიძის პირველი წერილი „ხმა ქრისტიან ძმებს“ დაიბეჭდა 1913 წლის თებერვალში გაზეთ „ბათუმის გაზეთში“. ამ წერილით იგი მოგვითხრობს აჭარის წარსული დუხჭირი ცხოვრების შესახებ, მომხდურებმა ჩვენს ხალხს წაართვეს მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის უფლება, მათ აჭარლებს მონატრეს ქართული წიგნი, არ მისცეს მშობლიურ ენაზე ლაპარაკის უფლება, ათასგვარად დაბევრეს, სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები მოუსპეს, წერდა იგი და მოუწოდებდა, რომ ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად მთავარია სამშობლოსთან შემტკიცება და გაერთიანება.

ამ წერილმა ბევრი ქართველი მაჰმადიანი ჩააფიქრა და გამოაფხიზლა. მრავალი მათგანი ჰაიდარს გვერდში ამოუდგა, მაგრამ მის წინააღმდეგ დაირაზმნენ რეაქციონერი ბეგები, პანთურქისტები, აგრეთვე შემდეგ ე. წ. „სედაიმილეთელე-ბი“, რომლებიც ხელოვნურად აიგივებდნენ ერს რელიგიას-

თან. მეფის მოხელეები აჭარლებს „თათრებს“, „თურქებს“ ეძახდნენ. ჰაიდარი ამის წინააღმდეგ სისტემატურად ილაშქრებდა, ამტკიცებდა, რომ აჭარლები ქართველები არიან და რომ თათრებად მონათვლა ხელს უშლის ქართველი ხალხის საერთო ეროვნულ ინტერესებს, არღვევს მის მთლიანობას, იგი აბრკოლებს საუკუნოვანი სიბნელის და უმცირესობის აჭარელთა ხსნის საშვილიშვილო საქმესო.


ყველა ახალ მოვლენას ჰ. აბაშიძე თავისი მახვილი კალმით ეხმაურებოდა; არც ერთი მისი წერილი არ დარჩენილა, რომ მის საწინააღმდეგოდ მოსყიდულ კალმოსნებს არ გაელაშქრებინათ. ჰაიდარს ძალას მატებდა ის გარემოება, რომ მის წერილებს ქართველი საზოგადოება მაღალ შეფასებას აძლევდა.

ჰ. აბაშიძე სამხრეთ საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებთა ინტერესებისათვის თანაბარი შეუპოვრობით იბრძოდა. მან საქველმოქმედო საზოგადოების დაგეგმვით მთელი ლაზეთი შემოიარა, გაჭირვებულთ მატერიალური დახმარება აღმოუჩინა და სულიერად გაამხნევა ისინი.

ჰაიდარი პროგრესულად მოაზროვნე სხვა მოღვაწეებთან ერთად მტკიცედ მოითხოვდა აჭარაში ქართული სკოლების გახსნას. ეს საკითხი ფრიად მნიშვნელოვანი იყო, რადგან სკოლას ქართველ მუსლიმანებში უნდა შეეტანა ეროვნული კულტურა და ერთობის სული. პანისლამისტები მოითხოვდნენ თურქული და მუსავატური სკოლების გახსნას და ამ ენების მასწავლებლად უცხოელების მოწვევას, რომ აჭარლებს ქართული ენა და წერა-კითხვა დავიწყებოდათ, არ ესწავლათ, მაგრამ ჰაიდარის ენერგიული ბრძოლის შედეგად ქართველმა მუსლიმანებმა ქართული სკოლების გახსნას მასობრივად დაუჭირეს მხარი. მალე გაიხსნა სკოლები აჭარის სოფლებში: ყოროლისთავში, აგარაში, ქედაში, ჩხუტუნეთში, ალამბარში, აჭარის წყალზე და სხვაგან.

მაგრამ მტრის მიერ მოსყიდული ხოჯა-მოლები გამუდმებით მოითხოვდნენ ქართულ სკოლებში შემოდებული ყოფილიყო მუსლიმანური რელიგიისა და თურქული ენის სწავლება. ამ საგნებისათვის შეადგინეს სპეციალური პროგრამები და ამ მიზნით გორში მოიწვიეს თურქული ენის მასწავლებელთა ყრილობა.





ჰაიდარმა ყრილობაზე მათ წინააღმდეგ გაილაშქრა: „ეს ყრილობა ჩვენ არ გვეხება. ჩვენ აჭარლები ქართველები ვართ და თუ მაინცდამაინც გინდათ ყურანის სწავლა, შეიძლება ის გადაითარგმნოს ქართულად და დასწავლოთ ქართულად“. მაშინ ეს უალრესად გაბედული თქმა იყო, რის გამოც მოწინააღმდეგეებმა მოახერხეს მისი მასწავლებლობიდან განთავისუფლება. მიუხედავად ამისა, ჰაიდარი ჩვეული ენერგიით განაგრძობდა ბრძოლას, რასაც ქართულმა ჟურნალ-გაზეთებმაც დაუჭირეს მხარი. „ჩვენ ქართველი მაჰმადიანები არავის მივცემთ ნებას. საყვარელ დედა-ენაზე იერიში მოიტანონ“, — წერდა ჰაიდარ აბაშიძე მაშინ და ამ განცხადებას ქებათაქებას ასხამდა ქართული პრესა.

3. აბაშიძე მონაწილეობდა ტრაპიზონის საზავო კონფერენციის მუშაობაში. ოსმალთა მიერ ბათუმის ოკუპაციასთან დაკავშირებით ჰაიდარი აჭარის მომავლის შესახებ გაბედულად და წინასწარმეტყველურად წერდა: „გულწრფელად ვაღიარებთ: ჩვენ ვართ გურჯები — ქართველები, ჩვენ შევადგენთ ნაწილს საქართველოსას და ამიტომ ჩვენ გვწამს ჩვენი მომავალი, რომელიც გამოიხატება სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს ერთვნულად, ტერიტორიულად შეკავშირება-შედულებაში... გაუმარჯოს ჩვენს დიდებულ მომავალ საქართველოს“.

**6. ახვლედიანი**

„სახალხო განათლება“, № 46, 13 ნოემბერი, 1963 წ.

## არ გავთათრდები

მაილარ აბაშიძეს

„ამ ხილზე ედოთ თავსაკვეთი. ვინც არ თათრდებოდა, ჯერ ენის წვერსა, ხოლო მერე თავს სკრიდნენ, სიკვდილის წინ იძახდნენ, არ გავთათრდებიო“.

აჭარელი გლეხის ნაამბობიდან.

დანდალოს ახლოს, თამარის ხილთან,  
სადაც სისხლისფრად ჰყვავის ვარდები,  
თითქოს მდინარე იძლევა კითხვას  
და ტყე პასუხობს: არ გავთათრდები!

თითქოს ჩერდება ფეხმარდი ქარი,  
გულში შორეულ ფიქრთა დამნთები,  
აჭარის წყლიდან ამოაქვს ქნარი  
და ქნარი ამბობს: არ გავთათრდები!

ეს ვისი ხმაა საბედისწერო,  
გზებზე რა ძალას გადააქვს გზნებით,  
მკერდში იხუტებს პალმების ჩერო  
და გაიძახის: არ გავთათრდები!

მე აღარ ვიცი, რომელ ერთს დავსწვდე,  
როგორ ავკინძო ეს ხმები ერთად.  
სულამდის აღწევს, გულამდის აღწევს  
და თვითეულში სიცოცხლე ფეთქავს.

რომ ჩამოგძახოთ, სად ხართ, სად გძებნოთ,  
გითხრათ ნუგეში, დღეის თავდები,



ო, წინაპართა დამშვიდდით, ძვლებო,  
თქვენ არასოდეს არ გათათრდებით.

ცისფერ ბილიკებს მიჰყვება წერო,  
ზეცა ირხევა იმისი ფრთებით,  
სტოვებს ნიავიც პალმების ჩეროს  
და შორს გადააქვს: „არ გათათრდები!“



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

განათავსებული



### ჰაიდარ აბაშიძე

ჩვენს საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში ჩახედული ყოველი პირისათვის ჰაიდარ აბაშიძის სახელი კარგადაა ცნობილი.

ამ ჩუმი და უპრეტენზიო, უანგარო და სპეციაკი პიროვნების ღვაწლი ასევე კარგად იციან უფროსი თაობის ადამიანებმა. ისინი თავის დროზე შეუხელებელი ინტერესითა და ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს ჰაიდარ აბაშიძის საქმიანობას, გატაცებით კითხულობდნენ მაშინ სრულიად ახალგაზრდა პუბლიცისტის მოკლე, მაგრამ საღი პატრიოტული მრწამსით განათებულ, მოუსყიდველი შინაგანი პატიოსნებითა და სიმართლით აღსავსე სტატიებსა თუ კორესპონდენციებს. ჰაიდარ აბაშიძის ყოველ გამოსვლას ფრიად ეხმაურებოდა რევოლუციამდელი პრესა, იგი ხდებოდა გაცხოველებული საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი.

ასეთ რეზონანსს ისიც განაპირობებდა, რომ ჰაიდარ აბაშიძე არის ღვიძლი შვილი საქართველოს შესანიშნავი კუთხის — აჭარისა, რომელსაც ისტორიამ წარსულში მრავალი უბედურება დაატეხა თავზე, ჰაიდარ აბაშიძის ტიპის მამულიშვილთა გამოჩენა იყო კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ დამპყრობთა ვერავითარ ძალადობასა და სისასტიკეს არ ძალუძს აღმოფხვრას ის, რითაც სულდგმულობს ყოველი ხალხი — ეროვნული შეგნება და პატრიოტული მრწამსი.

აჭარის მკვიდრი შვილი ჰაიდარ აბაშიძე ზრუნავდა არა მარტო ქართული მუსლიმანური პროვინციების ეროვნული ეთნიკოცნობიერების, აღორძინებისა და დედასამშობლოსთან შეკავშირება-შედუღებისათვის, არამედ მთელი ქართველი ხალხის ბედნიერი მომავლისათვის. და ამას იგი აკეთებდა



მთელი არსებითა და შთაგონებით, პატრიოტული გულმხურვალებითა და მაღალი მოვალეობის შეგნებით განათებული გონების ძალით.

ჰაიდარ აბაშიძის წერილები ამასთან არის თავსებადი ნიშნულში დარბაისლური, პატოსანი და ჯენტლმენური ლემიკის მოწინააღმდეგესთან, როცა ბრძოლის საშუალებებიდან გამორიცხულია ეროვნული გონებაშეზღუდულობისა და სარწმუნოებრივი ფანატიზმის თანმხლები იაფფასიანი დამაგოგია და სხვათა ღირსების შეურაცხყოფა.

ილია რურუა.

1963 წ. ივლისი.



### სახელოვანო მამულიშვილო!

უპირველესად, ვწუხვარ, რომ შეუძლებლობის გამო პირადად ვერ ვესწრები თქვენს იუბილეს, რისი დიდი სურვილიც მქონდა!

მხურვალედ მოგესალმებით არა მორიგ იუბილარს, არა! ქართულ ეროვნულ დეაწლსა და საქმეს იუბილეები არა აქვს, იმდენად დიდია, დაუღვეელი! — არამედ ძმურად მოგეხვევით, როგორც ნაომარ მეომარს, დიდ ეროვნულ მოღვაწეს საქართველოს მთლიანობისათვის!

ეროვნული მეობისათვის მებრძოლო, უშიშარო რაინდო! შენ იბრძოდი ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის დროშის ქვეშ, რომელზედაც ეწერა: ერთობლივი, განუყოფელი საქართველო, მაშინ, როცა ფარული თუ აშკარა გზებით შემოთრეული ჩვენი უძველესი მტერი ახშობდა, ახშობდა საქართველოს უკანასკნელ სუნთქვას აჭარაში!

შენ და შენისთანა მოღვაწეებმა ბევრი გააკეთეთ და მრავალი გზას აცდენილი, გადაგვარების გზაზე შემდგარი, დაუბრუნეთ დედის ძუძუს!

შენი კალამი პუბლიცისტიკა, სააკაძის ხმალივით სჭრიდა აჭარაში და ანარცხებდა საქართველოს მოძულეთ!

და არა მარტო აჭარაში! იგი აჭარის სიყვარულს სთესავდა მთელ საქართველოში, საქართველოს ყველა ტომებში! ეს მეც კარგად მახსოვს. ბალღი ვიყავი და შენს მამულიშვილურ წერილებს არა ერთხელ აუძგერებივარ!


ამაგდარო ქართველო, მადლიანო მამულიშვილო!

მოხუცებისათვის მისაბაძო და ახალგაზრდობის მაგალითო!

დე, ყველამ გაიგოს დღეს, თუ როგორ ვაფასებთ, როგორ გვიყვარან ისინი, ვინც იბრძოდნენ აჭარის შემოერთებისათვის, მისი თავისუფლებისათვის; ისინი, რომელთა საზრუ-



ნავი იყო ჩვენი გულისვარდი აჭარა, ჩვენი კულტურის უძველესი და უწმინდესი კერა, — ქართული სისხლით მორწყული და უხვად გაპოხიერებული!



დე, აჭარის ახალგაზრდობამაც გაიგოს, თუ რა ღირებულება აქვს ჩაიდარ აბაშიძემ და მისს კვალზედ იაროს!

ბიზნისიროთეკა

ძვირფასო იუბილარო! განა შენ ტაში და მადლობა გჭირდება მშობელ ერისაგან სამშობლოს სიყვარულისათვის?

— არა!

განა გათავდა შენი შრომა აჭარაში?

— არა და არა!

ჯერ აჭარის ყველა კუთხეში არა ჰყვავის ვარდი ქართული თავისუფლებისა.

ჯერ დაჭრილი კახაბერი ისევ მილურსმულია არსიანის მთებზე.

ამიტომ შენი სიხარული დღეს ნაწილობრივია. შენი ბედნიერებაც, ისევე, როგორც ჩვენი, არ არის სრული!

ხოლო, როცა ზურმუხტის ფრთებით გაიშლება სრულად აჭარის ახალი გაზაფხული, მაშინ ტაო-კლარჯეთის, შავშეთის იებით და საგსე გულით მოგვილოცავდე სანატრელს — აღსრულებულს!

მანამდის კი, — გისურვებ ყველაზე დიდ ბედნიერებას, — იმ დღის შესწრებას აჭარაში!

სულითა და გულით ვხარობ თქვენი დღევანდელი ზეიშნობა, მოკითხვას ვუძღვნი თქვენს იუბილეს მომწყობთ და თქვენს ზეიმზე ყველა დამსწრეთ!

ჰყვოდეს, ცოცხლობდეს, მღეროდეს ჩვენი საყვარელი, საქართველოს თვალი — აჭარა!

გისურვებთ მზეგრძელობას!

მადლობა, ვაშა ჰაიდარ აბაშიძეს!

დაგოცნი ძმურად!..

გილოცავ!..

შენი ძველი მეზობელი შავშეთიდან, —

გიორგი ლომიძე

19 იანვარი, 1964 წ. ქ. თბილისი.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## დიდი მამულიშვილი

ვაშლოვნის ქუჩა, ერთი ძველებური, თბილისური ეზო, მყუდრო და საამო. კარი მადლმოსილი გარეგნობის ქალმა გამიღო.

ჰაიდარ აბაშიძის მეუღლე, მარგალიტა ყაფლანის ასული წერეთელი მშვიდად და ყურადღებით მისმენს. შემდეგ ფრთხილად იღებს ძვირფასი მეგობრის ხელნაწერებს, დანატოვარს, თითები უთრთის, ხმაშიც თრთოლვა ერევა: — ჩემს სულს გაბარებ, შვილო, გაუფრთხილდი! — მახსენებს და მოწიწებით მაწვდის.

რაღაც სიმძიმეს ვგრძნობ. ვაითუ, ვერა ვთქვა ის, რისი ღირსიც არის ეს დიდი მამულიშვილი, ვაითუ კალამმა მიმტყუნოს...

იქნებ ამაოდ შევათრთოლე ამ ქალის ყველაზე ფაქიზი სიმები...

\* \* \*

„— როდის გავიგე, მე რომ ქართველი ვარ?

პირველად მამაჩემმა ბათუმის ქართულ სასწავლებელში მიმაბარა. ეს იყო დაახლოებით 900-იან წლებში. სასწავლებელში შესვლისას ერთმა კაცმა მომკიდა ხელი, შემეყვანა კლასში და დამსვა სკამზე. მე გაკვირვებული და შეშინებული ვიცქირებოდი ირგვლივ, კლასში დავინახე წითელფეხებიანი რამდენიმე ბავშვი. მათი დანახვა გამეხარდა და ვიფიქრე: რაღა მიჭირს, გარდა ქართველებისა — გიაურებისა, აქ ჩვენი თათრებიც ყოფილან-მეთქი!

...1905 წელს მამაჩემმა საზღვარგარეთ გამგზავნა ოსმალური ენის შესასწავლად. ჩემს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ოსმალეთში „გურჯი“ მიწოდეს. ჩავფიქრ-



დი. ეს რა ამბავია: „ხან „თათარი“ ვარ, ხან „თურქი“ და ხან კი „გურჯი“-მეთქი.

...მაშინ აზრადაც არ მომდიოდა, თუ მეც მქონდა სამშობლო და დედაენა“.

19 წლის ჭაბუკმა შემთხვევით გაიგო თავისი ქართველობა, — წიგნმა ყოვლიშემძლე ჯადოსნურმა წიგნმა გადამუშალა ჩვენი ერის სახელოვანი ისტორიის დიდებული ფურცლები, თვალნათლივ დაანახვა, რომ საქართველოს სამეფო თვალი ყოფილა ოდითგანვე მესხეთი, ტაო-კლარჯეთი, შავ-მეთ-იმერხევი, აჭარა.

ახლა მიხვდა, რატომ უწოდებდნენ საზღვარგარეთ „გურჯს“, შინ — კი — „თათარს“, სარწმუნოების აღრევაში ეროვნული აღრევა იყო!

„როგორც იქნა, მოველ ჭკვაზე, — იწერებოდა შემდეგ ჰაიდარ აბაშიძე ყურნალ „თეატრისა და ცხოვრების“ ფურცლებზე, მაგრამ ეს არა კმარა! საჭიროა სხვებიც მოვიდნენ ჭკუაზე და მასთან ერთად შეიგნონ და შეაგნებინონ გზაკვალ-აბნეულ, დაბეჩავებულ მაჰმადიანებს, რომ ისინი არიან ქართველები, მათი დედაენა ქართული ენაა და სამშობლო კი — კობტა საქართველო“.

წიგნს არ ერწმუნა, ფეხით შემოიარა საქართველო, მთელი აჭარა-კახაბერი, მარადიდი, მაჭახელა, ლელვა, თხილვანა, მესხიქედი, ქვედა კვირიკე, მუხაესტატე...

მისი სულისთქმა ამიერიდან სამშობლოს სამსახური იყო.

ჰაიდარ აბაშიძემ ირწმუნა თავისი ქართველობა: — „მე ქართველი ვარ და საქართველოს მთლიანობას შევწირავ ჩემს პატარა ძალ-ღონესო, — თქვა და ამიერიდან მისი ეროვნული შეგნება საძირკველად დაედო საქართველოს მთლიანობის იდეას, ვითარცა მამა და სულიერი მოძღვარი ხალხისა, იწყო ქადაგება თავის თანამოძმეთა შორის ეროვნული შეგნების გასაღვიძებლად; დიდი მოთმინებითა და სიყვარულით განუმარტავდა ღრმა ძილისაგან ახლად გამოფხიზლებულ მოძმეთ: „მაჰმადიანები რომ ვართ, ვანა ქართველები აღარა ვართ, მაშ სადაურია ჩვენი დედაენა, ჩვენი გვარი? რა არის ეს ისტორიული ნაშთები, რომლებიც ღალადებენ ჩვენს ვინაობას?“

ჰაიდარ აბაშიძე, როგორც ჭეშმარიტად ღირსეული მამულიშვილი, მიხვდა, რომ საჭირო იყო აჭარელი ისევ გამხდარიყო დიდი შვილი თავისი მარსებელი დედაქვეყნისა, საჩემუნობათა სხვადასხვაობა არ უნდა გვექცია ერის მთლიანობის ბზარად, მას სწამდა, რომ სჯული, **ხელს ჩვენ შევუძლია** და საერთო დედაენაზე ცოდნის მიღებასა და **ქვეყნისა** ბას. „საჭიროა მხოლოდ დავეწაფოთ და თვალი გავახილოთ, სჯული სჯულად უნდა იყოს და ეროვნება — ეროვნებად; ჩვენ უნდა დავინტერესდეთ ჩვენი სამშობლოს ბედ-იღბლით, მისი კულტურითა და წინმსვლელობით, კვალდაკვალ უნდა გავყვეთ ჩვენს თანამომე ქრისტიან ქართველებს ევროპის ცივილიზაციის გზაზე...“

უკვე მოახლოვდა ეამი ჩვენი განახლებისა, დედასამშობლოს ძუძუთი საზრდობისა, მის მკერდს ჩახუტებისა...

თვითონ გადადგა პირველი ნაბიჯი ქართველ ქრისტიანებთან დასახლოვებლად. ცოლად შეირთო მარგალიტა ყაფლანის ასული წერეთელი, ქალი, რომელმაც მართლაც სასახელო მეგობრობა გაუწია მისი სიცოცხლის ძნელდასავალ გზაზე. ზნემაღალი, სისპეტაკითა და სათნოებით აღსავსე, ევროპაში ედგა სახელოვან მეუღლეს ჭირშიც და ღვინშიც.

ჰაიდარ აბაშიძის სურვილი იყო ეროვნული ცეცხლი, დღედღობით მინავლებული, გამოეჩხრიკა და ხელახლა აეგვიზგიზებინა ქართველთა სადიდებლად, დედასაქართველოს კვლავ დაბრუნებოდა თავისი შვილი და კვლავ ეროვნულ ნიადაგზე აღზევებულყო, რომ ეროვნულ ქუჩას ერთიანად გაეთბო ყოველი ქართველი.

ჰაიდარის სითბოთი, მამულიშვილური გრძნობით გამსჭვალულმა წერილებმა ბიძგი მისცა დიდ ეროვნულ მოძრაობას აჭარამ იყო გამოღვიძება.

მაგრამ მგზნებარე პატრიოტმა იცოდა, რომ მართო სიტყვა არ კმაროდა მშობლიური კუთხის გასაღვიძებლად. მხოლოდ გოგებაშვილის „დედა-ენას“, ქართულ თეატრს, ქართულ მწიგნობრობას შეეძლო გაენათლებინა აჭარელთა მხედველობა სულისა, რათა არ გამქრალიყო ეროვნული გრძნობის მბუხუტავი ნაპერწკლები.

დედისეულ სახლში ყოროლისთავში გახსნა სკოლა. ეს პირველი ქართული სკოლა იყო გამაჰმადიანებულ საქართვე-



ლოში, ბათუმის სკოლის შემდეგ, რომელიც 1881 წელს გახსნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით.

ჰაიდარ აბაშიძის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც სკოლა გაიჭედა გოგო-ბიჭებით და აჭარის **ქართველი** კვლავ ამეტყველდა ქართული ენა.

ქართველი ხალხის მტრები ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ ჩაეხშოთ ჰაიდარის კეთილშობილი წამოწყებანი. 1916 წელს ბათუმის კომენდანტმა ჰაიდარ აბაშიძე გაასახლა ბათუმიდან, ეგონათ ამით შეწყდებოდა მგზნებარე მამულიშვილის მოღვაწეობა. რა მწარედ შეცდნენ!

კიდევ ერთი დიდი განსაცდელი სამუსლიმანო საქართველოსი: 1918 წლის დამლევს, მტრის ჯარების მიერ ბათუმის ევაკუაციის პერიოდში, კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა ბათუმის ოლქი არ სცნეს საქართველოს შემადგენელ ნაწილად და დედასაქართველოს გარეშე დატოვება განიზრახეს.

ჰაიდარ აბაშიძე მიხვდა, რა ქვენაგრძნობები ამოძრავებდა მომხვედურს. მეხივით გაისმა ამ დროს მისი ხმა: — „სამუსლიმანო საქართველომ მისი ღვიძლი შვილების, ქართველი მოსლიმანების სახით, ღვთისა და ქვეყნის წინაშე აღიარა, რომ ის არის გადაჯაჭვული და გადაბმული დანარჩენ საქართველოს ყველა კუთხესთან ისტორიულად, კულტურულად და ეკონომიურად.“

ამ კუთხის საარსებო და სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს დაუყოვნებლივ დედასაქართველოსთან შეერთებას.

განა უდიდესი უსამართლობა არ არის საქართველოს რუკიდან ამ კუთხის გარეთ დატოვება? ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ დედასაქართველოსთან შეერთებას!“

„მესაკუთრენი“ ბევრნი იყვნენ. საქართველო შემკული თავისი ბუნებითა და წყლებით ბევრ გამამთიელს უღვიძებდა მადას. ჰაიდარმა კი, როგორც მემამათიანე იტყოდა, „განაქიქა და თითის საჩვენებელყო ყოველთა კიდეთა ქუეყანისითა მტერი იგი ქართველთა სოფლისაი“.

გამოხდა ცოტა ხანიც და დედასაქართველომ გულში

საბოლოოდ ჩაიკრა თავისი ძენი, ღვიძლი შვილი, ოქსავე-  
ლისა და შავთელის ფესვმა კვლავ ამოიფარა ყლორტები,  
მტრის სასიკვდილოდ ისევ ვიმრავლეთ, ისევ გავივსეთ ჩვენს  
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოვან მიწაზე!

**ერევნული**  
**ბიზნიუსი**  
**ნაწი შამანაური.**





ჰაიდარ-გემ აბაშიძეს

(ავტორმა წაიკითხა ქუთაისში ნიკ. ჯსათიანის მიერ

გამართულ სალიტერატურო სადამოწმე).

გაიგე, რომ ხარ სულით ქართველი, იცან სამშობლო, შენი ქვეყანა.

მოწყეტილ ყვავილს ძუძუ გაწოვა, გზარდა, გალაღა და გეაყვანა...

სულის სიღრმეში ჩავწვდა ბრძოლის ხმად დედის ტკბილ რძესთან,

დედის ნანინა,

იმედის სხივად იქცა სიცოცხლე, ცრემლად ლაწვებზე რომ დაგადინა.

მკეპარ ხმით უხმობ: შეკრბენ მოძმენი, ხედავ მთის არწივს დაჭრილს,

დაკოდის.

უძლურად მდებარს ცრემლის კუბოში, ფრთებდაგლეჯილსა და

სულამობდილს...

— იცან სამშობლო, შენი ქვეყანა, ლეჩაქმობლილი საქართველოა.

თვით ქართველი ხარ და ეგ კერპიც ხომ შავ შენი სულის სამლოცველოა.

მაშ, გაუწოდე ხელი, ჭაბუკო, მოძმე ქართველებს, მხნედ იმამაცე;

ბრძოლის ხმებს გაპყვე, იბრძოლე მედგრად, თუნდა მაგ ბრძოლით

მკვლარი დაეცე,

სისხლის ცრემლები გადინონ თვალზე, მაინც განვლე ეს ცხოვრების

ველი,

კუბოს ფიცრამდი მეხად გრგვინავდე, რომ ქართველი ხარ, სულით

ქართველი...

ლადო მახავარიანი.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

### ქვირფასო ჰაიღარ

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა მხურვალედ მოგესალმება თქვენი დაბადების 70 წლის შესრულების გამო.

დიდა თქვენი დამსახურება, როგორც ქართველი პატრიოტისა და საზოგადო მოღვაწისა, მწერლისა და მოქალაქისა.

თქვენმა თავდადებულმა მოღვაწეობამ, შეუპოვარმა ბრძოლამ მცირე როლი როდი შეასრულა საქართველოს ვერაგულად მოწყვეტილი, ძალმომრეობით გამაჰმადიანებული ჩვენი ღვიძლი ძმების — აჭარლების პატრიოტული გრძნობის გაღვივებასა და აღზრდაში.

გეხვევით და გკოცნით, ძმაო, მეგობარო, სახელოვანო ამაგდარო.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი.

ირაკლი აბაშიძე,  
სერგი ვილიაი,  
განსო ულანტი,  
ირმდირნ ქავჭარაძე,  
იოსებ ნონევილი,





მარჯვე და ხელმადლიანი მხენელ-მთესველი ყოველ დროს ჰყავდა აჭარას, მაგრამ სამსაუკუნოვანი ტყვეობიდან გამოხსნილს, „ქართული შეგნების“ მთესველიც სჭირდებოდა. ასეთი მთესველი იყო ჰაიდარ აბაშიძე.

ახალგანთავისუფლებულ ბათუმსა და თავის ჭაბუკობას რომ იგონებდა ჰაიდარი, წერდა: „როგორც ქართულმა გაზეთმა, ისე ქართულმა თეატრმა დიდად შეუწყო ხელი ქართველ მაჰმადიანებს შორის ქართული ენისა და ქართული შეგნების გავრცელებას“.

მაგრამ ვიდრე გაზეთი და თეატრი შექმნიდნენ ეროვნული თვითშეგნების გამაღვიძებელ ამინდს, ახალგაზრდა მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები, დიდი ილიას მიერ ბათუმში გახსნილი ქართული სკოლიდან წაღებული ჩირალდნით უკვე შედიოდნენ აჭარის ხევ-ხუვებში, რათა ის სამასწლიანი წყვდიადი გაეთენებინათ.

თავადაც ანთებულ ჩირალდანს ჰგავდა ჰაიდარი.

ხმელხმელი, მაღალი, ჭალაროსანი, მუდამ სათნო ღიმილით სახედამშვენებული, სიკეთისა და სიყვარულის უწყინდეს ნათელს რომ შემოგაშუქებდა.

სამშობლო — საქართველო იყო მისი სიცოცხლის, მისი ფიქრისა და იმედის მასაზრდოებელი მადლი.

ხანდახან დაეფიქრებულვარ, ვინ იყო მაინც ეს ჩვენი სახელოვანი ჰაიდარ აბაშიძე. მწერალი, პუბლიცისტი, ორატორი თუ უბრალოდ, საზოგადო მოღვაწე?

ღიას, იგი საზოგადო მოღვაწე იყო, მაგრამ განა იმ ავბედითობის უამს აჭარაში შეიძლებოდა საზოგადოების სასარგებლო საქმე გეკეთებინა, თუ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა დარგში ნიჭიერი შემოქმედი არ იყავი?

ჰაიდარმა, ერთმა პირველთაგანმა, საუკუნოვანი ღუმის

ლის შემდეგ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ომანიანი, მგზნებარე, ცრემლებამდე მართალი და სულში ჩამწვდიანი ქართული სიტყვა თქვა, მაგრამ ეს არ იყო უბრალოდ, ომანიანი ზად თქმული სიტყვა. ეს იყო დასაწყისი ახალი, ძნელი და კეთილშობილი ბრძოლისა. ამ ხანგრძლივ სიტყვა იყო

აბოლოაში ყველაზე ბასრი იარაღი მშობლიური სიტყვა იყო. ჰაიდარს ეს იარაღი სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ ჩაუგია ქარქაშში.

იგი პირველი მუსლიმანი ქართველია თბილისში, ჩვენი ერის ცნობილ მოღვაწეთა პანთეონში რომ განისვენებს.

ჰაიდარ აბაშიძეს რომ წარმოვიდგენ, ვიტყვი:

როდის გავიგე, მე რომ ქართველი ვარ?  
იყო ბევობა და იყო მამულები,  
იყო ეფენდობა, იყო პანუმობა,  
ოქრო-ალთუნებიც იყო დაულევი.

ვითარც გამოგვალულ გოროხს გრილი ნამი,  
როცა ჩამესხურა სიტყვა მშობლიური,  
თვალში სხივი ჩადგა, მზემაც გამიღიმა,  
გული ჩამიამდა, სული მოვიბრუნე.

მიმქრალი სანთლებით ღამე გავთეულვარ,  
მკვდრეთით აღვდგენილვარ, კი არ გავთელილვარ,  
რისი პატრონი ვარ? — რითაც მართალი ვარ!  
მითი მდიდარი ვარ, რომ მე ქართველი ვარ.

ფრიდონ ხალვაში



### ზატონო ჰაილარ

თითქოს ჩემივე გულს შეგვუშინდი,  
სევდა მომყვა... და ხარება ცოტა,  
მართლაც ყელამდე მამულიშვილო,  
შენი აჭარის მხურვალე ცოტნევ,  
როგორ იქნება რომ არ გიდარდოთ,  
ერთად ვლოცავდით ჩვენს ხატს და ტოტებს.

ერთად ვლოცავდით, სახელად რასაც  
ქართული ჰქვია და წმიდას ვარქმევთ.  
შენც ასახელე შენი აჭარა,  
შენც შეაყვარე აჭარა ქართველთ.


დაიწმინდება სული ნათლისად  
და ისე, ისე ჩვენ ავლზევდებით:  
თბილისი მოვა დედაქართლისა  
და გადაკოცნის აჭარას გზნებით.

ჩვენს დედაენას ვინც გაფხოჭნიდა,  
დაჰკრავდი გულში მახვილს საზარელს,  
შენი მახვილის იარა სჭირდათ  
ვასპი-ეფენდებს, ყარაღა-ზადეთ.

გტკიოდა განა აჭარა მარტო,  
სხვა იყო შენი სული მერხვევი,  
შენ ბასიანიც გქონდა სადარდოთ  
ჩვენი კრწანისიც და იმერხვეიც.

მამულ-დედულის შენ ქურუმს ტრფიალს  
ზევრი რამ გქონდა ტკივილად, სევდად:

ლაზეთისა და შავშეთის დრტვინვა  
შემოდოდა შენს სულში ელდად.



რა დიდი იყო, ეჰ, შენი ბოღმა. **ეროვნული**  
შენც გულში მოგხვდა ფაშისგან **ქვეყნისა**  
გაღმა წავგართვეს, გვჯიჯნეს გამოღმაც,  
ჩემო ჰაი დარ, ვერ დამშვიდდებით.

ვერ დამშვიდდებით, სანამ ჩვენს შავშეთს,  
ჩვენს ტაო-კლარჯეთს და ჩვენს ლაზიკას,  
ვერ აღვაშორებთ მუმლსა და შაბედს,  
ეჰ, თორემ გატყდა სული — კაჟი-ქვა.

აბა სად არის დიდი მესხეთი  
თამარისა და დიდი რუსთველის,  
არ დავდუმდებით, არ დავეხსნებით,  
ღმერთმა დალახვროს ყველა ცრუს მოქმელი.

ვერ მოვისვენებთ, ჩემო ჰაი დარ,  
შენ არ ამბობდი ამასვე მიწყევ,  
ასე მეონია, ახლაც დარდი ხარ  
და ოცნებებით მიწაშიც იწვი.

ჩვენ ავენთებით უფრო ჰაი დარ,  
ჩვენ არ ჩავიქრობთ, არა ნალვერდალხ,  
სიცოცხლეს ვიწყებთ თითქოს თავიდან,  
არ ვაპატიებთ სისხლის აღრევას,

არ ვაპატიებთ ენის მოკვეთას,  
გვართა ცვლასა და მუსრვას ტოტემის,  
ვაჰ თუ სურვილნი დავიოკეთ და  
ლექსიც ვიმღერეთ ახალ ნოტებით.

მაშინ დროება იქნება ჩვენი  
და თავყრილობა ჩვენ გაგვახარებს,  
და გამოვიწვევთ სულებს სალხინოთ:  
თამარს და რუსთველს...  
ცოტნეს, კახაბერს..



ჩვენ გამოვიხმობთ სამას არაგველს,  
ბასიანის და კრწანისის ლაშქარს,  
ვაჟას, ილიას, აკაკის, ტატოს,  
გრიგოლს და...  
ყველა ჩვენ გვეტყვის ვაშას.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

გვეტყვიან, შვილნო, აწ ჯვარცმა გეყოთ,  
აღარა გიჭირთ, დიდ ღმერთს მადლობა  
და ვიზეიმებთ დიდ საქართველოს  
მკვდრეთით აღდგომას მარად აღდგომას.

ჩვენ გამოვიხმობთ სელიმს და შერიფს  
და გულო-აღა კაიკაციშვილს,  
ჩვენ გამოვიხმობთ მემედს, ვის შვენის  
კაი კაცობა... და გულს გაგვიშლის.

ჩემო ჰაიდარ, შენც გამოვიხმობთ,  
ჩვენ გამოვიხმობთ მთაწმინდით გოგლას,  
თქვენიც მკვდრეთიდან აღდგომა იყოს,  
ერთად ვლოცავდეთ ჩვენს ჯიშს და მოდგმას.

შორს ვადიქუხებხს ნაღარა ჩვენი  
და ჩვენს ზეიმზე ღმერთებიც მოვლენ,  
გადარჩენის თუ ჩვენი გაჩენის  
დავიგუგუხნებთ დიდ საგალობელს.

მანია ვარზანიძე.

1967 წ. 13/5 ქ. თბილისი.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

**ეროვნული მთლიანობის დიდი ხვეისბერი**

დედამიწაზე სიკვდილიც მრავალფეროვანია, მაგრამ ადამიანები ერთმანეთისაგან არსებითად მაინც სიცოცხლით განსხვავდებიან. განვლილი ვზა ცხოვრებისა — არის მისი კაცთსამხილავი!

დღეს ჩვენს წინაშე განისვენებს დიდი შვილი თავის ერისა. დასრულდა მიწიერი „ცხოვრება და მოქალაქეობა ჰაიდარ აბაშიძისა“... დაიწყო მისი, მეორე, სულიერი, ისტორიული ცხოვრება, ეს მხოლოდ უანგარო, თავდადებულ და შემეცნებულ მოღვაწეთა ხვედრია... და ამას მხოლოდ ერთობლივი ერის სიყვარული ანიჭებს რჩეულთ!

ჰაიდარი ხომ ჩვენი ეროვნული მთლიანობის დიდი ხვეისბერი იყო! ჩვენი ხალხის სამხრეთელი ჭირისუფალი, სულიერი მემკვიდრე ღირსეულ წინაპართა!...

მას რომ ვხედავდით ჩვენს შორის მოქმედს — თითქოს სვეტიცხოველსა და გელათს — ოშკი და ბანა კვლავ უშუალოდ გვერდში უდგა და ხახულის ხატსაც ჰყავდა თავისი უძველესი ქართული ადგილის დიდი მოწმე და მლოცველი.

საქართველოს განახლებულ ისტორიის სათავეებთან, როდესაც ბევრი დაიბნა, გაიბზარა, თავისთავს განუდგა, ეროვნულად ბრმა ან მხდალი აღმოჩნდა, იგი — აწ თვალდახუჭული — იდგა ყველაზე უძნელეს ზღვარზე, კახაბერის კლდეზე არანაკლებ მტკიცე და მოწოდებული! თვალს უხვლდა ყველას, წერდა, ქადაგებდა, იბრძოდა... ყველგან იყო განმახლებელი ქართველებისა, იგი დედაენითა და თვითშეგნებით აღუდგა სამასწლოვან ძვრასა და სეტყვას, ბურუსს, დუხ-ჭირს მოძალეებისას, თავისუფლების ცოცხალ ძეგლად იდგა სპერის ზღვის პირას და ქართულ ზარს აუღერებდა...

და მართლაც დიდმამობრივი იყო მისი ცხოვრების ნაყოფი ჩვენთვის! ამიერით მეოცე საუკუნის, მარადსახსენებელ



ქართველთ სახელების გულანს - ჰაიდარის სახელიც ღირს  
სველად შემატა!

გასაოცარი იყო მისი სულიერი გზნება და უნაგარობა —  
ყველაფერი მშობელ მხარეს, ყველაფერი ხალხს, ყველაფერი  
ალორძინებას!.. და ვგონებ ჩვენ, თანამედროვეები, ვალბა  
დავრჩით განსვენებულთან!

ეს ფიქრი, საქართველოს შემორჩენილ მიწა-წყლის ყო-  
ველ მხარეში თავს უფრო გახრევიანებს ჰაიდარის ნეშტის წი-  
ნაზე... და მისი დიდი ბუნების მაღლია, რომ იგი გლოვაშიაც  
გვაერთიანებს! გვახსენებს ყველას... იმ მხარეს, სადაც  
იგი ძველბუდოვან სკის დედა-ფუტკარი იყო! დავდუმდე-  
ბით და გულისყურით მოვუსმენთ ხმას, დახშულ ზუზუნად  
რომ მოისმის „პირიქითა“ სამხრეთიდანაც!

არიან მოღვაწენი, რომელთა დაკრძალვაც დიდ ტკივი-  
ლთან ერთად, სიფხიზლესაც იწვევს... იმედის შემტყიცებას  
გვიკარნახებს, თავისი ცხოვრების ნათელი მაგალითით გვიბი-  
ბლავს და გვაძნევენებს! მას ხომ სულ ცოტა, სულ ადამიანუ-  
რი რამ სწადდა — თავისი უკეთილესი ოცნების სრული გან-  
ხორციელება — რომ ჩვენი სამშობლოს არც ერთი ღირსეუ-  
ლი შვილი არ ყოფილიყო თავისი ერისა და ქვეყნის გარეშე.

ეს გვიანდერძა... ალბათ ამას მეტყველებს მისი ბაგე —  
მღუმარე!

დიდი ჰაიდარი, მუდამ იქნება ჩვენს შორის, როგორც  
ძველი ხანძთელთაგანი, ეროვნული მთლიანობის, ზნეობის,  
სულიერ სიფაქიზისა და კეთილშობილების დაუშრეტელი  
წყარო...

...მიწა ყველას იმარხავს, ამაოდ დამშრალთაც და უღირს-  
თაც... მაგრამ თავისი სამშობლოს წინაშე ჭეშმარიტად ვალ-  
მოხდით უკვდავებად ეყრება, ემსუბუქება და მართლაც  
ღვდაშიწად კალთას აფარებს.

ლევან გოთუა.

გამახსენდით ამ შავ ღღეს, ერის ღღეა შავი,  
დაჭრილია ლომა ხარი,  
ბღავის,  
ბღავის,  
ბღავის,  
სახლ-კარიდან ქართველი უღვთოთ იძეგება.  
მამულშივე დაკარგულან ვინ მკვდარად, ვინ მიძევლებად,  
საქართველოს გლეჯს, ჯიჯგნის მტერიც, მოყვარეც.  
გვეკარგება მშობელ მიწის მომხვნელი და მოყანე.  
გამახსენდით ამ შავ ღღეს, გამახსენდა აჭარა.  
თქვენი გვარის დინასტიის ქარმა გამჭვალა.  
მოგვეძალა განდგომა, შური, აჯანყებები,  
გამახსენდით ამად ახლა შვილნი სანჯაყ-ბეგების,  
ჰე, ბატონო ჰაიდარ, მემედ ბატონო,  
ლამის შავი ღრუბლები თვალზე მოგვაფანტონო.  
ელავს უცხო ხიშტები ჭოროხთანაც, სარფთანაც,  
ზოგი თანამემამულეც რუსმა გაგვიაფთარა,  
დიდო აბაშიძეებო, თქვესმა ქარმა გამჭვალა,  
ახლა რუსი ეპარება ნაჩალარს და ნაჭალარს,  
ზოგს უგებდნენ მახეს, ზოგს უყრიდნენ საკენკს, ---  
თქვენ იძახდით:

—ერთიან საქართველოსაკენ!  
სახლ-კარიდან მამულში უღვთოთ ვიძეგებით.  
გამახსენდით სანჯაყ-ბეგთა აბაშიძეებით.  
გამახსენდით, მომაგონდით, კვლავაც გამახსენდებით,  
თქვენი სულის კირ-დულაბით ვმაგრდებით და ვშენდებით.  
გამახსენდით ამ შავ ღღეს, ერის ღღეა შავი.  
დაჭრილია ლომა ხარი, ლომა ხარი ბღავის.

**ლადო სულაბერიძე**



შინაარსი

ჰაილარ აბაშიძის ცხოვრება და მოღვაწეობა

3

ჰაილარ აბაშიძის წერილები

როდის გავიგე მე, რომ ქართველი ვარ	45
ზმა ქრისტიან მოძმეებს	49
როდემდის ვიქნებით ასე?	52
სამწუხარო ჩვეულება	54
ქართველი მუსლიმანების საყურადღებოდ	56
შაჰმადიან ქართველთა ფანატიკოსობა და ეროვნული გრძნობა	57
ნუ იქნება „ჩვეულება სჯულზე უმტკიცესი“	59
შეორე დიმიტრი თავდადებულის ღირსეული შვილი	62
ქართველი მაჰმადიანი ქალის ზმა	64
არაბი და თათრული გაზეთი მაჰმადიანი ქართველების შესახებ	67
ამასაც მტკიცება უნდა?!	70
საგულისხმო პროტესტი	76
სამგლოვიარო დეპეშა აკ. წერეთლის გარდაცვალების გამო	78
მაჰმადის დროშა, საღმრთო ომი და ოსმალები	79
კვლავ მოწოდება, კვლავ საყვედური	81
მოძმეთა გულშემატკივრის, პაწია გაიოზ იოსების ძე	
იმედაშვილის მიმართ	84
ღია წერილი	85
მცირე შენიშვნა	86
აჭარის მთებში	88
სიტყვა წარმოთქმული ყოროლისწყლის სკოლის კურთხევაზე	90
მაჰმადიან ქართველებში	92
ღია წერილი ჩვენს ერთმორწმუნე კავკასიელ თურქებს	95
ამხ. სოსო!	98
სამუსლიმანო საქართველო და ოსმალეთი	99
ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში	102
ახალციხის მაზრაში	103
სამუსლიმანო საქართველოს მშრომელი ხალხის მიმართ	104
ზმა სამუსლიმანო საქართველოდან	106

ხმა სამუსლიმანო საქართველოდან (მცირე უენიშენა დიდ საკითხზე)	109
ცნობილი პედაგოგი და მამულიშვილი აჭარა თავის მზრუნველს არასოდეს დაივიწყებს აკაკი და აჭარა	111
ასე ფიქრობდა მგოსანი ქალთაგან პირველი	113
ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ბატონო ნიკო!	116
	122
	125
	126




**მოგონებები ჰაიდარ აბაშიძეზე**


დიდად პატივცემულო ჰაიდარ	128
ჰაიდარ აბაშიძეს	129
ჩვენი ჰაიდარი	131
არ გავთათრდები	134
ჰაიდარ აბაშიძე	136
სახელოვანო მამულიშვილო!	138
დიდი მამულიშვილი	140
ჰაიდარ-ბეგ აბაშიძეს	145
ძვირფასო ჰაიდარ	146
ქართული შეგნების მთესველი	147
ბატონო ჰაიდარ	149
ეროვნული მთლიანობის დიდი ხევისბერი	152
ჰაიდარ და მემედ აბაშიძეების გახსენება	154

წიგნი გამოდის სრულიად საქართველოს მემედ აბაშიძის საქველმოქმედო საზოგადოება „მამულიშვილის“ ხარჯით.





აბაზიძეების გენეალოგიური ხე



ჰაიდარ აბაშიძე



ჰაიდარ აბაშიძე და იოსებ გრიშაშვილი





«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» ბათუმის ქართული სკოლა. მასწავლებელი ივლიანე გოგოლაშვილი, მესამე რიგში მარჯვნიდან მე-5 პაბაშიძე.



ფოტოგრაფია  
ბიზლიჩისა

პ. აბაშიძე და მისი მეუღლე მარგალიტა ყაფლანის ასული  
წერეთელი-აბაშიძისა





ეროვნული  
განმათავსებელი

ძმები აბაშიძეები. მარცხნიდან პირველ რიგში მეორე ჰაიდარ აბაშიძე

საქართველოს სახელმწიფო


დაცემის მინისტრის განკარგულებაში



ეროვნული  
განმათავისუფლებელი



სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი



იოსებ იმედაშვილი და ჰაიდარ აბაშიძე





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

იოსებ იმედაშვილი ჰ. აბაშიძის ოჯახის წევრებთან ერთად



ჰაიდარ და როსტომ აბაშიძეები



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ჰაიდარ აბაშიძე ოჯახის წევრებთან ერთად. სურათი გადაღებულია  
ჰაიდარ აბაშიძის სამოცდაათი წლისთაგზე



18500

129/4



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

